ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი · ოთხშაბათი 29 მაისი 2002 №96 (1618) · ფასი 50 თეთრი


# დღეს დიდი ინტრიგის ფინალია

## ვინ ჩაიბარებს ფიფას მსოფლიო თასს?



## ბლატერი vs ჰაიატუ



კულისებში მოქმედი მთავარი პირნი: ლენარტ იუჰანსონი და მიშელ ზენ-რუფინენი





REUTERS

იოზეფ ბლატერს ისა ჰაიატუმ ხელიც გაუშალა

ბედი არ გინდა... ჩვენში მოახლოებული არჩევნების გადამკიდეებს გამუდმებით გაყალბება გვესმის და ამ სიტყვას ვერც ფიფას საპრეზიდენტო არჩევნებზე ლაპარაკისას ავცდით.

რა ხანია, გაიძახიან: ბლატერმა ფიფას ფული გაფლანგა, ბლატერი ხალხს ქრთამავს, ბლატერს ფიფაში დიქტატურა აქვს დამყარებული...

ბლატერი, ბლატერმა, ბლატერს... ამგვარს ყველანაირად აბრუნებენ, მისდა სასიკეთოდ კი ერთხელაც არა.

და განა ვილაც-ვილაცეები — ამ კამპანიის უკან დიდბობოლები, უეფას პრეზიდენტი ლენარტ იუჰანსონი და ფიფასავე გენერალური მდივანი მიშელ ზენ-რუფინენი დგანან. ხოლო კამპანიის თავში ფიფას კამერუნელი ვიცე-პრეზიდენტი ისა ჰაიატუა, ვინც არჩევნებზე ბლატერის ერთადერთი კონკურენტია.

და კიდევ — ეს ხალხი ბლატერის საწინააღმდეგოდ არა მხოლოდ ლაპარაკობს, საბუთებსაც აგროვებს.

ერთი სიტყვით, დღევანდელ არჩევნებზე ზეპ ბლატერს თითქოს გამარჯვების შანსი არ აქვს. აურაცხელ ბრალდებასთან ერთად მის წინააღმდეგ იუჰანსონის ავტორიტეტი და ჰაიატუს აფრიკელები გამოდიან — აფრიკის კონფედერაცია ხომ 52 წევრისგან შედგება, მაგრამ...

უკვე იმასაც ამბობენ, ბლატერის წინააღმდეგ წაყენებული ბრალდებები და კორუმპირებულობა მისსავე სასარგებლოდ იმუშავებსო. იუჰანსონ-ჰაიატუს ბანაკის ეს განცხადება სიმართლეს ჰგავს — ბლატერი თუ მართლაც გასვრილია, ბლომად ეროვნული ფედერაციებიც გასვრილი ეყოლება და რაკი საერთო სალაროდან ხაპავენ ფულს, წინააღმდეგ ხმას, აბა, როგორ მისცემენ.

# პრეზიდენტის ტაქტიკა: გასვარე და იბატონე

# ოპოზიცია: კორუფცია!!!

მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე კი ორი დღეღა დარჩა და... ზიდანი და ინძაგი პირველ მატჩებში თავისიანებს ვერაფრით დაეხმარებიან, მორიენტესი უცებ დაშავდა და უცებვე მომჯობინდა, ხოლო ბექემი, რომლის ტრავმის ამბავი სრულიად ინგლისმა ქვეყნიერების აღსასრულივით გვამცნო, თითქოს არაფერი მომხდარაო, საბრძოლველად ემზადება.



დევიდ ბექემის გამოჯანმრთელებამ სვენ გორან ერიკსონს გუნება გამოუკეთა

# კორეა–იაპონია 2002

## მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე დარჩა 2 დღე

# ამოგვასუნთქეთ!


REUTERS სურათიდან

ზინედინ ზიდანის კუნთმა დასვენება მოითხოვა

## საფრანგეთი

**მაშ ასე,** საფრანგეთი მსოფლიოს ჩემპიონატს ზინედინ ზიდანის გარეშე იწყებს. სენეგალელებს გაუმართლათ, პარასკევს მათ კარს მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი მოთამაშე არ შეუტევს — მისი კუნთი დასვენებას ითხოვს. საფრანგეთის ნაკრების ექიმმა ჟან-მარსელ ფერემ თქვა:

„ზიდანს კუნთი ნაწილობრივ გაწყვეტილი აქვს. ახლა ჩვენი ამოცანა მისთვის ხელის შეწყობაა. თუმცა ყველაფერი მაინც თავად ფეხბურთელის ორგანიზმზეა დამოკიდებული".

ექიმს ჰკითხეს, შეძლებს თუ არა ზიდანი 6 ივნისს ბუსანში, ურუგვაისთან თამაშს. მან უპასუხა:

„ჩვენსას ვცდილობთ, თუმცა მეორე მატჩში მისი გამოსვლა მაინც კითხვის ნიშნის ქვეშაა. ზიდანს ყოველდღიურად ხუთსაათიან პროცედურას ვუტარებთ. ზოგადად, საქმე ის გახლავთ, რომ კუნთის გაწყვეტა მზაკვარი რამ არის. კაცი ვერ იტყვის, რამდენ ხანს წაიღებს აღდგენითი პროცესი, თუმცა იმედი ვიქონიოთ, რომ რაკილა საქმე სპორტსმენის ნაწრთობ კუნთთან გვაქვს, ყველაფერი შედარებით სწრაფად მოგვარდება".

ზიდანის ტრავმა ფრანგთათვის ორმაგად სამწუხაროა. მართლაც, მსოფლიოს ჩემპიონებს, რომელთაც რობერ პირესის აღრეულმა დაშავებამ ძალა მოაკლო, ზიდანი შეუერთდა, არადა, ის ჩინებულ ფორმაში გახლდათ და კორეასთან ამხანაგური შეხვედრის 38-ე წუთზე გაწყვეტილმა კუნთმა, შესაძლოა, „ლურჯებს" დიდი დაბრკოლება შეუქმნას.

ექიმი განაგრძობს: „ნამდვილად არ ველოდით, რომ კორეასთან თამაში ფეხბურთელისთვის სარისკო იქნებოდა. ჩვენ მკითხავები არ ვართ, თუმცა ზიდანმა დამთრგუნველი სეზონი ჩაატარა, უმაღლეს დონეზე 50-60 შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა და როგორც ჩანს, ამანაც იჩინა თავი. ამას დაამატეთ, რომ 1998 წელთან შედარებით ის ოთხი წლით უფროსია".

შემდეგ ფერე ფიფას გადასწვდა. კერძოდ, მან თქვა, მსოფლიოს ჩემპიონატის წინ ფეხბურთელებს ძალ-ღონის აღსადგენად მეტი დრო უნდა მისცენო.

„ბიჭები სამხრეთელ ცენტრში დაღლილები ჩამოვიდნენ. ეროვნულ ჩემპიონატთა დასრულებიდან მსოფლიოს პირველობამდე სულ ცოტა ერთი თვეა აუცილებელი, თორემ, როგორც ფეხბურთელებისთვის, ასევე მაყურებლისთვის იმედგაცრუება გარანტირებულია".

**ბაკურა ძიძია**

# ამას ველოდი...

## დოპინგმა სქოულზს თავსატეხი გაუჩინა






პოლ სქოულზი ჯერ ყვანჯს იჭერს, დევიდ ბექემი კი ბურთსაც გაეთამაშა

REUTERS სურათიდან

## ინგლისი

**ნაკრების** კაპიტანი დევიდ ბექემი, ჩანს, მსოფლიოს ჩემპიონატის პირველივე მატჩში ითამაშებს შვედეთის წინააღმდეგ. დაახლოებით შვიდი კვირის წინ მოტეხილი ფეხის ტერფი, ექიმების წყალობით, ბექემს სწრაფად მოუშუშდა და სრულფასოვან ვარჯიშსაც აღარაფერი უშლის: „გუშინ დევიდმა ექიმების მეთვალყურეობით ერთხელაც ივარჯიშა, აწვდიდა კუთხურებს, ურტყამდა საჯარიმოებს, ბურთთანაც იმუშავა და ირბინა კიდეც. მოედნის კიდესთან ვიდექი და ყურადღებით ვაკვირდებოდი, არაფერი ტკენია და მგონი, ყველაფერი კარგად არის. მოკლედ, ნანახით ძალიან კმაყოფილი დავრჩი" — თქვა ინგლისელთა მწვრთნელმა სვენ გორან ერიკსონმა ჟურნალისტებთან შეხვედრისას.

ბექემი სრული დატვირთვით ვარჯიშს დღეს დაიწყებს, ხოლო 2 ივნისს შვედებთან მისი მოედანზე გასვლის საკითხს ერიკსონი ბოლო წუთს გადაწყვეტს. თუ კაპიტანი სათადარიგოთა სკამზე დარჩება, მის მაგიერ, ალბათ, გერმანული „ბაიერნის" ჭაბუკი ნახევარმცველი ოუენ პარგრივსი ითამაშებს.

ბექემი ბექემად და ინგლისელებს მისი მანჩესტერელი თანაგუნდელის პოლ სქოულზის ამბავიც აშფოთებთ. საქმე ის არის, რომ ჩემპიონატის დაწყებამდე სქოულზს ასთმის დამღგენი რამდენიმე სამედიცინო ტესტის გავლა მოუწევს, რათა აკრძალული პრეპარატის მიღების მიზეზი გაამართლოს. სქოულზი თურმე „სალბუტამოლს" სვამს, რომლის გამოყენება ფიფასგან ოფიციალურად არის აკრძალული. ადრე ფიქრობდნენ, რომ ნაკრების ექიმის მიერ გაცემული ცნობები ამ პრობლემის მოსაგვარებლად საკმარისი იქნებოდა, მაგრამ მერე საქმე გართულდა. ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ ფიფას სთხოვა, ფეხბურთელს გარკვეული დროით კიდევ დართეთ წამლის მიღების ნებაო. ახლა პასუხი ფიფაზეა.

**სოლომონ გულისაშვილი**



ფილიპო ინძაგი თამაშიდან გავიდა და ალესანდრო დელ პიერო დატოვა

# მოზურთალსა მოედანი

## დელ პიერო ანუ იუვენტუსი?

## იტალია

**უკვე ნათელია:** იტალიის ნაკრებს პირველ შეხვედრაში ფილიპო ინძაგი არ ეყოლება. სავარაუდოდ, მის ნაცვლად ეკვადორელთა კარს ალესანდრო დელ პიერო შეუტევს.

მიზეზი: „სკუადრა აძურას" თავდამსხმელმა იაპონიის ჩემპიონ „კაშიმა ანთლერზთან" შეხვედრაში მუხლი იტკინა.

იტალიელები ელოდნენ, რომ ეკვადორის წინააღმდეგ ინძაგის რომაელი ვინჩენცო მონტელა შეენაცვლებოდა, მაგრამ „კაშიმა ანთლერზთან" ერთობ უსახურმა თამაშმა მონტელა, შესაძლოა, სათადარიგოდ აქციოს, ამასთან, მწვრთნელმა ჯოვანი ტრაპატონიმ განაცხადა, რომ საბოლოო ტაქტიკური ვარიანტი ჯერ კიდევ არ მოუფიქრებია და კრისტიან ვიერის პარტნიორად მონტელასა და დელ პიეროს ერთნაირად განიხილავს.

თავის მხრივ დელ პიერომ თქვა, ტრაპატონის ასეთი განცხადება არ მიკვირს, რამეთუ ბოლო ორ ამხანაგურ შეხვედრაში მწვრთნელმა სასტარტო შემადგენლობაში არ მათამაშა.

„ტრაპატონი ათი წელიწადია მიცნობს და ექსპერიმენტს ნამდვილად არ ჩაატარებს, თუმცა ჯერ გადაწყვეტილი არაფერია. მე იმედიანად ვარ განწყობილი და მიმაჩნია, რომ ძლიერ გუნდში ძლიერად ვითამაშებ. ჩვენ ხომ აქ იმიტომ ვართ, რომ მივაღწიოთ იმ მაქსიმუმს, იტალიის ნაკრებს ბოლო 68 წლის განმავლობაში რომ მიუღწევია". — აქ დელ პიერომ, მიხედვით, სამგზის მსოფლიოს ჩემპიონობა იგულისხმა.

შემდეგ დელ პიერომ დასძინა: „ვატყობ, ჩემს ხსენებაზე უფრო „იუვენტუსი" აგონდებათ, ვიდრე ნაკრები. მიზეზი გასაგებია, ნაკრებთან ერთად არასდროს არაფერი მომიგია, კლუბში კი უამრავი ტიტული მოვიპოვე, თუმცა, როგორც გითხარით, ოპტიმისტურად ვარ განწყობილი, რადგან ოთხი წლის წინანდელთან შედარებით თავს უკეთ ვგრძნობ. მაშინ დაშავებული ვიყავი".

და ბოლოს: „ცხადია, ძირითად შემადგენლობაში რომ არ შემიყვანენ, გული დამწყდება. ვინ იტყვის, სკამზე ჯდომა მახარებსო: ამას ის ხალხიც არ ამბობს, იმთავითვე თადარიგისთვის რომ ჰყავთ წაყვანილი. თუ ნაღდი პროფესიონალი ხარ, მოედანზე გინდა ყოფნა".

**ბაკურა ძიძია**

# მორიენტესი ბურთმა დაჩაგრა

## ესპანეთი

**გაზეთი** „მარკა" გვამცნობს, რომ მადრიდის „რეალისა" და ესპანეთის ნაკრების თავდამსხმელმა ფერნანდო მორიენტესმა ერთ-ერთი ვარჯიშისას მარჯვენა კოჭი დაიზიანა და სამკურნალო შეიქნა. თუმცა, საგანგაშო არაფერი უნდა იყოს: „მსუბუქი ტრავმაა და გართულებები არ მოჰყვება — განაცხადა ესპანეთის ნაკრების ექიმმა ხუან ხოსე რამოსმა — ჩვეულებრივ, ასეთ იარებს ფეხბურთელები ძალიან მალე იშუშებენ, ასე რომ, სანერვიულო არაფერია. ეს არის, გამოკვლევის საბოლოო პასუხი ორ დღეში გვეცოდინება".

მორიენტესს კოჭი მაშინ უღრძვია, როცა თანაგუნდელ ფერნანდო იეროსთან ცალშეხებას თამაშობდა და უნებლიედ ბურთს ფეხი უხერხულად დააბიჯა. რამოსმა კი ისიც თქვა, თითქმის დარწმუნებული ვარ, სლოვენიასთან პირველი მატჩისთვის მორიენტესი საღსალამათი იქნებაო.

სხვა მხრივ კი ესპანელთა ბანაკში სიმშვიდეა, ტრავმა მოირჩინა „ვალენსიას" შუახაზელმა დავიდ ალბელდამ, ხოლო მწვრთნელი ხოსე ანტონიო კამაჩო ბოლო ვარჯიშებისას მთავარ ყურადღებას ფუნქციონალურ მომზადებას უთმობს.

**სოლომონ გულისაშვილი**


REUTERS სურათიდან

ფერნანდო მორიენტესის ტრავმა არც ისე საშიშია, როგორც ერთი შეხედვით ჩანს

## ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი

ფინალი

საფრანგეთი 0:0 (ხელ. 0:0დ.დ.) ჩეხეთი

# კორეა–იაპონია 2002
## მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე დარჩა 2 დღე

# ნაკრებს ბაბაიარო, ხალხს ტელევიზორი

### ნიგერია

„სუპერარწივები" ამომავალი მზის ქვეყანაში წინა კვირას გადაფრინდნენ და წინასამუნდიალო მზადებასაც გულმოდგინედ შეუდგნენ. მწვრთნელმა ადეგბორი ონიგბინდემ ერთის გარდა ყველა რჩეული წაასხა იაპონიაში. მწვრთნელს ნაკრების დაცვის ბურჯის, სელესტინ ბაბაიაროს კოჭის ტრავმამლა გაუჩინა სადარდებელი.

„ჩელსის" უკანახაზელი თანაგუნდელებს აზიაში ვერ გაჰყვა, ლონდონში დარჩენა არჩია. საბო ბაბაიარო, სელესტინის მამა, რომელიც სამშობლოდან ლონდონს გადაფრინდა, შვილს თავზე დაადგა, არიქა, ბიჭი მსოფლიოს ჩემპიონატის გარეთ არ დამირჩესო. მამა ბაბაიარომ ონიგბინდესთან სასიხარულო უსტარიც მალე აფრინა, სელესტინი ფორმაშია და ხუთშაბათს, 30 მაისს, შემოგიერთდებათო.

მწვრთნელმა შვებით ამოისუნთქა, მაგრამ სელესტინის კვლავ „გაარწივება" კანუების ოჯახისთვის მაინცდამაინც სასიამოვნო სიახლე ვერ გამოდგა. არა, ნვანკვოს არაფერი, მისი უმცროსი ძმა ოგბონა კი უმუნდიალოდ დატოვა. ნიგერიელთა მწვრთნელმა ყმაწვილი კანუ იაპონიაში იახლა — ვაითუ, სელესტინის კოჭმა მიმუხთლოსო.

მოკლედ, ბაბაიარო ექიმების და მშობლის ხელშეწყობით სამუნდიალოდ ვარგისია, ამიტომაც პატარა კანუს აზიის დასალიერში მხოლოდ ტურისტად ყოფნა მოუწევს.

ონიგბინდემ თავისი მაგარი ბიჭები კი ბოლომდე შეკრიბა, მაგრამ ასოცმილიონიანმა ნიგერიამ ეგებ, ფეხბურთი ვერ ნახოს: ელექტროენერგიის სიკეთე ნიგერიის მოსახლეობის მხოლოდ ოცდაათმა პროცენტმა უწყის, ხოლო ტელევიზორიანი ოჯახების რაოდენობა გაცილებით ნაკლებია.



სელესტინ ბაბაიარო დროულად თუ მომჯობინდა, ფრედერიკ ლიუნგბერგსაც (№8) გაუმკლავდება

**გიორგი გამარდაშვილი**

# პრეზიდენტთან ვერ ამოიღებ
## რა უნდა ამოიღო, ვინ ამოგაღებინებს? ის კი არ არის...



არიელ ორტეგა გაათეს

### არგენტინა

**ერთი ამბავია** მსოფლიოს ჩემპიონატი, მეორე კი არგენტინის 10-ნომრიანი მაისურა. გაუჩოებმა დიეგო მარადონას პატივსაცემად ათიანის სამუდამოდ ამოღება რომ გადაწყვიტეს, ადრე გაუწყეთ. ისიც მოგეხსენებათ, რომ მუნდიალის საორგანიზაციო კომიტეტმა არგენტინელებს დასტური კი მისცა, მაგრამ ზეპ ბლატერი აიჯაგრა. ფიფას ვიცე-პრეზიდენტ ხულიო გრონდონასაც რაღა ეთქმოდა, რა ვუყოთ, რახან ბლატერი არ იშლის, ნუ გავაბრაზებთო.

ათიანის დაბრუნება აწ უკვე ფენერბაჰჩელ არიელ ორტეგას ათინათივით დაეცა. ორტეგა ამავე ნომრით საფრანგეთშიც თამაშობდა და ახლაც მისი იქნება.

თუ „ზევით" ზეპ ბლატერი გაჯავრდა, „ქვემოთ" არგენტინელი ფეხბურთელები განაწყენდნენ, ნუთუ დიეგოს მსოფლიო ფეხბურთის წინაშე დამსახურება არ ჰქონდაო.

**გაგა ხუციშვილი**

# სამი რა ვიცი ამქვეყნად...
## ვასეჟის მერვედფინალური რეპეტიცია

### ბელგია

**კოსტარიკელებთან** გამარჯვებამ ბელგიელთა მწვრთნელი რობერ ვასეჟი ისე დაქოქა, ენად გაიკრიფა. ნუ იტყვით და, თურმე ბავშვობიდან ოცნებობდა სამხრეთამერიკულ გუნდთან თამაშზე: „ძალიან მინდოდა, რომელიმე სამხრეთამერიკულ ნაკრებთან გაჯიბრება. მატჩმა კი ჩემი ვარაუდი გაამართლა — გუნდს კოსტარიკული გამოცდა ძალიან წაადგა. ისინი ერთობ თავისებურ ფეხბურთს თამაშობენ. ორთაბრძოლებში დაგვჩაგრეს, თან დებიუტშიც მძლავრად ბურთაობდნენ. არაა გამორიცხული, რომ მერვედფინალში მათ გადავეყაროთ, ამიტომაც ეს მატჩი ორმაგად სასარგებლო იყო".

მერე ვასეჟმა ცას ახედა და ამინდზეც ორიოდ სიტყვა თქვა: „29-გრადუსიან სიცხეში თამაში ძნელია, მაგრამ შეუძლებელიც არაფერია. კლიმატს ნელ-ნელა ვეჩვევით. მთლიანობაში ფეხბურთელების ფიზმომზადებით კმაყოფილი ვარ".

ვასეჟი არც საერთო განწყობას უჩივის, ბელგიელებს პრობლემები მინიმუმამდე დაუყვანიათ: „მაისის დამდეგიდან იდეალურ პირობებში ვემზადებით. აქაც შესანიშნავი დახვედრა მოგვიწყვეს. ახლა მხოლოდ ჯგუფიდან გასვლაზე ვფიქრობთ. თავს ყველანი შესანიშნავად ვგრძნობთ".

ბოლოს მწვრთნელმა იაპონია — შვედეთის ამხანაგური მატჩიდან გამოტანილი დასკვნებიც გაამხილა. მოგეხსენებათ, იაპონელები ბელგიელთა მეტოქენი არიან.

პირველი: შვედეთის დარ გუნდებთან თამაში ძნელია. იაპონელებმა კი პირიქით, ლაღად იმოძრავეს, განსაკუთრებით საწყის 30 წუთში.

მეორე: ყველას რატომღაც ჰგონია, რომ იაპონელები თავით თამაშში მოიკოჭლებენ, მათ საპირისპირო დაამტკიცეს. შვედებს ბევრი საჰაერო დუელი მოუგეს.

მესამე: იაპონელები პირველ ტაიმში აგებდნენ, თუმცა გამონახეს ძალები და მძლავრად შეუტიეს. მართალია, ავტოგოლით, მაგრამ გათანაბრება მაინც მოახერხეს, რაც ხასიათის სიმტკიცეზე მიუთითებს.

აქედან გამომდინარე, დარწმუნებული ვარ, ჩემპიონატის თანამასპინძლებთან ურთულესი შეხვედრა გველისო, დაასკვნა ვასეჟმა.

**გაგა ხუციშვილი**



REUTERS ფოტოქრონიკა

რობერ ვასეჟმა შეგირდები საიაპონიოდ დამოძღვრა



REUTERS ფოტოქრონიკა

# ტოკიოში ბურთი დაგორდა

*იაპონელებმა რომ საქმის კეთება იციან, ნურავინ დაიტრაბახებს. ცათამბჯენებსაც ისეთებს აგებენ, შვიდი რაა, მეტბალიან მიწისძვრასაც უძლებს და ზემცირე რალაცეების კეთებაშიც ბადალი არ ჰყავთ.*

*მაგრამ ეს ფოტო ზემოთ თქმულის დასამტკიცებლად სწორედ რომ ვერ გამოდგება.*

*რაკილა, მსოფლიოს ჩემპიონატია, ტოკიოელებმა ყველაფერი სამუნდიალოდ გააწყეს და ეს უზარმაზარი ბურთი გვარიან სიმაღლეზე დაამაგრეს. და თუ როგორ დაამაგრეს, თავადაც ხედავთ...*

*ისე, საინტერესოა, მანქანის პატრონს ზარალს ვინ აუნაზღაურებს?*

# თანგადაყოლილი სიყვითლე

**შესარჩევ ეტაპზე** მიღებული ყვითელი ბარათი ფიფელებს არ ავიწყდებათ და ხუთ ფეხბურთელს ადრე მიღებული დისკვალიფიკაციის გამო მუნდიალის პირველი მატჩების გამოტოვება მოუხდება.

ჩეზარე მალდინის პარაგვაის იმპულსის წყარო, ხოსე ლუის ჩილავერტი სამხრეთაფრიკელებთან შეხვედრას გამოტოვებს, მერე კი რამდენიც უნდა, ილრიალოს და ურტყას პენალტ-ჯარიმები.

ფრანგებთან მატჩში სენეგალელები პაპე სარის მოისაკლისებენ. სარისთვის ეს ერთობ სამწუხარო ფაქტია, რადგან მსოფლიოს ჩემპიონატის გახსნის მატჩში მონაწილეობა პატარა ამბავი არ გახლავთ.

არგენტინელებთან დაჯახებისგან „სიამოვნებას" ვერც ნიგერიელი იფეიანი უდეზე მიიღებს.

სხვებზე მეტად მექსიკის ნაკრები დაზარალდა. ხორვატებთან მათ ხუან როდრიგესი და ხესუს არელანო არ ეყოლებათ. როდრიგესს მეორე მატჩში თამაშის უფლება მაინც ექნება, არელანო კი იმასაც გამოტოვებს.

**გაგა ხუციშვილი**

# ამბავ-ხაბარი

**ბელგიის** ნაკრების თავდამსხმელმა უესლი სონკმა ტრავმა მიიღო და რამდენიმედღიანი იძულებითი დასვენება მოუწევს. შეგახსენებთ, რომ „გენტის" ფორვარდი უკვე დასრულებული ეროვნული ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი და ბომბარდირი გახდა.

**ჩინეთის ნაკრების მწვრთნელმა ბორა მილუტინოვიჩმა გულშემატკივრები გააფრთხილა, მუნდიალზე გუნდისგან დიდ წარმატებას ნუ ელითო. „არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩინეთი მსოფლიოს ჩემპიონატის დებიუტანტია" — მოკლედ მოჭრა გამოცდილმა მწვრთნელმა, თუმც იქვე ისიც დასძინა, ფეხბურთელები ყველაფერს გაიღებენ, რაც შეუძლიათ.**

**გვატემალის** პარლამენტის გადაწყვეტილებით, მსოფლიოს ჩემპიონატთან დაკავშირებით ქვეყანაში სამუშაო საათები შეიცვლება. მართალია, გვატემალა პაწაწინა საფეხბურთო ქვეყანაა, მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონატი იქაც უზომოდ პოპულარულია, რაზეც ეს ფაქტიც ნათლად მეტყველებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კორეა–იაპონია 2002

## მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე დარჩა 2 დღე

# უიღბლონი

## ვაი, ფეხისგან და ვაი, ზნისგან

*ორად ორი დღეც და მსოფლიოს ჩემპიონატი კარს შემოაღებს. ერთი თვის განმავლობაში კორეა-იაპონიის მოედნებზე უამრავ ვარსკვლავს ვიხილავთ — ფეხბურთელებს, რომელთა თამაშს აღფრთოვანებაში მოჰყავს მილიონობით ადამიანი...*

*თუმც გულშემატკივარი ამ საფეხბურთო ზეიმის დასრულების შემდეგაც დანანებით გაიხსენებს იმ ვარსკვლავებს, რომლებიც... არა, აქ ლაპარაკი არაა თუნდაც ჰოლანდიის ნაკრების წევრებზე, რომელთაც საკუთარ თავს უნდა დააბრალონ კორეა-იაპონიაში ნაუსვლელობა. ამ წერილის გმირები ის უიღბლო ფეხბურთელები არიან, რომლებიც ტრავმის ან მწვრთნელთა უცნაური გადაწყვეტილების გამო ვერ ითამაშებენ მუნდიალზე. საკმარისია, თუნდაც რობერტო ბაჯო ვახსენოთ...*

*სამწუხაროდ, ასეთი იმდენი ფეხბურთელია, რომ სულ მცირე, ორი უძლიერესი გუნდის შედგენა შეიძლებოდა...*



სანტიაგო კანისარესი ჯერაც გაოგნებულია

**ჩოკრი ელ-უარი** (ტუნისი), 36 **წლის:** აფრიკის საუკეთესო მეკარემ ნაკრებში თამაში თავად იუარა. მუნდიალამდე ერთი თვით ადრე თქვა, წავედიო, თუმც ყველას გასაკვირად, მიზეზი არ დაუსახელებია. საერთოდ, ტუნისის ნაკრების აწ უკვე ყოფილ კაპიტანს მოულოდნელი და უცნაური საქციელი ადრეც ხშირად ჩაუდენია. ერთხელ, მოედანზე სულაც ბასრი საგნით დაისერა სახე, აქაოდა, ტრიბუნიდან ნასროლი საგანი მომხვდაო და მსაჯი მოატყუა. შემდეგ საგანგებო კომიტეტმა სიმართლე დაადგინა და მეკარეც დისკვალიფიკაციით დასაჯა.

**სერგეი ოვჩინიკოვი** (რუსეთი), 32 **წლის:** რუსეთის ერთ-ერთ საუკეთესო მეკარეს ოლეგ რომანცევმა ავსტრიული „ტიროლის" 38 წლის სტანისლავ ჩერჩესოვი არჩია. მწვრთნელმა, ჩერჩესოვი უკეთეს ფორმაშიაო, არადა, მთელი რუსეთი გაიძახის, ოვჩინიკოვის დარი მეკარე დღესდღეობით არ გვყავსო.

**იენს ნოვოტნი** (გერმანია), 28 **წლის:** წლეულს „ლევერკუზენის" უტიტულო, თუმც მაინც შთამბეჭდავ თამაშში ერთ-ერთი მთავარი სიტყვა მასაც ეთქმის და ნაკრებშიც ადგილი გარანტირებული ჰქონდა. მაგრამ ჩემპიონთა ლიგაში „მანჩესტერ იუნაიტედთან" შეხვედრისას მიღებულმა ტრავმამ სეზონი ნაადრევად დაასრულებინა. ნოვოტნის ჯვარედინა მყესები გაუწყდა.

**გარი ნევილი** (ინგლისი), 27 **წლის:** მუნდიალზე მძიმე ტრავმის გამო ვერ ითამაშებს. მას ფეხის ტერფის ზედა ძვლის მოტეხილობა აქვს — თითქმის ისეთივე, როგორიც დევიდ ბექჰემს, თუმც გარი უფრო გვიან დაშავდა და გამოჯანმრთელება ვერ მოასწრო.

**ფილ ნევილი** (ინგლისი), 25 **წლის:** ფილი, ალბათ, იმიტომ დატოვეს შინ, რომ მის უფროს ძმას არ მოეწყინა. სვენ გორან ერიკსონმა მასმედიის რჩევას ყური უგდო, არ გამოგადგებაო, და...

**იორგ ჰაინრიხი** (გერმანია), 32 **წლის:** ბუნდესლიგის მომგებმა ნაკრებში თამაში თავად იუარა. ძალიან გადამღლელი სეზონი მქონდა და გამოფიტული ვარო, განუცხადა რუდი ფიოლერს. ბუნდესნაკრების თავკაცსაც სხვა რა გზა ჰქონდა — შემცვლელზე ფიქრი დაიწყო...

**იგორ ტუდორი** (ხორვატია), 24 **წლის:** ახოვანი მცველი ნაკრებისთვის დიდი ძალაა, მაგრამ ამ სეზონში ტრავმებმა დატანჯა და მუნდიალის მილმაც დარჩა.

**სერხი** (ესპანეთი), 30 **წლის:** მადრიდის „რეალთან" ჩემპიონთა ლიგის მატჩში მიღებულმა ფეხის ტრავმამ მის სანაკრებო ამბიციას წერტილი დაუსვა.

**ჯანლუკა პესოტო** (იტალია), 32 **წლის:** მისი კორეა-იაპონიაში წასვლა არავის გაუკვირდებოდა, მაგრამ ურუგვაის ნაკრებთან ამხანაგურ შეხვედრაში ფეხი უხერხულად დადგა და მუხლის მყესები დაიშავა.



ბრაზილიამ ზე რობერტო ვერ შეამჩნია

**იოს ვალგაერენი** (ბელგია), 26 **წლის:** თითქმის მთელი სეზონი აწუხებდა საზარდული, მაგრამ ოპერაციის გაკეთება არ ისურვა. გადადებულმა საქმემ კი მსოფლიოს ჩემპიონატის გარეშე დატოვა.

**ჯონათან ვუდგეიტი** (ინგლისი), 22 **წლის:** ლიდსელის შორეულ აღმოსავლეთში წაყვანა სვენ გორან ერიკსონს სულით და გულით კი სურდა, თუმც თავისი წონიანი სიტყვა ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამაც თქვა — მოგეხსენებათ, ვუდგეიტი პაკისტანელი სტუდენტის ცემაში ამხილეს და სასჯელად უნაკრებობაც დააკისრეს.

**მიჩელ სალგადო** (ესპანეთი), 26 **წლის:** ესპანეთში დღემდე ყველას უკვირს, რატომ არ წაიყვანა კამაჩომ მადრიდის „რეალის" ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე მუნდიალზე. ამის დამაჯერებელი მიზეზი ესპანეთის ნაკრების თავკაცმა ვერ დაასახელა.

**ხოსეპ გვარდიოლა** (ესპანეთი), 31 **წლის:** კატალონიელს სეზონის უმეტესი ნაწილი გაუცდა. გეხსომებათ, ის ნანდროლონის მოხმარებისთვის დასაჯეს. ბოლოს კი ათამაშდა, მაგრამ მუხლის ტრავმამ შეაწუხა.

**მეჰმეთ შოლი** (გერმანია), 32 **წლის:** ნაკრებიდან არავის გაუგდია. შოლმა, ტრავმის გამო, თავადვე იუარა მუნდიალზე თამაში. „თავს ცუდად ვგრძნობ და ნაკრებსაც სარგებელს ვერ მოვუტან. აჯობებს, ჩემი ადგილი სხვას დავუთმო" — თქვა შოლმა.

**რობერ პირესი** (საფრანგეთი), 29 **წლის:** პრემიერლიგაში ბრწყინვა-

**სანტიაგო კანისარესი** (ესპანეთი), 33 **წლის:** უდავოა, „ვალენსიას" კარის დარაჯი ბოლო წლების ესპანეთის საუკეთესო მეკარეა. ეროვნულ გუნდშიც ადგილი დაჯავშნული ჰქონდა, მაგრამ... ერთ, მისთვის უიღბლო დღეს კანისარესი ვარჯიშის შემდეგ ჩვეულებისამებრ აბაზანაში შევიდა, თავი მოიწესრიგა, ბოლოს ოდეკოლონის დასხმაც გადაწყვიტა და ტრაგიკომედიაც აქ დატრიალდა — ოდეკოლონის ბოთლი ხელიდან გაუვარდა, მარჯვენა ფეხის ცერა თითზე დაეცა, გატყდა და მყესი გადაუჭრა.

კანისარესის შესაძლო შემცვლელად უმრავლესობას ხოსე ფრანსისკო მოლინა, სესარ სანჩესი ან ანტონიო პრატსი ეგონა, თუმც... პედრო კონტრერასი! — ბრძანა ესპანეთის ნაკრების თავკაცმა ხოსე ანტონიო კამაჩომ და მუნდიალზე „მალაგას" კარის დარაჯი წაიყვანა.

**ზაკ ტორნტონი** (აშშ), 29 **წლის:** შაკკანიანი გიგანტს, ბოლო წამამდე სჯეროდა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე ითამაშებდა, მაგრამ ბრიუს არენამ სხვაგვარად განსაჯა და ნაკრების კარი ვეტერან ტონი მეოლას ანდო.



სებასტიან დაისლერი უკვე მომდევნო მუნდიალზე ფიქრს შეუდგა





სტივენ ჯერარდს და დენი მერფის ერთი ჰარი შეეყარათ

# კორეა–იაპონია 2002
## მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე დარჩა 2 დღე

ლე სეზონი ჰქონდა. საუკეთესო ფეხბურთელის პრიზიც თითქმის მისი იყო, მაგრამ ტრავმამ არ დაანება. საფრანგეთის ნაკრებისთვის პირესი დიდი დანაკლისია.

**ლორან რობერი** (საფრანგეთი), **27 წლის:** პირესის არყოფნას თითქოს „ნიუკასლის“. ნახევარმცველისთვის უნდა აენთო მწვანე შუქი. მაგრამ ნაკრების თავკაცმა როჟე ლემერმა სხვაგვარად განსაჯა.

**როი კინი** (ირლანდია), **31 წლის:** ნაკრების ყოჩი და კაპიტანი მწვრთნელთან ქიშპს შეეწირა. მიკ მაკარტიმ ბევრი ითმინა, თუმც ბოლოს ფიალა აევსო და „კინოს“ კარისკენ მიუთითა. გაფუჭებულ საქმეს ირლანდიის პრემიერ-მინისტრმაც ვერ უშველა. როი კინს კი წარბიც არ შეუხრია, ისე გაეცალა გუნდს.

**სტივენ ჯერარდი** (ინგლისი), **22 წლის:** მთელი ინგლისი დევიდ ბექჰემის ტრავმას მისტიროდა, ამ დროს კი არანაკლებ მნიშვნელოვანი მოთამაშე, სტივენ ჯერარდი დაშავდა. პრემიერ-ლიგაში „იფსვიჩთან“ ნატკენი საზარდული საოპერაციო შეექნა.

**დენი მერფი** (ინგლისი), **25 წლის:** ჯერარდის შემცვლელად ინგლისელთა თავკაცმა მისსავე თანაკლუბელს უხმო, მაგრამ ისიც გამოაკლდა. მერფი ვარჯიშზე დაშავდა და შინ გააბრუნეს, სვენ გორან ერიკსონმა კი მის ნაცვლად ტრევორ სინკლერი მიიწვია.

**კრისტიან კარამბეუ** (საფრანგეთი), **32 წლის:** მას თავისუფლად შეეძლო მსოფლიოს ჩემპიონატამდე მოერჩინა უმნიშვნელო ტრავმა, თუმც როჟე ლემერმა მისი მიწვევისგან მაინც შეიკავა თავი და, ფაქტობრივად, ყველაფრის მომგებ კარამბეუს მზეთუნახავ მეუღლესთან, სუპერმოდელ ადრიანა სკლენარიკოვასთან განმარტოების შესაძლებლობა არ მოუსპო.

**სანტიაგო სოლარი** (არგენტინა), **25 წლის:** მადრიდის „რეალის“ წამყვანი ნახევარმცველი (ერთი ვერსიით, წლის საუკეთესო ფეხბურთელი) ყველას გასაოცრად ნაკრებს მიღმა დარჩა. მარსელო ბიელსამ სოლარის სამსახურზე უარი თქვა.

**სებასტიან დაისლერი** (გერმანია), **22 წლის:** ეს სეზონი ნიჭიერი ფეხბურთელისთვის, ალბათ, ყველაზე კოშმარული გამოდგა. წლეულს დაისლერი სამჯერ დაშავდა. ბოლოს თითქოს გამოჯანმრთელდა, მაგრამ მუნდიალზე გამგზავრებამდე რამდენიმე დღით ადრე, ავსტრიასთან ამხანაგურ მატჩში მუხლი კვლავ დაიზიანა.

**დემეტრიო ალბერტინი** (იტალია), **30 წლის:** მას აქილევსის მყესმა მოუსპო მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაშის ოცნება. ამ სეზონში ალბერტინი ტრავმების გამო „მილანსაც“ იშვიათად ეხმარებოდა.

**ფრენკ ლამპარდი** (ინგლისი), **21 წლის:** ახალგაზრდა ფეხბურთელი სვენ გორან ერიკსონის ტაქტიკურ მოსაზრებებს შეეწირა.

**სტივ მაკმანამანი** (ინგლისი), **30 წლის:** „მაკას“ დღემდე ვერ გაუგია, რატომ არ მიიწვიეს ნაკრებში. მის ნაცვლად ინგლისის ნაკრების თავკაცმა კირონ დაიერი წაიყვანა, რომელიც ჯერაც ტრავმას იშუშებს. ისე, საინტერესოა, რომ მაკმანამანმა თავის დროზე ერიკსონის „ლაციოში“ გადასვლა იუარა და მადრიდის „რეალი“ არჩია.

**ხუან რომან რიკელმე** (არგენტინა), **23 წლის:** მარსელო ბიელსამ არც რიკელმეს მზადყოფნა მოიწონა და ნაკრების კარი დროებით მიუხურა.

**ჯალმინია** (ბრაზილია), **29 წლის:** უცმური ხასიათის მქონე ჯალმინია ნაკრების წამყვან მოთამაშედ არასოდეს ითვლებოდა, მაგრამ მისი გვარი კანდიდატებში მაინც ერია. როგორც ჩანს, ლუიშ ფელიპე სკოლარის ჯალმინიას ერთ-ერთი ბოლო „ტრიუკის“ შეეშინდა — ბრაზილიელ ფეხბურთელს ხომ „დეპორტივოს“ თავკაცი ხავიერ ირურეტა შემოელახა.

**დედე** (ბრაზილია), **26 წლის:** ბრაზილიის ნაკრებში არც ბუნდესჩემპიონ დედეს ადგილი გამოინახა. მან რამდენიმე ამხანაგური მატჩი კი ითამაშა, მაგრამ „დიდ ფილს“ თავი ვერ მოაწონა.

**ზე რობერტო** (ბრაზილია), **27 წლის:** „ლევერკუზენის“ სული და გული ამ სეზონში საუცხოო იყო. ბუნდესლიგის გარდა მან ჩემპიონთა ლიგაშიც დიდებულად ითამაშა, თუმც მსოფლიოს ჩემპიონატზე– უკაცრავად.

**რობერტო ბაჯო** (იტალია), **35 წლის:** ეს მთელი დრამაა. უპრიანი იქნება, ბაჯოს მუნდიალზე არწაყვანას ცალკე წერილი მიეძღვნას. თუმც ამაზე „სარბიელში“ არაერთხელ დაწერილა. ერთი სიტყვით, თანამედროვეობის ერთ-ერთი უდიდესი ფეხბურთელი მსოფლიოს ჩემპიონატზე არ იქნება. დანარჩენი ჯოვანი ტრაპატონის მოკითხეთ.

**რომარიო** (ბრაზილია), **36 წლის:** არანაკლები ისტორია გადახდა რომარიოსაც. უამრავ გულშემატკივართან ერთად ნაკრებში მის გამოძახებას ქვეყნის პრეზიდენტიც უჭერდა მხარს. მაგრამ „დიდი ფილი“ ყველაზე დიდი აღმოჩნდა და თავისი მაინც გაიტანა — რომარიო თამაშგარეთ დატოვა.

**ალექსანდრ ციკლერი** (გერმანია), **29 წლის:** რუსები ამ ფეხბურთელზე იტყოდნენ: „ზალატაია ზამენაია“. ვერც შევედავებით. ციკლერი ხომ არასოდეს ყოფილა თუნდაც მიუნხენის „ბაიერნის“ ძირითადი შემადგენლობის უცვლელი წევრი. ტრავმამ ნაკრები და მსოფლიოს ჩემპიონატი მისთვისაც ოცნებად აქცია.

**ნიკოლა ანელკა** (საფრანგეთი), **24 წლის:** ზედიზედ მეორე მსოფლიოს ჩემპიონატი ჩატარდება ანელკას გარეშე. „ლურჯთა“ თავდამსხმელს, ისევე როგორც 1998 წელს, ახლაც ცხვირწინ მიუხურეს ეროვნული გუნდის კარი.

**ხავიერ სავიოლა** (არგენტინა), **21 წლის:** „ბარსელონას“ ერთ-ერთი საუკეთესო მეგოლე „დიდ ვარსკვლავთა“ შორის ვერ მოხვდა. მარსელო ბიელსამ პირტიტველა სავიოლას ბებერი კლაუდიო კანიჯა ამჯობინა.

**მარსიო ამოროზო** (ბრაზილია), **27 წლის:** წლეულს ბუნდესლიგის ჩემპიონობასთან ერთად ამოროზომ ბომბარდირობაც შეძლო, თუმც ლუიშ ფელიპე სკოლარისთვის ეს რატომღაც საკმარისი არ აღმოჩნდა.

**მარიო ჟარდელი** (ბრაზილია), **29 წლის:** „ჟარდელის კლასი ნაკრების დონეს არ შეესაბამება“ — განაცხადა ბრაზილიელთა თავკაცმა. არადა, ამ სეზონში „სპორტინგის“ ფორვარდმა 42 გოლი გაიტანა. საინტერესოა, კიდევ რამდენი უნდა გაიტანოს ჟარდელმა, ლუიზაოს და კაკას რომ აჯობოს?

**ემილ მპენზა** (ბელგია), **23 წლის:** ბელგიური პასპორტის მქონე აფრიკელ ბიჭს, თანაგუნდელ იოს ვალგაერენის დარად, ძალიან ეშინოდა თეთრხალათიანი ხალხის. ჰოდა, მანაც არაერთხელ გადადო ოპერაცია და... „თავს ცუდად ვგრძნობ. სამწუხაროა, მაგრამ ნაკრებს ვერ დავეხმარები“ — თქვა დაღონებულმა მპენზამ.

**ჯოვანი ელბერი** (ბრაზილია), **29 წლის:** ის მიუნხენის „ბაიერნის“ დამრტყმელი ძალაა. მაგრამ რად გინდა? როცა ნაკრებში ედილსონი, კლებერსონი, კაკა და მისთანა ფეხბურთელები გყავს, ელბერი, ცხადია, არც გაგახსენდება.

**მარსელინიო** (ბრაზილია), **27 წლის:** რაღა უნდა ვთქვათ? როცა მსოფლიოს ჩემპიონატზე ჯოვანი ელბერი, რომარიო, მარსიო ამოროზო და მარიო ჟარდელი არ მიგყავს, მარსელინიოზე ლაპარაკიც ზედმეტია.

**კახა ზალამბერიძე**



როი კინის მეგობრად მისი ძაღლიღა დარჩა


კრისტიან კარამბეუს კიდევ რა ენაღვლება...


ლუიშ ფელიპე სკოლარის თავისი საზომი აქვს


მეჰმეთ შოლი სხვა გზით წავიდა



ზეპ ბლატერს სეული ბურთებით და სტვენით შეეგება

# შემოსავალი გამოსავალი არ არის
## ბუ-უ-უ-უ-უ ბლატერს

„**ფიფაში** მიმდინარე პროცესებზე პასუხისმგებლობის აღება არ მსურს, რადგან ფინანსურ საქმეებში არასოდეს ჩავრეულვარ" — მიშელ ზენ-რუფინენის ამ განცხადებით დაიწყო ფიფას კომიტეტთა საგანგებო სხდომა, რომელიც ფიფას დღეს გასამართ კონგრესს უძღვოდა, კონგრესზე კი, მოგეხსენებათ, ორგანიზაციის ახალი პრეზიდენტი უნდა აირჩიონ.

გენერალურმა მდივანმა სხდომის თავმჯდომარეობაზე უარი თქვა და პრეზიდენტი ზეპ ბლატერი იძულებული გახდა, თავად გაძღოლოდა ამ საქმეს. სხდომა კი ბლატერის ფინანსური ანგარიშის მოსმენას ეძღვნებოდა და პრეზიდენტის წინააღმდეგ წაყენებული ბრალდებები არ უნდა განხილულიყო, თუმცა ბლატერმა ამაზე თვითონ წამოიწყო ლაპარაკი:

„ეს ბრალდებები უსაფუძვლოა. საერთოდ, თუ შეიძლებოდა, ფიფაში — ჩვენს საამაყო ორგანიზაციაში ასეთი რამ მომხდარიყო, ვერც კი წარმომედგინა. მოწინააღმდეგენი ჩვენი პარტნიორი ISL-ISMM-ის კრახს მიხსენებენ, მაგრამ ჩვენ ხომ გადავრჩით?! იმ კრიზისით თითქმის არც გვიზარალია. დღეს კი თხუთმეტი ფინანსური პარტნიორი გვყავს. ჩვენს ანგარიშზე ასობით მილიონი შვეიცარიული ფრანკია. მზად ვარ, ყველას დავანახო ჩვენი საქმიანობის გამჭვირვალობა.

ჩემს მეგობრებსა და მხარდამჭერებს, საფინანსო და აღმასრულებელ კომიტეტებს მოვუწოდებ, შეამოწმეთ ჩემი პრეზიდენტობის პერიოდში ორგანიზაციის ფინანსები, რათა საბოლოოდ გავარკვიოთ ყველაფერი".

ბლატერის ამ მოწოდებას, წინასაარჩევნო გამოსვლას რომ უფრო ჰგავდა, დარბაზის საპირისპირო რეაქცია მოჰყვა. სადღა იყო მშვიდი გარემო, მქუხარე ოვაციებში გაზრდილი აპლოდისმენტები. ბლატერის გამოსვლას ხშირად უკმაყოფილო ბუ-ბუ-ბუ და სტვენა ფარავდა, რაც წინასაარჩევნოდ მოქმედი პრეზიდენტისთვის კარგი ნიშანი არ უნდა იყოს.

ბლატერის მონოლოგმა ვერც ვიცე-პრეზიდენტ დევიდ ვილს აუჩუყა გული. ვილმა ფიფელებს მოუწოდა, ბლატერის ფინანსური ანგარიში არ მიიღოთ, სიყალბის მეტი იქ არაფერი წერიაო. ვიცე-პრეზიდენტმა თქვა, ანგარიშში ყურადღება ორგანიზაციის შემოსავლებზეა გამახვილებული და სიტყვაც არ არის ნათქვამი დანაკარგებზე, რომელთა საერთო ოდენობა სამჯერ აღემატება საშემოსავლო ნაწილსო.

**სერგი ძორიძე**

# ორი წავიდა, ორი მოვიდა

**სეზონის** გასრულებისთანავე ჩემპიონთა ლიგის ფინალისტმა „ლევერკუზენმა" ორი წამყვანი მოთამაშე — მიხაელ ბალაკი და ბრაზილიელი ზე რობერტო „ბაიერნში" გაუშვა, მაშინვე ახალი ფეხბურთელების მოძიება დაიწყო და ორშაბათს ჩეხი თავდამსხმელი იან სიმაკი და ბრაზილიელი ჟუანი შეიძინა.

სიმაკი ბუნდესლიგის დებიუტანტ „ჰანოვერ 96"-დან გადაიბირეს, სადაც თავდამსხმელმა წლეულს 18 გოლი გაიტანა. ლევერკუზენელებმა ჩეხის სანაცვლოდ 6 მილიონი ევრო გადაიხადეს და ხუთწლიანი კონტრაქტი გაუფორმეს.

მეორე ახალწვეულის, ჟუანის, რიო დე ჟანეიროს „ფლამენგოდან" გადაყვანა კი გერმანელებს 3,5 მილიონი ევრო დაუჯდათ.

ჟუან ბრაზილიის ეროვნულ გუნდში 15-ჯერ უთამაშია, თუმცა ტეტრაკამპეონთა მწვრთნელმა ლუიშ ფელიპე სკოლარიმ იგი მსოფლიოს ჩემპიონატზე არ წაიყვანა.

„ლევერკუზენის" თავკაცმა კლაუს ტოპმიოლერმა ჟურნალისტებს ჟუანის კონტრაქტის დეტალები დაუმალა და დასძინა, ორივე შენაძენით კმაყოფილი ვარო.

**ლუკა გიგიაშვილი**



ჟუანი გაგერმანელდა

# მარჯვნივ, მარცხნივ, კარში, თუ ვან გაალი...

„**ყოველი** სეზონის გასრულების შემდეგ „ბარსელონადან" ჩემს წასვლაზე ლაპარაკობენ, ახლაც ასეა, მაგრამ ყველას გასაგონად ვამბობ: გუნდში ვრჩები, ეგ კი არა, მზად ვარ, მეკარედაც ვითამაშო, თუ ამას ახალი მწვრთნელი ლუის ვან გაალი ისურვებს".

რას არ გაიგებ კაცი?! ზემოთ თქმული სიტყვები იცით, ვის ეკუთვნის? ფეხბურთელს, რომელიც თავის დროზე ვან გაალს არ შეეპუა და მარცხენაფლანგელობა იუკადრისა, ახლა კი, მეკარეო...

ერთი სიტყვით, ლაპარაკი ბრაზილიელ რივალდოზეა. იგი ახლა, ჩვენზე კარგად გეცოდინებათ, მსოფლიოს ჩემპიონატისთვის ემზადება, თუმც კატალონიურ კლუბში მომხდარ ცვლილებებს გულგრილად არ დაუტოვებია და, როგორც ხედავთ, ჰოლანდიელი მწვრთნელისთვის თეთრი ბაირაღი გადმოუფენია.



რივალდომ მწვრთნელს დაუჩოქა

ვან გაალისა და რივალდოს გართულებულ ურთიერთობაზე ბევრჯერ ითქვა და დაიწერა, ამიტომაც ჩავლილ ამბავზე თხრობით თავს აღარ შეგაწყენთ, მით უფრო, ბრაზილიელმა ჰოლანდიელს თავი მოუდრიკა და არა გვგონია, მწვრთნელმა ფეხბურთელის ეს საქციელი კმაყოფილებით არ შეიფეროს.

ვიდრე რივალდო და ბრაზილია მუნდიალისთვის გახურებულ სამზადისში არიან, ლუის ვან გაალი, გუშინაც გითხარით, „ბარსელონაში" საქმიანობას შეუდგა. ახალი მწვრთნელი, ცხადია, თავის გარშემო ახალ ფეხბურთელებს შემოიკრებს, მათ შორის, შესაძლოა, რომის „ლაციოს" არგენტინელი ფორვარდი ერნან კრესპო ვიხილოთ, რომლის აგენტმა გუსტავო მასკარდიმ გუშინ კატალონიურ SPORT-ს განუცხადა: „კრესპოს „ლაციოდან" წასვლა თითქმის გადაწყვეტილი ამბავია, ჩემი კლიენტი კარიერას ესპანეთში გააგრძელებს. მის ტრანსფერზე „რეალისა" და „ბარსელონას" წარმომადგენლებს ველაპარაკე, ჯერ მხოლოდ ეს შემიძლია გითხრათ. ერთი კია, კრესპოს მსურველს 50 მილიონი ევროს გადახდა მოუწევს".

მასკარდიმ ენას კბილი ვერ დააჭირა და ხუან სებასტიან ვერონის საიდუმლო გათქვა აქაოდა, ვერონის ოცნება „ბარსელონაში" თამაშია, თუმც მომავალ სეზონში იგი კვლავ მანჩესტერელი იქნება, მერე კი არგენტინელის კატალონიაში თამაში ბარსელონელთა მარიფათზეა დამოკიდებულიო.

**კახა ხურციძე**

# თქვენი კოკო თქვენ!
## სანკტ პეტერბურგმა იუბილე მილანურად აღნიშნა



ფრანჩესკო კოკომ ერთ წელიწადში ბარსელონელებთან მისალმებიც მოასწრო და დამშვიდობებიც

**ახლა,** როცა მუნდიალისთვის გაგანია სამზადისია, ერთი შეხედვით, კლუბები ცოტა მივიწყებულნიც ჩანან, თუმცა ევროპული გრანდების ბოსები სატრანსფერო ციებ-ცხელებაში არიან ჩაბმულნი და ახალი სეზონისთვის სასურველი ფეხბურთელების ხელში ჩაგდება სურთ.

მათ შორის ერთ-ერთი იტალიური „მილანიცაა". მეტიც, „შავ-წითლებს", რაც სერია A-ს სეზონი დასრულდა, ფაქტობრივად, არც დაუსვენიათ. ჯერ ამერიკული ტურნე მოიარეს, გუშინწინ კი სანკტ პეტერბურგიც მოინახულეს. პეტერბურგულ ამბებზე ბოლოს გეტყვით, მანამდე კი გუნდში არსებულ საერთო ვითარებაზე ვთქვათ ორიოდ სიტყვა.

„ბარსელონადან" დაბრუნდა ფრანჩესკო კოკო. 25 წლის იტალიელი კატალონიურ კლუბში კოკო ესპანურ გრანდში იჯარის წესით თამაშობდა. „ბარსას" თუ სურვილი ექნებოდა, 1 ივნისამდე უნდა გამოესყიდა, მაგრამ ლუის ვან გაალმა უარი თქვა, კოკო არ მჭირდებაო. იტალიელიც ახალი სეზონიდან მშობლიური „მილანისთვის" გაირჯება.

ფეხი დაიშავა და ფეხბურთისგან სულ ცოტა, ხუთი თვით დაისვენებს რუმინელი კოზმინ კონტრა. დაისვენებსო კი ვთქვით, მაგრამ კონტრას ოპერაცია რომ არ ასცდება, ფაქტია. ექიმებმა დიაგნოზი უკვე დაუსვეს და რუმინელიც მუხლის ოპერაციას ბელგიაში გაიკეთებს.

როგორც იქნა, მომჯობინდა ფერნანდო რედონდო. არგენტინის ნაკრებისა და მადრიდის „რეალის" ყოფილი ნახევარმცველი ორი წლის წინ გადავიდა „მილანში" და... „შავწითელი" მაისურით ერთი მატჩიც არ ჩაუტარებია. რედონდო პირველსავე ვარჯიშზე დაშავდა. მერე ფერნანდომ ვაჟკაცურად და ამაყად თქვა, არ ვთამაშობ და კუთვნილ ხელფასზეც უარს ვამბობო. ახლა, როცა რედონდომ ვარჯიში განაახლა და თამაშსაც აგვისტოდან დაიწყებს, ადრიანო გალიანი შეპირდა, ოღონდ ითამაშე და კუთვნილს უკლებლივ აგინაზღაურებთო.

გუშინ „მილანის" ოფიციალურ ვებ-გვერდზე კიდევ ერთხელ დაიწერა ადრიანო გალიანის განცხადება: „ძალიან გთხოვთ, მოვრჩეთ ლაპარაკს. ანდრეი შევჩენკო და მანუელ რუი კოშტა არ იყიდებიან!" და იქვე „შევას" ლაკონურ პასუხსაც ამოიკითხავთ: „მე „მილანში" ვრჩები." მოგეხსენებათ, შევჩენკოს შეძენას მადრიდული „რეალი" კვლავაც ლამობს, მის სანაცვლოდ მზადაა ასტრონომიული თანხა, 80 მილიონი ევროც გაიღოს, თუმც უშედეგოდ. რაც შეეხება პორტუგალიელ პლეიმეიკერ რუი კოშტას, მის მსურველ რამდენიმე გუნდს ასახელებდნენ: „მანჩესტერ იუნაიტედი", „ჩელსი", „გალათასარაი" და „ინტერი". ამ უკანასკნელმა თანაქალაქელებს შესთავაზა, კლარენს ზეედორფი და რუი კოშტა გავცვალოთო, მაგრამ...

ერთი სიტყვით, მილანური ვითარება ჯერჯერობით ასეთია. ახლა კი შეპირებულიც.

სანკტ პეტერბურგი 300 წლის იუბილეს ზეიმობდა. იუბილე მშვენიერი სანახაობით დავასრულოთო და... „მილანი" მიიწვიეს. 27 მაისს რომ კარლო ანჩელოტის გუნდი ჩავიდოდა ნევისპირა ქალაქში, ადრევე იყო გადაწყვეტილი. „მილანიც" ჩავიდა, განახევრებული შემადგენლობით 50 ათასიანი პუბლიკის თვალწინ „ზენიტს" ეთამაშა და პენალტებით დამარცხდა. ძირითადი დრო 2:2 მორჩა, თერთმეტმეტრიანების სერიაში რუსებმა 4:3 იმარჯვეს. კახა კალაძემ პენალტი გაიტანა, ფრანგმა იბრაჰიმ ბამ ბურთი ძელს გაარტყა, შევჩენკოს კი მეკარე მალოფეევმა აჯობა.

„მილანმა" ასეთი შემადგენლობით ითამაშა: ***როსი, დაინო, დომორო (სარი 77), კალაძე, ტონეტო, ბა, ბროკი, ამბროზინი (დონადელი 69), ორლანდინი (აუბამეიანგი 65), შევჩენკო (დე მარტინი 73), ხოსე მარი (სამარკო 77).***

**გიორგი მუზაძიძე**

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

### მსოფლიოს ჩემპიონატი. პირველი ეტაპი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **31 მაისი** | | | | | | |
| 16.30 | 101 | საფრანგეთი-სენეგალი | 1,3 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,1 | 2,8 |
| | | **1 ივნისი** | | | | | | |
| 11.30 | 102 | ირლანდია-კამერუნი | 2,8 | 3,0 | 2,4 | 1,4 | 1,25 | 1,3 |
| 14.00 | 103 | ურუგვაი-დანია | 2,4 | 3,0 | 2,8 | 1,3 | 1,25 | 1,4 |
| 16.30 | 104 | გერმანია-საუდეთი | 1,25 | 5,0 | 9,0 | 1 | 1 | 3,2 |
| | | **2 ივნისი** | | | | | | |
| 10.30 | 105 | არგენტინა-ნიგერია | 1,55 | 3,4 | 5,6 | 1,05 | 1,2 | 2,1 |
| 12.30 | 106 | პარაგვაი-ს. აფრიკა | 1,9 | 3,1 | 3,8 | 1,15 | 1,25 | 1,7 |
| 14.30 | 107 | ინგლისი-შვედეთი | 1,95 | 3,0 | 3,8 | 1,15 | 1,25 | 1,65 |
| 16.30 | 108 | ესპანეთი-სლოვენია | 1,45 | 3,5 | 7,0 | 1 | 1,2 | 2,3 |
| | | **3 ივნისი** | | | | | | |
| 11.30 | 109 | ხორვატია-მექსიკა | 2,3 | 3,0 | 3,0 | 1,3 | 1,3 | 1,5 |
| 14.00 | 110 | ბრაზილია-თურქეთი | 1,45 | 3,5 | 7,0 | 1 | 1,2 | 2,3 |
| 16.30 | 111 | იტალია-ეკვადორი | 1,45 | 3,4 | 7,5 | 1 | 1,2 | 2,3 |
| | | **4 ივნისი** | | | | | | |
| 11.30 | 112 | ჩინეთი-კოსტა რიკა | 3,1 | 3,1 | 2,2 | 1,5 | 1,25 | 1,25 |
| 14.00 | 113 | იაპონია-ბელგია | 2,6 | 2,9 | 2,6 | 1,35 | 1,2 | 1,35 |
| 16.30 | 114 | კორეა-პოლონეთი | 2,7 | 2,9 | 2,5 | 1,3 | 1,2 | 1,3 |
| | | **5 ივნისი** | | | | | | |
| 11.30 | 115 | რუსეთი-ტუნისი | 1,6 | 3,3 | 5,3 | 1,05 | 1,2 | 2 |
| 14.00 | 116 | აშშ-პორტუგალია | 7,0 | 3,5 | 1,45 | 2,3 | 1,2 | 1 |

### I ტაიმის შედეგი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **31 მაისი** | | | | | | |
| 16.30 | 1001 | საფრანგეთი-სენეგალი | 1,55 | 2,6 | 9,0 | | | |
| | | **1 ივნისი** | | | | | | |
| 11.30 | 1002 | ირლანდია-კამერუნი | 3,3 | 2,0 | 3,0 | | | |
| 14.00 | 1003 | ურუგვაი-დანია | 3,0 | 2,0 | 3,3 | | | |
| 16.30 | 1004 | გერმანია-საუდეთი | 1,45 | 2,8 | 10,0 | | | |
| | | **2 ივნისი** | | | | | | |
| 10.30 | 1005 | არგენტინა-ნიგერია | 2,0 | 2,2 | 5,6 | | | |
| 12.30 | 1006 | პარაგვაი-ს. აფრიკა | 2,3 | 2,1 | 4,4 | | | |
| 14.30 | 1007 | ინგლისი-შვედეთი | 2,4 | 2,0 | 4,4 | | | |
| 16.30 | 1008 | ესპანეთი-სლოვენია | 1,85 | 2,3 | 6,5 | | | |
| | | **3 ივნისი** | | | | | | |
| 11.30 | 1009 | ხორვატია-მექსიკა | 2,8 | 2,0 | 3,5 | | | |
| 14.00 | 1010 | ბრაზილია-თურქეთი | 1,8 | 2,3 | 7,0 | | | |
| 16.30 | 1011 | იტალია-ეკვადორი | 1,8 | 2,2 | 8,0 | | | |
| | | **4 ივნისი** | | | | | | |
| 11.30 | 1012 | ჩინეთი-კოსტა რიკა | 3,4 | 2,1 | 2,7 | | | |
| 14.00 | 1013 | იაპონია-ბელგია | 3,1 | 2,0 | 3,2 | | | |
| 16.30 | 1014 | კორეა-პოლონეთი | 3,2 | 2,0 | 3,1 | | | |
| | | **5 ივნისი** | | | | | | |
| 11.30 | 1015 | რუსეთი-ტუნისი | 2,0 | 2,3 | 5,0 | | | |
| 14.00 | 1016 | აშშ-პორტუგალია | 6,5 | 2,3 | 1,8 | | | |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | **31 მაისი** | | |
| 16.30 | 2001 | საფრანგეთი-სენეგალი | 1,8 | 1,7 |
| | | **1 ივნისი** | | |
| 11.30 | 2002 | ირლანდია-კამერუნი | 1,6 | 1,9 |
| 14.00 | 2003 | ურუგვაი-დანია | 1,75 | 1,75 |
| 16.30 | 2004 | გერმანია-საუდეთი | 2,0 | 1,55 |
| | | **2 ივნისი** | | |
| 10.30 | 2005 | არგენტინა-ნიგერია | 1,85 | 1,65 |
| 12.30 | 2006 | პარაგვაი-ს. აფრიკა | 1,7 | 1,8 |
| 14.30 | 2007 | ინგლისი-შვედეთი | 1,7 | 1,8 |
| 16.30 | 2008 | ესპანეთი-სლოვენია | 1,9 | 1,6 |
| | | **3 ივნისი** | | |
| 11.30 | 2009 | ხორვატია-მექსიკა | 1,65 | 1,85 |
| 14.00 | 2010 | ბრაზილია-თურქეთი | 2,1 | 1,5 |
| 16.30 | 2011 | იტალია-ეკვადორი | 1,75 | 1,75 |
| | | **4 ივნისი** | | |
| 11.30 | 2012 | ჩინეთი-კოსტა რიკა | 1,8 | 1,7 |
| 14.00 | 2013 | იაპონია-ბელგია | 1,8 | 1,7 |
| 16.30 | 2014 | კორეა-პოლონეთი | 1,75 | 1,75 |
| | | **5 ივნისი** | | |
| 11.30 | 2015 | რუსეთი-ტუნისი | 1,75 | 1,75 |
| 14.00 | 2016 | აშშ-პორტუგალია | 1,85 | 1,65 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო | | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **31 მაისი** | | | | | | | | | |
| 16.30 | 1101 | საფრანგეთი-სენეგალი | 1,6 | 15,0 | 30,0 | 3,0 | 5,0 | 15,0 | 30,0 | 15,0 | 15,0 |
| | | **1 ივნისი** | | | | | | | | | |
| 11.30 | 1102 | ირლანდია-კამერუნი | 4,2 | 10,0 | 20,0 | 5,0 | 4,2 | 4,7 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 14.00 | 1103 | ურუგვაი-დანია | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,7 | 4,2 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 4,2 |
| 16.30 | 1104 | გერმანია-საუდეთი | 1,5 | 20,0 | 40,0 | 2,8 | 6,0 | 16,0 | 30,0 | 15,0 | 15,0 |
| | | **2 ივნისი** | | | | | | | | | |
| 10.30 | 1105 | არგენტინა-ნიგერია | 2,1 | 10,0 | 20,0 | 3,2 | 4,7 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 9,0 |
| 12.30 | 1106 | პარაგვაი-ს. აფრიკა | 2,8 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,7 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 6,0 |
| 14.30 | 1107 | ინგლისი-შვედეთი | 2,9 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,2 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 6,0 |
| 16.30 | 1108 | ესპანეთი-სლოვენია | 1,9 | 12,0 | 25,0 | 3,0 | 4,7 | 12,0 | 25,0 | 12,0 | 12,0 |
| | | **3 ივნისი** | | | | | | | | | |
| 11.30 | 1109 | ხორვატია-მექსიკა | 3,4 | 10,0 | 20,0 | 4,4, | 4,4 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 4,7 |
| 14.00 | 1110 | ბრაზილია-თურქეთი | 1,9 | 12,0 | 25,0 | 3,0 | 5,0 | 12,0 | 25,0 | 12,0 | 12,0 |
| 16.30 | 1111 | იტალია-ეკვადორი | 1,9 | 12,0 | 25,0 | 3,0 | 4,7 | 12,0 | 25,0 | 12,0 | 12,0 |
| | | **4 ივნისი** | | | | | | | | | |
| 11.30 | 1112 | ჩინეთი-კოსტა რიკა | 4,4 | 10,0 | 20,0 | 6,0 | 4,7 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,3 |
| 14.00 | 1113 | იაპონია-ბელგია | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,7 | 4,2 | 4,7 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 16.30 | 1114 | კორეა-პოლონეთი | 4,0 | 10,0 | 20,0 | 5,0 | 4,2 | 4,7 | 20,0 | 10,0 | 3,6 |
| | | **5 ივნისი** | | | | | | | | | |
| 11.30 | 1115 | რუსეთი-ტუნისი | 2,2 | 10,0 | 20,0 | 3,2 | 5,0 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 8,0 |
| 14.00 | 1116 | აშშ-პორტუგალია | 11,0 | 12,0 | 25,0 | 12,0 | 5,0 | 3,0 | 25,0 | 12,0 | 1,9 |


## გაიხსნა კროკოს ახალი ბიუროები

თბილისი, დიღომი, III მიკრორაიონი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, I[a] კორპუსი;
ზესტაფონი, გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6

## მსოფლიოს ჩემპიონატის დღეებში

# კროკო

ყოველდღიურად (ორშაბათის ჩათვლით) იმუშავებს

**სამუშაო საათები 9^00 — 19^00**

მსოფლიოს ჩემპიონატის მატჩების პირდაპირი რეპორტაჟების (ერთდროულად დანიშნული შეხვედრების შემთხვევაში, ორივე მატჩის პარალელურად) ნახვა და მოგებული თანხის თამაშის დამთავრებისთანავე მიღება შეგეძლებათ

## ნებისმიერ ბიუროში

## 2002 წლის 2 ივნისი

## თბილისის საკრებულოს არჩევნები

901. ვინ მიიღებს ყველაზე მეტ ხმას (18.00)

| | |
|---|---|
| მრეწველები | 3,0 |
| ნაციონალისტები | 3,2 |
| ახლები | 3,2 |
| ლეიბორისტები | 3,5 |
| აღორძინება | 5,0 |
| სოციალისტები | 7,0 |
| სახალხო-ტრადიციონალისტები | 10,0 |

მოგებები გაიცემა ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ ოფიციალურად გამოცხადებული შედეგის შემდეგ

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს

| | | | კი | არა |
|---|---|---|---|---|
| | | **31 მაისი** | | |
| 16.30 | 2101 | საფრანგეთი-სენეგალი | 2,0 | 1,55 |
| | | **1 ივნისი** | | |
| 11.30 | 2102 | ირლანდია-კამერუნი | 1,7 | 1,8 |
| 14.00 | 2103 | ურუგვაი-დანია | 1,7 | 1,8 |
| 16.30 | 2104 | გერმანია-საუდეთი | 2,0 | 1,55 |
| | | **2 ივნისი** | | |
| 10.30 | 2105 | არგენტინა-ნიგერია | 1,75 | 1,75 |
| 12.30 | 2106 | პარაგვაი-ს. აფრიკა | 1,8 | 1,7 |
| 14.30 | 2107 | ინგლისი-შვედეთი | 1,7 | 1,8 |
| 16.30 | 2108 | ესპანეთი-სლოვენია | 1,75 | 1,75 |
| | | **3 ივნისი** | | |
| 11.30 | 2109 | ხორვატია-მექსიკა | 1,7 | 1,8 |
| 14.00 | 2110 | ბრაზილია-თურქეთი | 1,9 | 1,6 |
| 16.30 | 2111 | იტალია-ეკვადორი | 2,0 | 1,55 |
| | | **4 ივნისი** | | |
| 11.30 | 2112 | ჩინეთი-კოსტა რიკა | 1,65 | 1,85 |
| 14.00 | 2113 | იაპონია-ბელგია | 1,6 | 1,9 |
| 16.30 | 2114 | კორეა-პოლონეთი | 1,7 | 1,8 |
| | | **5 ივნისი** | | |
| 11.30 | 2115 | რუსეთი-ტუნისი | 1,8 | 1,7 |
| 14.00 | 2116 | აშშ-პორტუგალია | 1,75 | 1,75 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

**(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | **31 მაისი** | | |
| 16.30 | 2201 | საფრანგეთი-სენეგალი | 1,2 | 4,2 |
| | | **1 ივნისი** | | |
| 11.30 | 2202 | ირლანდია-კამერუნი | 1,95 | 1,85 |
| 14.00 | 2203 | ურუგვაი-დანია | 1,85 | 1,95 |
| 16.30 | 2204 | გერმანია-საუდეთი | 1,15 | 5,0 |
| | | **2 ივნისი** | | |
| 10.30 | 2205 | არგენტინა-ნიგერია | 1,3 | 3,5 |
| 12.30 | 2206 | პარაგვაი-ს. აფრიკა | 1,65 | 2,3 |
| 14.30 | 2207 | ინგლისი-შვედეთი | 1,7 | 2,2 |
| 16.30 | 2208 | ესპანეთი-სლოვენია | 1,3 | 3,5 |
| | | **3 ივნისი** | | |
| 11.30 | 2209 | ხორვატია-მექსიკა | 1,8 | 2,0 |
| 14.00 | 2210 | ბრაზილია-თურქეთი | 1,25 | 3,8 |
| 16.30 | 2211 | იტალია-ეკვადორი | 1,2 | 4,2 |
| | | **4 ივნისი** | | |
| 11.30 | 2212 | ჩინეთი-კოსტა რიკა | 2,1 | 1,75 |
| 14.00 | 2213 | იაპონია-ბელგია | 1,85 | 1,95 |
| 16.30 | 2214 | კორეა-პოლონეთი | 1,95 | 1,85 |
| | | **5 ივნისი** | | |
| 11.30 | 2215 | რუსეთი-ტუნისი | 1,5 | 2,6 |
| 14.00 | 2216 | აშშ-პორტუგალია | 3,8 | 1,25 |

## რა ეტაპზე გავა გუნდი

| | 3101 | 3201 | 3301 | 3401 | 3501 | 3601 |
|---|---|---|---|---|---|---|
| | ჯგუფში დარჩება | 1/8 ფინალი | 1/4 ფინალი | 1/2 ფინალი | ფინალი | ჩემპიონი |
| არგენტინა | 4,0 | 1,15 | 1,4 | 1,9 | 2,8 | 4,0 |
| ბრაზილია | 8,0 | 1,01 | 1,4 | 2,0 | 3,0 | 4,0 |
| იტალია | 7,0 | 1,02 | 1,35 | 1,9 | 2,8 | 5,0 |
| საფრანგეთი | 7,0 | 1,02 | 1,4 | 1,9 | 2,8 | 5,0 |
| ინგლისი | 2,5 | 1,3 | 1,8 | 2,6 | 4,0 | 6,0 |
| გერმანია | 5,0 | 1,1 | 1,6 | 2,6 | 4,4 | 8,0 |
| ესპანეთი | 7,0 | 1,02 | 1,4 | 2,0 | 4,2 | 10,0 |
| პორტუგალია | 6,0 | 1,05 | 1,5 | 2,5 | 6,0 | 15,0 |
| კამერუნი | 2,0 | 1,5 | 2,4 | 4,4 | 15,0 | 40,0 |
| ნიგერია | 1,3 | 2,5 | 3,5 | 8,0 | 20,0 | 50,0 |
| პარაგვაი | 2,0 | 1,5 | 3,5 | 9,0 | 20,0 | 50,0 |
| შვედეთი | 1,3 | 2,5 | 4,0 | 10,0 | 20,0 | 50,0 |
| რუსეთი | 2,0 | 1,5 | 3,4 | 10,0 | 25,0 | 50,0 |
| პოლონეთი | 1,8 | 1,6 | 3,5 | 10,0 | 25,0 | 50,0 |
| ურუგვაი | 1,6 | 1,8 | 3,8 | 10,0 | 25,0 | 50,0 |
| ირლანდია | 1,6 | 1,8 | 4,0 | 10,0 | 25,0 | 50,0 |
| ხორვატია | 1,65 | 1,75 | 3,5 | 10,0 | 25,0 | 50,0 |
| ბელგია | 1,9 | 1,55 | 3,8 | 10,0 | 25,0 | 50,0 |
| დანია | 1,55 | 1,85 | 3,8 | 10,0 | 25,0 | 50,0 |
| იაპონია | 2,0 | 1,5 | 3,4 | 10,0 | 25,0 | 50,0 |
| მექსიკა | 1,35 | 2,3 | 5,0 | 15,0 | 35,0 | 75,0 |
| თურქეთი | 2,3 | 1,3 | 3,3 | 12,0 | 35,0 | 75,0 |
| ს.აფრიკა | 1,2 | 3,1 | 7,0 | 25,0 | 50,0 | 100,0 |
| ეკვადორი | 1,35 | 2,3 | 6,0 | 20,0 | 50,0 | 100,0 |
| სლოვენია | 1,25 | 2,6 | 10,0 | 25,0 | 50,0 | 100,0 |
| კორეა | 1,35 | 2,1 | 6,0 | 20,0 | 50,0 | 100,0 |
| აშშ | 1,15 | 3,5 | 10,0 | 25,0 | 50,0 | 100,0 |
| სენეგალი | 1,15 | 3,5 | 10,0 | 25,0 | 60,0 | 150,0 |
| კოსტა რიკა | 1,25 | 2,6 | 12,0 | 25,0 | 60,0 | 150,0 |
| ტუნისი | 1,2 | 2,8 | 15,0 | 40,0 | 100,0 | 250,0 |
| ჩინეთი | 1,05 | 5,0 | 15,0 | 40,0 | 100,0 | 250,0 |
| საუდეთი | 1,05 | 5,0 | 15,0 | 40,0 | 100,0 | 250,0 |

## I ადგილი ჯგუფში

**31 მაისი**
**16.30 3001 A ჯგუფ.**

| | |
|---|---|
| საფრანგეთი | 1,2 |
| ურუგვაი | 5,0 |
| დანია | 5,0 |
| სენეგალი | 20,0 |

**2 ივნისი**
**12.30 3002 B ჯგუფ.**

| | |
|---|---|
| ესპანეთი | 1,4 |
| პარაგვაი | 4,0 |
| ს. აფრიკა | 8,0 |
| სლოვენია | 8,0 |

**3 ივნისი**
**14.30 3003 C ჯგუფი**

| | |
|---|---|
| ბრაზილია | 1,15 |
| თურქეთი | 5,5 |
| კოსტა რიკა | 10,0 |
| ჩინეთი | 15,0 |

**4 ივნისი**
**16.30 3004 D ჯგუფი**

| | |
|---|---|
| პორტუგალია | 1,5 |
| პოლონეთი | 3,2 |
| კორეა | 6,0 |
| აშშ | 10,0 |

**1 ივნისი**
**11.30 3005 E ჯგუფი**

| | |
|---|---|
| გერმანია | 1,55 |
| კამერუნი | 3,8 |
| ირლანდია | 4,0 |
| ს. არაბეთი | 20,0 |

**2 ივნისი**
**10.30 3006 F ჯგუფ.**

| | |
|---|---|
| არგენტინა | 1,65 |
| ინგლისი | 2,6 |
| ნიგერია | 6,0 |
| შვედეთი | 8,0 |

**3 ივნისი**
**11.30 3007 G ჯგუფი**

| | |
|---|---|
| იტალია | 1,4 |
| ხორვატია | 5,0 |
| მექსიკა | 6,0 |
| ეკვადორი | 7,0 |

**4 ივნისი**
**14.00 3008 H ჯგუფი**

| | |
|---|---|
| რუსეთი | 2,5 |
| ბელგია | 2,5 |
| იაპონია | 3,0 |
| ტუნისი | 7,0 |


# ჯილდო ათწლოვანი «კროკოსგან»

„კროკოს" ათწლოვან იუბილესთან დაკავშირებით საგანგებო წესით შევსებული ბილეთის მომგები მოგებული თანხის გარდა ჯილდოდ მიიღებს ახალთახალ „რენო მეგანს"

ჯილდოს დაწესების შესახებ ყოველი ტირაჟის გამოქვეყნებისთანავე გამოცხადდება

გადააბით ერთმანეთს 12 მატჩი და თუ თითოეულის კოეფიციენტი იქნება არანაკლებ 1,7, ხოლო ერთ თორმეტმატჩა ვარიანტზე ჩახვალთ ფსონს არანაკლებ 5 ლარისა, ოპერატორს მოსთხოვეთ ბილეთზე საგანგებო ბეჭდის დასმა და მოგებული თანხის გარდა მიიღეთ ჯილდო

## ახალთახალი «რენო მეგანი»

საქართველოში „რენოს" ოფიციალური იმპორტიორის საფირმო მაღაზიიდან
მისამართი: ვაჟა ფშაველას 58






საგანგებო ბილეთით მოგებული თანხა „კროკოს" წესების თანახმად გაიცემა „კროკოს" ნებისმიერ ოფისში, ჯილდოს მისაღებად კი მიმართეთ ცენტრალურ ოფისს ტელეფონებზე:
34-41-84, 34-79-81, 92-38-93

## რომელ ჯგუფში გავა ყველაზე მეტი გოლი

გოლების თანაბარი რაოდენობის შემთხვევაში მოგებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ჯგუფი რომელშიც 1-ლ ადგილზე გასულ გუნდს მეტი გოლი აქვს გატანილი, შემდეგ მე-2 ადგილს და ა.შ. ყველა მაჩვენებლის ტოლობის შემთხვევაში, მოგების კოეფიციენტი გაიყოფა ასეთი ჯგუფების რაოდენობაზე

**31 მაისი. 16.30. 2301**

| | |
|---|---|
| A | 6,0 |
| B | 6,0 |
| C | 4,0 |
| D | 5,0 |
| E | 5,0 |
| F | 7,0 |
| G | 8,0 |
| H | 5,0 |

## ბომბარდირი

თანაბარი გოლების შემთხვევაში მოგება გაიცემა მხოლოდ იმ ფეხბურთელზე, რომლის გუნდმაც უკეთესი ადგილი დაიკავა ჩემპიონატის საბოლოო ცხრილში.

**31 მაისი. 16.30. 4001**

| | |
|---|---|
| ტრეზეგე | 6,0 |
| ვიერი | 6,0 |
| ანრი | 6,0 |
| რონალდო | 6,0 |
| რაული | 8,0 |
| ოუენი | 8,0 |
| კრესპო | 8,0 |
| რივალდო | 10,0 |
| ქ. ლოპესი | 15,0 |
| მორიენტესი | 15,0 |
| ბატისტუტა | 15,0 |
| ტრისტანი | 20,0 |
| მონტელა | 20,0 |
| პაულეტა | 25,0 |
| რონალდინიო | 25,0 |
| ტოტი | 25,0 |
| ინძაგი | 25,0 |
| დელ პიერო | 25,0 |
| ფაულერი | 30,0 |
| გომეში | 30,0 |
| ბირჰოფი | 30,0 |
| ბალაკი | 30,0 |
| ზიდანი | 30,0 |
| ლარსონი | 40,0 |
| ოლისადებე | 40,0 |
| პინტუ | 40,0 |
| ნოივილი | 40,0 |
| ედილსონი | 40,0 |
| ბეკჰემი | 40,0 |
| ფიგუ | 40,0 |
| ორტეგა | 40,0 |
| ვილტორდი | 50,0 |
| იანკერი | 50,0 |
| მბომა | 50,0 |
| ლუი ენრიკე | 50,0 |
| რეკობა | 50,0 |
| პეკსი | 50,0 |
| ბოკშიჩი | 75,0 |
| ვასელი | 75,0 |
| ზაჰოვიჩი | 75,0 |
| ვერონი | 75,0 |
| ჰ. შუქური | 75,0 |
| ნკატა | 75,0 |

## რამდენი გოლი გავა სულ ჩემპიონატში

**31 მაისი. 15.30. 2501**

| | |
|---|---|
| 159 და ნაკლები | 1,9 |
| 165 ან მეტი | 1,9 |

## რომელი ჯგუფის გუნდი გახდება ჩემპიონი

**31 მაისი. 16.30. 3701**

| | |
|---|---|
| A | 4,0 |
| B | 7,5 |
| C | 4,0 |
| D | 10,0 |
| E | 6,0 |
| F | 3,0 |
| G | 4,0 |
| H | 20,0 |

## რომელი კონტინენტის ქვეყანა გახდება ჩემპიონი

**31 მაისი. 16.30. 3801**

| | |
|---|---|
| ევროპა | 1,4 |
| ამერიკა | 2,4 |
| აფრიკა | 20,0 |
| აზია | 40,0 |

## საუკეთესო ფეხბურთელი

**31 მაისი. 16.30. 4101**

| | |
|---|---|
| ზიდანი | 5,0 |
| რონალდო | 5,0 |
| ბეკჰემი | 5,0 |
| ტოტი | 8,0 |
| ტრეზეგე | 8,0 |
| რივალდო | 8,0 |
| რაული | 10,0 |
| ოუენი | 10,0 |
| ვიერი | 10,0 |
| ფიგუ | 10,0 |
| ანრი | 15,0 |
| ვიეირა | 20,0 |
| კრესპო | 20,0 |
| რონალდინიო | 20,0 |
| ნკატა | 20,0 |
| ბატისტუტა | 20,0 |
| მონტელა | 30,0 |
| ლუის ენრიკე | 30,0 |
| ვერონი | 30,0 |
| ქ. ლოპესი | 30,0 |
| ნესტა | 30,0 |
| დელ პიერო | 30,0 |
| მენდიეტა | 30,0 |
| პაულეტა | 40,0 |
| ბალაკი | 40,0 |
| მორიენტესი | 40,0 |
| სქოულზი | 40,0 |
| ტურამი | 40,0 |
| მბომა | 50,0 |
| ტრისტანი | 50,0 |
| რეკობა | 50,0 |
| რობერტო კარლოსი | 50,0 |
| იერო | 50,0 |
| რუი კოშტა | 50,0 |
| ჩილავერტი | 50,0 |
| კინი | 50,0 |
| ორტეგა | 50,0 |

## რამდენ მატჩში დაინიშნება პენალტების სერია

**15 ივნისი. 11.30. 2401**

| | |
|---|---|
| 0-2 | 2,2 |
| 3-4 | 1,9 |
| 5 ან მეტი | 3,3 |

## გავა თუ არა მსოფლიო ჩემპიონატზე მატჩის ძირითადი დროის პირველ 2 წუთში (120წამში) გოლი

**31 მაისი. 15.30. 2601**

| | |
|---|---|
| კი | არა |
| 1,55 | 2,0 |

სარბიელი

სპორტული ლატარია

CROCO

BOOKMAKERS

კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება.

## კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი | №2 ცენტრალური ფოსტამტი |
| | გლდანი | I სავაჭრო ცენტრი |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი") |
| | ნინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან" |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრიწის ქუჩა №13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III მიკრორაიონი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, Г კორპუსი | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში |
| | ფალიაშვილის ქუჩა№ 27 | |
| | ჭავჭავაძის № 67 | ცენტრალური ავტოსადგური |
| გორი | ცხინვალის გზატკეცილი №11 | წმინდანელის დასახლება |
| | სტალინის ქუჩა №14 | |
| | მშვიდობის გამზირი №11 | |
| თელავი | კოსტავას ქუჩა №23 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |
| | კოსტავას გამზირი №23 | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა №21 | ყოფილი სტალინის ქუჩა |
| | ერას ქუჩა №66 | ყოფილი გორკის ქუჩა |
| | ჯავახიშვილის ქუჩა №78 | |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 113 | |
| | ალმაშენებლის ქუჩა № 21 | (სავაჭრო ცენტრი ალაში 1) |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 13 | |
| ხელვაჩაური | ალმაშენებლის ქუჩა № 50 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №39 | |
| ოზურგეთი | გურიის ქუჩა №23 | |
| გურჯაანი | დავით გურამიშვილის ქუჩა №28 | |
| ფოთი | რკალი, რუსთაველის №18 | |
| საგარეჯო | დავით ალმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | რუსთაველის გამზირი №27 | |
| ხაშური | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| ბორჯომი | რუსთაველის ქუჩა №145 | |
| ახმეტა | ჩოლოყაშვილის ქუჩა №49 | |
| ზესტაფონი | გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6 | |

## კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

## რომელი გუნდი გაიტანს ყველაზე მეტ გოლს ძირითად დროში

თანაბარი რაოდენობის გოლების შემთხვევაში, მოგება გაიცემა მხოლოდ იმ გუნდზე, რომელიც ჩემპიონატის საბოლოო ცხრილში უფრო მაღალ ადგილს დაიკავებს

**31 მაისი. 16.30. 2701**

| | |
|---|---|
| ბრაზილია | 3,5 |
| საფრანგეთი | 3,5 |
| არგენტინა | 4,0 |
| იტალია | 5,0 |
| პორტუგალია | 6,0 |
| ესპანეთი | 6,0 |
| გერმანია | 6,0 |
| ინგლისი | 8,0 |
| რუსეთი | 20,0 |
| კამერუნი | 20,0 |
| პოლონეთი | 25,0 |
| პარაგვაი | 25,0 |
| თურქეთი | 30,0 |
| ბელგია | 30,0 |
| ურუგვაი | 30,0 |
| იაპონია | 30,0 |
| ხორვატია | 30,0 |
| ირლანდია | 40,0 |
| დანია | 40,0 |
| შვედეთი | 40,0 |
| ნიგერია | 40,0 |

## რამდენ გოლს გაიტანს ძირითად დროში ჩემპიონატის მანძილზე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 31.05 | 16.30 | 2801 | საფრანგეთი | 8 ან ნაკლები | 10 ან მეტი | (1,8-1,7) |
| 01.06 | 14.00 | 2802 | ურუგვაი | 2 ან ნაკლები | 4 ან მეტი | (2,0-1,55) |
| 01.06 | 14.00 | 2803 | დანია | 2 ან ნაკლები | 4 ან მეტი | (2,0-1,55) |
| 31.05 | 16.30 | 2804 | სენეგალი | 1 ან ნაკლები | 3 ან მეტი | (2,1-1,5) |
| 02.06 | 16.30 | 2805 | ესპანეთი | 7 ან ნაკლები | 9 ან მეტი | (1,75-1,75) |
| 02.06 | 12.30 | 2806 | პარაგვაი | 4 ან ნაკლები | 6 ან მეტი | (1,55-2,0) |
| 02.06 | 12.30 | 2807 | ს. აფრიკა | 1 ან ნაკლები | 3 ან მეტი | (2,1-1,5) |
| 02.06 | 16.30 | 2808 | სლოვენია | 2 ან ნაკლები | 4 ან მეტი | (2,0-1,55) |
| 03.06 | 14.00 | 2809 | ბრაზილია | 8 ან ნაკლები | 10 ან მეტი | (1,9-1,6) |
| 03.06 | 14.00 | 2810 | თურქეთი | 4 ან ნაკლები | 6 ან მეტი | (2,0-1,55) |
| 04.06 | 11.30 | 2811 | კოსტა რიკა | 2 ან ნაკლები | 4 ან მეტი | (2,0-1,55) |
| 04.06 | 11.30 | 2812 | ჩინეთი | 1 ან ნაკლები | 3 ან მეტი | (2,0-1,55) |
| 05.06 | 14.00 | 2813 | პორტუგალია | 6 ან ნაკლები | 8 ან მეტი | (2,0-1,55) |
| 04.06 | 16.30 | 2814 | პოლონეთი | 3 ან ნაკლები | 5 ან მეტი | (2,0-1,55) |
| 04.06 | 16.30 | 2815 | კორეა | 3 ან ნაკლები | 5 ან მეტი | (1,55-2,0) |
| 05.06 | 14.00 | 2816 | აშშ | 2 ან ნაკლები | 4 ან მეტი | (1,9-1,6) |
| 01.06 | 11.30 | 2817 | გერმანია | 6 ან ნაკლები | 8 ან მეტი | (1,75-1,75) |
| 01.06 | 11.30 | 2818 | კამერუნი | 4 ან ნაკლები | 6 ან მეტი | (1,6-1,9) |
| 01.06 | 11.30 | 2819 | ირლანდია | 4 ან ნაკლები | 6 ან მეტი | (1,55-2,0) |
| 01.06 | 16.30 | 2820 | ს. არაბეთი | 1 ან ნაკლები | 3 ან მეტი | (2,0-1,55) |
| 02.06 | 14.30 | 2821 | არგენტინა | 8 ან ნაკლები | 10 ან მეტი | (1,75-1,75) |
| 02.06 | 10.30 | 2822 | ინგლისი | 5 ან ნაკლები | 7 ან მეტი | (1,55-2,0) |
| 02.06 | 10.30 | 2823 | ნიგერია | 2 ან ნაკლები | 4 ან მეტი | (2,0-1,55) |
| 02.06 | 14.30 | 2824 | შვედეთი | 3 ან ნაკლები | 5 ან მეტი | (1,9-1,6) |
| 03.06 | 16.30 | 2825 | იტალია | 7 ან ნაკლები | 9 ან მეტი | (2,0-1,55) |
| 03.06 | 11.30 | 2826 | ხორვატია | 4 ან ნაკლები | 6 ან მეტი | (1,8-1,7) |
| 03.06 | 11.30 | 2827 | მექსიკა | 2 ან ნაკლები | 4 ან მეტი | (1,9-1,6) |
| 03.06 | 16.30 | 2828 | ეკვადორი | 2 ან ნაკლები | 4 ან მეტი | (1,9-1,6) |
| 05.06 | 11.30 | 2829 | რუსეთი | 4 ან ნაკლები | 6 ან მეტი | (1,9-1,6) |
| 04.06 | 14.00 | 2830 | ბელგია | 3 ან ნაკლები | 5 ან მეტი | (2,0-1,55) |
| 04.06 | 14.00 | 2831 | იაპონია | 4 ან ნაკლები | 6 ან მეტი | (1,9-1,6) |
| 05.06 | 11.30 | 2832 | ტუნისი | 2 ან ნაკლები | 4 ან მეტი | (1,5-2,1) |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნიკა კობალავა

# დინამო, სულზე უტკბესო!

## მერაბ ჟორდანია აქაც ბრალდებულია

## პატარკაციშვილის დინამო: ჟორდანიას არა, პეტრიაშვილსაც არა, არანაირი კომპრომისი ჯონი გიგანთან



გია ფირცხალავა

*როგორც უნდა იყოს, თბილისის „დინამო" ერთ-ერთი წამყვანი და მნიშვნელოვანი თემაა არა მხოლოდ ქართული საფეხბურთო სამყაროსთვის, მთლიანად საზოგადოებისთვის.*

*„დინამოს" გარშემო აჟიოტაჟი არ წყდება. ამ კლუბის გამო კვლავ დავობენ, „დინამო" ისევ საჯილდო ქვაა და წმინდა სპორტული ასპექტების მხრივაც, „დინამოსთან" ჭიდილი და მისთვის ფეხის დადება ბევრმა ლამის იდეა-ფიქსად გაიხადა.*

*„დინამო" მართლაც და საინტერესო თემაა. გუშინდელ პრესკონფერენციაზე კლუბის აღმასრულებელმა დირექტორმა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან კარგ დამოკიდებულებაზე ილაპარაკა, ხოლო კლუბის იურისტმა, რომელიც „დინამოს" საპარტნიორო საბჭოს წევრიცაა, განაცხადა, რომ „დინამო" სფფ-ს საპრეზიდენტო არჩევნებში მერაბ ჟორდანიას მხარს არ დაუჭერს.*

აქამდე მთელმა ქალაქმა და ქვეყანამ ისე იცოდა, რომ სფფ-ს პრეზიდენტობის ერთ-ერთ კანდიდატ დავით პეტრიაშვილს მხარს „დინამოს" ერთ-ერთი პარტნიორი ბადრი პატარკაციშვილი უჭერდა. თუმც „დინამოს" იურისტმა ნიკა კობალავამ ამას წითელი ხაზი გადაუსვა.

ერთი სიტყვით, გუშინ დილმის ბაზაზე პრესკონფერენცია მოეწყო. პრესატაში ლევან სალუქვაძე, აღმასრულებელი დირექტორი გია ფირცხალავა და იურისტი ნიკა კობალავა — ამ შემადგენლობით წარსდგა ჟურნალისტთა წინაშე საფეხბურთო კლუბი „დინამო თბილისი".

*გია ფირცხალავა:* განვლილი სეზონი დამაკმაყოფილებლად უნდა ჩაითვალოს. ცხადია, მე-3 ადგილი „დინამოსთვის" მიღწევა არ არის, მაგრამ ჩემპიონატის მეორე ეტაპის დაწყებამდე ხომ მხოლოდ მე-6 პოზიციაზე ვიყავით და კლუბში ცვლილებების განხორციელების შემდეგ ის შევძელით, რომ ბოლო ტურამდე ჩემპიონის ბედი გაურკვეველი იყო. ივო შუშაკით და დამატებული ფეხბურთელებით კმაყოფილები ვართ.

— როგორც ჩვენთვის არის ცნობილი, სფფ-ის პრეზიდენტობის კანდიდატ დავით პეტრიაშვილს მხარს ბადრი პატარკაციშვილი უჭერს. თქვენ რა პოზიცია გიკავიათ სფფ-ის მიმართ? ბოლო ტურის მატჩში „ტორპედოსთან" მსაჯმა საეჭვო პენალტი დანიშნა, მანამდე საშემოდგომო ეტაპზე „დინამო" — „ტორპედოს" მატჩში, თქვენს კარში ხელით გატანილი გოლი ჩათვალა და საერთოდ, ჩემპიონატის ორგანიზაციული დონით კმაყოფილი ხართ?

— მსაჯის მოქმედება მატჩის ინსპექტორმა უნდა შეაფასოს. ფედერაციასთან კი ნორმალური ურთიერთობა გვაქვს და ამ ურთიერთობას არანაირად არ დავძაბავდი. გახსოვთ ალბათ, დილმის ბაზაზე ფედერაციის ეგიდით გამართული მწვრთნელთა მომზადების კურსები ჩატარდა. ფეხბურთის განვითარების მხრივ ჩვენ მხარს ვუჭერთ სფფ-ს.

— ჯონი გიგანი თქვენ „დინამოს" გედავებათ. ამის შესახებ რას იტყოდით?

*ნიკა კობალავა:* რამდენიმე კვირის წინ პრესის საშუალებით შევიტყვე, რომ რაღაც კომპანია აპირებს „დინამოს" ხელში ჩაგდებას. მინდა გითხრათ, რომ ჩვენ არ ვცნობთ არანაირ კონკურენტს.

20 მაისს სფფ-დან მივიღეთ მასალები შპს „ბერმუხასა" და საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილების შესახებ. ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ვალერი ჩოლარიამ პატივი დაგვდო და ყველაფერი გაგვაცნო. ამავე დროს სფფ-მ დაგვავალა, ყველაფერ ამასთან დაკავშირებით განმარტების მიცემა.

ჩვენ ბრალს გვდებენ, „დინამო" არალეგალურად ფუნქციონირებსო, რის საპასუხოდაც შეგვიძლია, შესაბამისი დოკუმენტაცია წარმოვადგინოთ — ჩვენ კრწანისი-მთაწმინდის რაიონულ სასამართლოში ვართ რეგისტრირებული.

სპორტსაზოგადოება „დინამოს" წარმომადგენელმა კახა შარაბიძემ კი გვაცნობა, რომ ეგრეთ წოდებულ საფეხბურთო კლუბ „თბილისის დინამოს" რეგისტრაცია დღემდე არ განხორციელებულა, ვინაიდან საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე საკასაციო საჩივარი გვაქვს შეტანილიო.

სხვათა შორის, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოსაც მივმართეთ და იქიდან გვაუწყეს, რომ საფეხბურთო კლუბი „თბილისის დინამო" მათთან რეგისტრირებული არ არის.

ერთი სიტყვით, ჩვენ არანაირი საფუძველი არ გაგვაჩნია, რომ ვიღაცას მოველაპარაკოთ და ვიღაცასთან რაიმე კომპრომისზე წავიდეთ.

— მაგრამ ამას თქვენგან სფფ მოითხოვს?

*ნიკა კობალავა:* 27 მაისს ვალერი ჩოლარიას წერილი მივიღეთ, გენერალური მდივანი გვირჩევდა, კეთილი ნება გამოიჩინეთ და თქვენს მოდავე მხარეს შეხვდითო. ჩვენი პოზიცია კი ასეთია — ყოველგვარი მოლაპარაკება გამორიცხულია. ჩოლარიას წერილი მუქარას წააგავს — თუ ვერ მოილაპარაკებთ 31 მაისამდე... წერილში ფაქტობრივად ისიც წერია, გიგანი მართალიაო.

კიდევ ერთხელ დავაფიქსირებ იმას, რომ ჩვენ 1925 წელს დაარსებულ თბილისის „დინამოს" სამართალმემკვიდრეს წარმოვადგენთ.

იმასაც ვიტყვი, რომ სფფ-ის საპრეზიდენტო არჩევნებში თბილისის „დინამო" მერაბ ჟორდანიას ხმას არ მისცემს. ამ სკანდალში მეტწილად მერაბ ჟორდანიას ხელი ურევია. თუმც იმას ახლა ვერ გეტყვით, მხარს ვის დავუჭერთ, პეტრიაშვილს, პაპლიაშვილს თუ კოტრიკაძეს.

არ არის სწორი, თითქოს დავით პეტრიაშვილს ბადრი პატარკაციშვილი უჭერს მხარს. ეს თვითონ პატარკაციშვილმა მითხრა.

— თქვენი პოზიცია ნათელია, მაგრამ „დინამოსთვის" დავა ხომ მაინც გაგრძელდება...

*ნიკა კობალავა:* არანაირი სურვილი არ გვაქვს, ვინმეს ვედავოთ, მაგრამ თუ საჭირო იქნა, ვიდავებთ და, ვფიქრობ, წარმატებულადაც. მაგრამ იმას არ დავუშვებთ, რომ ჰიპოტეტური საფრთხე შანტაჟის მეთოდად აქციონ.

ჩვენზე პრესაში ისიც კი თქვეს, ფოთში ტომრებით ჩაიტანეს ფულიო. ამაზე იმის თქმა შეგვიძლია, რომ საქართველოს ჩემპიონატი ერთი პატარა ტომარაც არ ღირს. „დინამოს" ქრთამი არავისთვის მიუცია და არც მისცემს. ხოლო თუ ისე მოგვექცევიან, როგორც „მერანი", მათ 10:0-ს და 15:0-ს მოვუგებთ.

*გია ფირცხალავა:* კლუბში უზარმაზარი ინვესტიციაა ჩადებული და კიდევ ვიღაცის მოქრთამვაზე ფიქრი სისულელეა. „დინამოს" მხოლოდ მაღალი მიზნები აქვს და თუ ამას ვერ მივაღწიეთ, ესე იგი, ჩვენ ვერ ვმუშაობთ კარგად.

— მსგავსი რამ „დინამოზე" ჟურნალისტებმა კი არა, გუბერნატორმა თქვა...

*ნიკა კობალავა:* გუბერნატორის პოსტი ინტელექტის მაჩვენებელი არ არის.

**დავით თავართქილაძე**

# აშვეთიას თბილისში ალანია დახვდა



მიხეილ აშვეთია

ესპანეთში დასრულებულ საერთაშორისო ტურნირზე, რომელშიც მიხეილ აშვეთიას „კოპენჰაგენიც" მონაწილეობდა, დანიელები ნახევარფინალში მასპინძელ „სევილიასთან" 0:2 დამარცხდნენ. ქართველმა თავდამსხმელმა ყველა მატჩში შეუცვლელად ითამაშა, თუმც გოლი არ გაუტანია, მხოლოდ მატჩისშემდგომი პენალტების სერიაში გამოიჩინა ორჯერ თავი.

გუშინ მიხეილ აშვეთია საქართველოში ჩამოვიდა. ჩვენებური სამშობლოში 23 ივნისამდე დარჩება, მერე კი...

მერე რა მოხდება, თავად აშვეთიამაც არ იცის. „კოპენჰაგენში" უთამაშებლობით თავმობეზრებული ქართველი ფორვარდი ახალი კლუბის ძიებაშია. ყველაზე რეალურად კვლავაც ვლადიკავკაზის „ალანია" მოჩანს.

— დღეს „ალანიას" წარმომადგენლებს შევხვდები და ბევრი რამ ამის შემდეგ გაირკვევა. ვნახოთ, რა მოხდება. ძალიან მინდა, „კოპენჰაგენი" დავტოვო. თამაში მომენატრა — გვითხრა გუშინ მიხეილ აშვეთიამ.

23 წლის ქართველი თავდამსხმელი „კოპენჰაგენის" ხელმძღვანელობას ერთხელაც შეხვდა და:

— მათ კატეგორიულად მოვთხოვე, უფლება მომცენ, გუნდიდან წავიდე. თუმც, სამწუხაროდ, ჩემს გაყიდვას არ აპირებენ, სულ სხვა გეგმები აქვთ. არადა, მე თამაში მინდა, ამის გარანტიას კი ვერ მაძლევენ. ამიტომ ვცდილობ, „ალანიას" ვარიანტი ხელიდან არ გავუშვა, თუმც იმასაც გააჩნია, ვლადიკავკაზელები რას შემომთავაზებენ. ჩემს გარდა ხომ „ალანიამ" დანიური კლუბიც უნდა დააკმაყოფილოს — გვითხრა ბოლოს მიხეილ აშვეთიამ.

ჩვენებურს სხვა ვარიანტებიც აქვს, თუმც, როგორც მოგახსენეთ, ყველაზე რეალურად მაინც „ალანია" ეჩვენება.

**ბაკა შალამბერიძე**

ბევრი იცოდვილა შვეიცარიის **A** ჯგუფში ლევან ხომერიკის „აარაუმ" და ბოლოს დაემშვიდობა კიდეც უძლიერესთა ლიგას. შვეიცარიის ჩემპიონატის პირველი ეტაპის მერე ჩამორჩენილმა „აარაუმ" ქვედალიგელებთან და მასავით მოტოვებულებთან გაზაფხულზე თითქმის ტოლ-სწორად კი ითამაშა, მაგრამ, თანაბარქულიანობის მიუხედავად, მაინც მოუხდა **A** ჯგუფის დატოვება. სხვათა შორის, „აარაუს" „ლუცერნიც" გაჰყვა, სადაც ერთხანს „ციურიხიდან" განათხოვრებულმა გოჩა ჯამარაულმაც ითამაშა.

ლევან ხომერიკისთვის კი წინა სეზონი გაცდენილად შეიძლება ჩაითვალოს. ჯერ კიდევ ზაფხულში მიღებულმა ტრავმამ იძულებით ხომ დაასვენა რამდენიმე თვე და მერე ვეღარც მწვრთნელისგან ეღირსა ძირითადში თამაში. „აარაუს" თავდამსხმელმა ჩემპიონატის ბოლოს სამ მატჩში მიიღო მონაწილეობა და...



# ხომერიკმა აარაუსთან საქმე გაასრულა

— მგონი, მწვრთნელს დავუმტკიცე, რომ სასტარტო შემადგენლობის ღირსი ვიყავი, სამ შეხვედრაში ორი გოლი გავიტანე და თქვენი კოლეგებისგან საკმაოდ კარგი შეფასებაც დავიმსახურე — გვითხრა ლევან ხომერიკმა — სამწუხაროდ, ჩემმა ასეთმა თამაშმა კლუბს ვერაფერი არგო, **A** ჯგუფს დავემშვიდობეთ.

— ახლა რას აპირებ, დარჩები „აარაუში"?

— „აარაუსთან" კონტრაქტი გაისად ამ დროს მიმთავრდება. გუნდი ახლა შვებულებაშია. დღეს კი შევიკრიბეთ, მაგრამ ეს საზეიმო შეხვედრა იყო, „აარაუს" 100 წელი შეუსრულდა და ხელმძღვანელობასთან ჩემს მომავალზე საუბარი მეუხერხულა. ყველანი 3 ივნისს ვართ დაბარებული და, ალბათ, იმ დღესვე გაირკვევა, დავრჩები თუ არა გუნდში.

— არავინ გეპატიჟება?

— არა, არავინ, ჩემთვის არაფერი უთქვამთ.

— გამოდის, რომ ერთი სეზონი **B** ჯგუფში ითამაშებ.

— შესაძლოა და ვიმედოვნებ, ძირითადში გამოჩნდება ჩემი ადგილი. მწვრთნელი შეგვიცვალეს, როლფ ფრინგერის ნაცვლად ახალმა პრეზიდენტმა „ქსამაქსის" ყოფილი თავკაცი ალან გაიგერი მოიწვია. ვნახოთ, იქნებ გაიგერისთვის აღმოვჩნდე ძირითადის ფეხბურთელი.

— კი მაგრამ, ფრინგერი რატომ არ გათამაშებდა?

— ვერ გეტყვით. ზამთარში ბრაზილიაში მოსამზადებელი პერიოდისას ძირითადი შემადგენლობის უცვლელი წევრი ვიყავი, მაგრამ ჩემპიონატი განახლდა თუ არა, რატომღაც ამითვალწუნა. ჟურნალისტებთან ამბობდა, ხომერიკისგან მეტს ვითხოვო. ეს მიკვირს, თამაშის შანსი თუ არ მომეცა, როგორ დავამტკიცო, რომ მეტი შემიძლია? მით უმეტეს, თავად მწვრთნელი ამბობდა, ნიგერიელმა თავდამსხმელმა ოკობალამ იმედები გამიცრუაო.

— ერთი სიტყვით, ვთქვათ, რომ „აარაუში" დარჩები?

— ეს გადაწყვეტილი ჯერ არ არის და დღეისთვის ამ კითხვაზე პასუხი გამიჭირდება. თანაც ამჟამად არც ჩემი მენეჯერი შვეიცარიაშია, რომ დაბრუნდება, ეგებ რომელიმე კლუბში გადასვლა შემომთავაზოს.

**კობა ინასარიძე**

საქართველოს 13 ჩემპიონატი

# გამოთამაშება

# გია გარანტიაა

## კილასონიებმა გორდა უმაღლესს არ დააშორეს

გორი. ცენტრალური. 28 მაისი. 17.30 საათი. 3 000 (ტევადობა 8 230)

## გორდა 2:1 ქობულეთი

| | |
|---|---|
| 1:0 გ. კილასონია (43), 2:0 ხუროძე (83), 2:1 ჩაბუნაშვილი (90) | |
| გორდა: ბათიაშვილი, დ. ბერიძე, ცქიტურიშვილი, ლაშა სილაგაძე, თავბერიძე (ლ. ხმალაძე 90), ზვ. ლაბაძე, მელაძე, გ. კილასონია, ალადაშვილი, ჯელაძე (ხურიძე 62), გოდერძიშვილი (ბუკია 89). სათადარიგონი: ბედიაშვილი, ვ. კილასონია, ლურსმანაშვილი, პაპაშვილი. მწვრთნელი: ვარლამ კილასონია | ქობულეთი: გაბუნია, ბეგლარ თედორაძე, ბეგაშიძე, ოქროპირიძე, ლ. ანჯაფარიძე, სიხარულიძე (გოგმაჩაძე 76), ყოლბაია (დ. ჯინჭარაძე 64), თალაკვაძე (ჩაბუნაშვილი 70), ბაძუნაშვილი, თ. კვირკველია, კალანდაძე. სათადარიგონი: გოგუა, გაბისონია. მწვრთნელი: ვალერიან ჩხარტიშვილი |
| გაფრთხილება: გ. კილასონია (38), თავბერიძე (61) | |
| მსაჯები: ა. შილაკაძე, ზ. დოლიძე, ი. შალამბერიძე, ი. კახიანი (ყველა თბილისი) | |
| სფფ-ის ინსპექტორი: ნ. კაკულია | |
| ჯარიმა: 19-16; კუთხური: 7-0; კარისკენ დარტყმა: 7-3; კარში დარტყმა: 17-2; ოფსაიდი: 4-1 | |

პაატა კვანტალიანი გორიდან

პირველ ლიგას ჩახედეს თვალებში გუშინ რუსთაველებმა, მაგრამ ღირსეულად გაუძლეს ბოლო გამოცდას და უშანსოდ დატოვეს უმაღლესზე დაგეშილი „ქობულეთი". ალალად და უსაყვედუროდ გაიმარჯვა „გორდამ". ზღვისპირელებმაც მონდომებით, გულდაგულ იბრძოლეს, სეზონის ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ჩაატარეს, მაგრამ გუშინ კილასონიების დღე იყო. ვარლამის დამოძღვრილ ქვემოქართლელებს გიორგიმ ისეთი ცეცხლი შეუნთო მოედანზე, „ქობულეთზე" გაცილებით სოლიდურ გუნდს გაუჭირდებოდა რუსთაველთა შეჩერება.

34 წლის გიორგი კილასონია შეუდარებელი იყო გუშინდელ შეხვედრაში. მისი თამაში ნიჭიერი დირიჟორით შთაგონებულ ორკესტრის შემოქმედებას ჰგავდა, მსმენელი რომ აღტაცებაში მოჰყავს. „გორდას" გუშინ დირიჟორიც ჩინებული ჰყავდა და შემსრულებელიც. უმცროსი კილასონიას ბურთზე თითოეულ მიკარებას განაბული ხვდებოდა „ცენტრალურის" 3-ათასიანი აუდიტორია. „გორდას" კაპიტანი ნებისმიერ სათამაშო ეპიზოდში გამარჯვებული რჩებოდა. ხან ოსტატური პასებით აგრძელებდა თავისიანთა შეტევას, ხანაც საკუთარ თავზე იღებდა თამაშს და დიდ პრობლემებს უქმნიდა ზღვისპირელებს. კილასონია შეუდარებელი იყო ბურთის ართმევაშიც და პოზიციურადაც უნაკლოდ ირჯებოდა. მას გუშინ კონკრეტული ამპლუა არ ჰქონია, ყოველთვის იქ ჩნდებოდა, სადაც ბურთი იყო. ასეთი კაცი რომ გვყოლოდა, ვნახავდი, დღეს ვინც მოიგებდაო, ჩაილაპარაკა ნამატჩევს ერთ-ერთმა გულდაწყვეტილმა ქობულეთელმა ქომაგმა.

გულშემატკივარი ვახსენეთ და ბარემ ისიც ვთქვათ, რომ რუსთაველებმა ამ საქმეშიც აჯობეს მეტოქეს. სამი ავტობუსით ეწვივნენ რუსთაველი ქომაგები გორს, „ქობულეთს" კი ორმოცდაათამდე მხარდამჭერი ჩამოჰყვა. ქვემოქართლელთა საქომაგოდ საგანგებოდ ჩავიდა გორში ბოლნისელი ალა ასათიანიც. კოკისპირული წვიმის მიუხედავად, ალამ ჩვეული ცეცხლი დაანთო ტრიბუნაზე.

თამაში „გორდას" უპირატესობით დაიწყო და მე-4 წუთზე მელაძის მზაკვრული დარტყმის შემდეგ ანგარიშიც გაიხსნებოდა, გაბუნიას რომ არ ეყოჩაღა — მეკარემ ბოლო წამს წაჰკრა თითები კარში შემავალ ბურთს. მომდევნო ათ წუთში კილასონიამ თითოჯერ გოდერძიშვილს და ჯელაძეს ჩამოურიგა საგოლე პასები. ამათ რომ ვერ იხეირეს, გიორგიმ თავად გაიწია ქობულეთელთა კარისკენ და ზღვისპირელები კვლავაც გაბუნიას თავგანწირვამ იხსნა.

ვალერიან ჩხარტიშვილის ბიჭებმა 26-ე წუთზე შეუტიეს სახიფათოდ რუსთაველებს. ანჯაფარიძემ იყოჩაღა მეტოქე მცველებთან ჭიდილში და კალანდაძე დატოვა კარგ პოზიციაში, მაგრამ მას დარტყმა გაუცუდდა. მერე ისევ კილასონიას ჯერი დადგა, მისი პასების შემდეგ ჯელაძეს ორჯერ ჰქონდა ანგარიშის გახსნის შანსი — ერთხელ კარს ააცილა ათიოდე მეტრიდან, მეორეჯერ კი ჩაწოლილ გაბუნიას გაარტყა ბურთი.

გუნდები შესვენებისთვის ემზადებოდნენ, კილასონიამ ტრიბუნები რომ ახმაურა, გიორგიმ მეტოქის საჯარიმოსთან მიიგდო ბურთი. ერთმეტრიან მონაკვეთში ორი ქობულეთელი ეფექტურად მოატყუა და მარცხენათი საგოლედ აუჭრა გაბუნიას — უზომოდ გაიხარეს რუსთაველებმა ტაიმის ბოლოს გატანილი გოლით, მაგრამ ლამის ძვირად დაუჯდათ სიხარული. „ქობულეთმა" ცენტრიდან განაახლა თამაში და ტანმორჩილმა კალანდაძემ გამოზომილი პასით საჯარიმოში ჩაუგდო ბურთი მეურვემიტოვებულ თალაკვაძეს, ამის თავური სასწაულებრივ ასცდა ბათიაშვილის კარს.

მეორე ტაიმში ბევრიც არაფერი შეცვლილა. „გორდა" მძაფრად უტევდა და ქობულეთელები მონდომებით იცავდნენ თავს. კონტრშეტევის იმედად მყოფ ზღვისპირელებს გუშინ ჩინებულად მოთამაშე ზვიად ლაბაძე და ლაშა სილაგაძე იოლად უმკლავდებოდნენ. ჩხარტიშვილის ბიჭებს მალე დაღლა დაეტყოთ, მაგრამ მაინც ჯიუტად ცდილობდნენ მატჩის გადარჩენას, თუმც „გორდას" საჭოჭმანო აღარ გაუხდია თამაშის ბედი.

რუსთაველთა გაცუდებული მომენტების აღწერა შორს წაგვიყვანს — ვარლამ კილასონიას დამოძღვრილებმა მეორე ტაიმში 12-ჯერ დაარტყეს მეტოქის კარში, აქედან სამჯერ ბურთი ძელსაც მოხვდა. უფრო ხშირად კი გაბუნია ირჯებოდა თავდადებით, თუმც 83-ე წუთზე მანაც ვერაფერი მოუხერხა ხუროძის გაწოლილ თავურს. შეცვლაზე შესულმა ცეზარმა კილასონია-თავბერიძის ეფექტურად გათამაშებული „კედლის" შემდეგ იხეირა და იქვე პირველი ტაიმის მსგავსად ქობულეთელებსაც შეეძლოთ გატანა, მაგრამ კარიდან რვა მეტრში საგოლედ შემართულ კალანდაძეს ბათიაშვილმა არ დაანება გატანა.

ზღვისპირელებმა პრესტიჟის გოლი მაინც შეაგდეს, მაგრამ ჩაბუნაშვილის 35 მეტრიდან კუშის სტილში გასროლილს კვლავაც პირველლიგელთათვის ბევრიც არაფერი შეუცვლია.



გიორგი კილასონიამ გოლით და საგოლე პასით „გორდა" უმაღლესში დატოვა



მოლდოვის ჩემპიონატის დასრულებამდე ოთხი ტურით ადრე ტირასპოლის „შერიფმა" უახლოეს მდევარ „ნისტრუს" 15 ქულით გაუსწრო ... ჩემ...ობაც დაისაკუთრა. ტირასპოლ... „ნისტრუს" თასის ფინალ... გეს, ასე რომ, დარჩენილი თამაშები ფორმალობადღა გადაიქცა.

„შერიფის" კაპიტანი და დაცვის ბურჯი ვაჟა თარხნიშვილი მორიგი მოლდოვური ტიტულით ხელდამშვენებული ჩავიდა მშობლიურ ქალაქში. ტირასპოლელებთან ერთად მან ყველაფერი მოიგო, ოქრო-ვერცხლი და თასი თარხნიშვილისთვის არც მანამდე ყოფილა უცხო. ქართული ფეხბურთი მომენატრაო, გაგვიმხილა. გორში იგი რუსთაველთა და ქობულეთელთა დაპირისპირებას ესწრებოდა. ორივე გუნდს ქომაგობდა. ტაიმებს შორის შესვენებისას კი დიდი ხნის უნახავ ნაცნობ-მეგობრებს თავი დააღწია და ჩვენი მცირე ინტერვიუც შედგა.

# ვაჟამ ოქროთი სავსე თასი დალია

## თარხნიშვილს მოლდოვა მოსწონს, გუშანს ლიგა

— სულ რამდენიმე დღით ჩამოვედი, „შერიფმა" თასის მოგების შემდეგ ჩემპიონობაც ვადაზე ადრე გაინაღდა და კლუბის ხელმძღვანელებს ორიოდ დღე გამოვტყუე. მათაც წინააღმდეგობა არ გაუწევიათ, ან კი ჩემს დარჩენას რაღა აზრი ჰქონდა, „შერიფმა" ხომ წლეულს მოლდოვაში ყველაფერს აზრი დაუკარგა.

— ნუთუ „ზიმბრუ" და „ნისტრუ" ისე დაუძლურდნენ, რომ კონკურენციის გაწევას ვერ ახერხებენ, თუ „შერიფი" გაძლიერდა ისე, რომ მოქიშპე დაელია?

— რა გითხრათ. ისინი თავისებურად კი ცდილობენ, მაგრამ სადღეისოდ ტირასპოლში უკეთესი პირობებია. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მარტო საწვრთნელი ბაზა გვაქვს ისეთი, მოლდოვაში კი არა, ბევრ ევროპულ ქვეყანაში შეშურდებათ. იქაურობა სრულად აკმაყოფილებს თანამედროვე ფეხბურთის მოთხოვნებს. კლუბი ფინანსურად წელგამართულია, მოთამაშეებიც გაცილებით ძლიერი და თანაბარძალოვანი ჰყავს და შედეგიც სახეზეა.

— ადრე თარხნიშვილის რუსეთში გადაბარგებაზე იყო ლაპარაკი, მაგრამ მოლდოვას აქამდე შემორჩით.

— „შერიფთან" კიდევ წელიწადნახევრიანი კონტრაქტი მაკავშირებს. ტირასპოლში თავს კარგად ვგრძნობ, შევეგუე იქაურობას. თანაც უკვე ასაკიც ხელს აღარ მიწყობს, აქეთ-იქეთ ვიწრიალო. ალბათ, კარიერასაც მოლდოვაში დავასრულებ.

— როცა ამდენი ფული იხარჯება, მაშინ ხელმძღვანელებიც შედეგს მოითხოვენ. არა გვგონია, მხოლოდ მოლდოვის ჩემპიონობის გულისთვის იხარჯებოდეს ფული.

— კლუბის პრეზიდენტი ვიქტორ გუშანის ოცნება ჩემპიონთა ლიგაში თამაშია. მან ააშენა თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი სტადიონი და ბაზა, ახლა კი ლიგაში მოხვედრას მოითხოვს. განა თავად არ იცის, ამისთვის მხოლოდ ბაზა და სტადიონი რომ არ კმარა, მაგრამ ევროტურნირებზე გუნდის ყოველ წარუმატებლობას მტკივნეულად განიცდის.

— გუნდის კაპიტანს და ერთ-ერთ გამოცდილ ფეხბურთელს, ალბათ, მწვრთნელებიც ანგარიშს გიწევენ. ახალი მოთამაშეების დამატებას არ აპირებენ?

— წამოსვლამდე ამაზე ლაპარაკი არ ყოფილა. ჯერ ხომ სეზონი არ დამთავრებულა და ყველას თავისი საფიქრალი აქვს. ვიცი, რამდენიმე ფეხბურთელს დაადგეს თვალი — მოლდოვაში მოთამაშესაც და უცხოელსაც, მაგრამ ჯერჯერობით კონკრეტულად არავისთან ულაპარაკიათ.

— სადღეისოდ „შერიფის" ერთადერთი ქართველი ხართ. არადა, ერთ დროს ნახევარი გუნდი ქართულად ლაპარაკობდა. რატომ შემოსწყრა გუშანი ჩვენებურებს?

— მხოლოდ ღმერთმა უწყის, რა ხდება კლუბის შინაურ სამზარეულოში, ამიტომ მე ბევრსაც ვერაფერს მოგახსენებთ. ისე, „შერიფში" ჩემს გარდა კიდევ ერთი ქართველია, სულ ახლახან გუნდის უფროსად დანიშნეს. სამწუხაროდ, გვარი არ მახსოვს, დაზმირი ჰქვია, ჩინებული ხასიათის ბიჭია და თავისი საქმეც კარგად იცის.

გამუკა კვანტალიანი



რუსთაველებმა მოთამაშე-მწვრთნელი ვარლამ კილასონია ჰაერში შეატყორცნეს


იყიდება სასწრაფოდ!

ლაზერული პრინტერი



LASERJET 5000N

ნახმარ მდგომარეობაში

ტელ. 38-11-14, 39-48-29

ფასი შეთანხმებით

# მიხეილ კაკაბაძე

მიხეილ კაკაბაძემ, ამ მრავალმხრივ განვითარებულმა და დიდად ერუდირებულმა პიროვნებამ, ქართული სპორტული ჟურნალისტიკის განვითარებაში წარუშლელი კვალი დატოვა. იგი 1983 წლის მაისში გარდაიცვალა, ახლა კი მიხეილ კაკაბაძის დაბადებიდან 80 წლისთავს აღნიშნავენ მისი ახლობლები, მეგობრები, კოლეგები, მოსწავლეები, რომლებიც უდიდესი სიყვარულით, სინანულითა და ულრმესი პატივისცემით იხსენებენ მას. თუ ვინ იყო და რა იყო მიხეილ კაკაბაძე ქართული სპორტული და არა მხოლოდ სპორტული საზოგადოებისთვის, ეს ნათლად ჩანს იმ წერილებში, რომლებსაც დღევანდელი „სარბიელი“ სამ გვერდს უთმობს.



მიხეილ კაკაბაძე სტამბაში



**მიხეილ კაკაბაძის**, ჩემი პირველი რედაქტორის ოჯახში ვართ და ვსაუბრობთ. საწერ მაგიდაზე ყველაფერი ისეა, როგორ მიხეილ კაკაბაძეს 19 წლის წინათ დარჩა. კედლებიდან თავად იგი ფოტოსურათებიდან შემოგვყურებს. გვერდით ოთახში ბიბლიოთეკაა. ერთ თაროზე მიხეილ კაკაბაძის წიგნები აწყვია. : "მეხიკო, მეხიკო"– „არგენტინის ცის ქვეშ"– „თეთრი და მწვანე"– ამ და სხვა ათზე მეტ წიგნს, რომლებიც ძირითადად 70-იან წლებში დაისტამბა, კარგად იცნობენ სპორტის მოყვარულები, მისი ავტორი საინტერესოდ მოგვითხრობს ინგლისის, მექსიკისა და არგენტინის საფეხბურთო მსოფლიოს ჩემპიონატებზე, ვენაში თუ კოლორადო სპრინგსში გამართულ ფიგურისტთა მსოფლიოს ჩემპიონატებზე, გრენობლის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე...

იმავე თაროზეა მიხეილ კაკაბაძის მიერ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მოთხრობების კრებული „სახლი". ეს წიგნი მეორე მსოფლიო ომში განცდილი შთაბეჭდილებებით დაიწერა. ზოგი ამბავი სინამდვილეში მოხდა, ზოგი კი ავტორის ნაფიქრალ-ნააზრევის ნაყოფია.

მიხეილ კაკაბაძის მეუღლე, ქალბატონი მანანა ქავთარაძე-კაკაბაძე თვალისჩინივით უფრთხილდება ქმრის ნამოღვაწარს — თითოეულ წიგნს თუ ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებულ პუბლიცისტურ წერილს, ნარკვევს, რომლებიც სხვადასხვა სფეროს ეხება: სპორტს, კინოს, ქართული ენის სიწმინდის პრობლემებსა თუ ჟურნალისტიკის საკითხებს.

— კუწას გაგიჟებით უყვარდა თავისი საქმე — გვიამბობს ქალბატონი მანანა, — ჟურნალისტიკა და საგაზეთო საქმიანობაში ფუსფუსი მისი ყოველდღიური სამუშაო კი არა, მოთხოვნილება იყო, რასაც მთელი ცხოვრება შეალია. დღედაღამ გაზეთზე ფიქრობდა. ეგ კი არა, უშნოდ დაკეცილი გაზეთის დანახვასაც ვერ იტანდა. გარეგნულად ემოციებს მაინცდამაინც არ გამოხატავდა, ნებისმიერ მდგომარეობაში სიმშვიდეს ინარჩუნებდა, მაგრამ გულში დიდი ცეცხლი ენთო და შინაგანად იწვოდა. მაშინაც ასე იყო, როცა სულ ბოლოს „ლელოს" რედაქტორობიდან გაათავისუფლეს. არ იმჩნევდა, მაგრამ ჩემზე უკეთ ვინ იცის, როგორ საშინლად განიცადა, იმ საყვარელ საქმიანობას რომ ჩამოაშორეს, რომელსაც მთელი ცხოვრება შეალია.

კუწას ბევრი მეგობარი და ნაცნობთა დიდი წრეც ჰყავდა. ყველას უყვარდა და პატივს სცემდა, მაგრამ მათ შორის თუ ვინმე დამსმენი და ჭილყვავი გამოერეოდა, სამაგიეროს გადახდა აზრადაც არ მოსდიოდა. ამბობდა, მაგათ ისიც ეყოფათ, ეგეთები რომ არიანო.

დამსმენები კი მუდამ იყვნენ, არიან და ალბათ იქნებიან კიდეც. ასეთი „ჭილყვავნი" შურით, ბოღმით, მისი სავარძლის დასაუფლებლად თუ საკუთარის შესანარჩუნებლად მიხეილ კაკაბაძის აპოლიტიკურობაზე მიუთითებდნენ...

აპოლიტიკურობაზე ჩამოვარდა სიტყვა და თავად გამახსენდა: ერთხელ, ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლემ, „ლელოში" რაღაც წერილი მივიტანე. რაზე ან ვისზე იყო, აღარ მახსოვს, მიხეილ კაკაბაძის შეცბუნება კი ახლაც თვალწინ მიდგას. იმ წერილში რაღაც ამდაგვარი ფრაზა მქონდა: ამან და ამან ჩვენი ქვეყნის პირველობაზე გაიმარჯვა-მეთქი. მიშა ძიამ, როგორც მაშინ ვეძახდი, ეს რომ წაიკითხა, მკითხა: „რომელი ჩვენი ქვეყნის პირველობაზე?" საბჭოთა კავშირისა-მეთქი. ამის გაგონებაზე კაცი ლამის სკამზე შეხტა, ჩვენი ქვეყანა საბჭოთა კავშირი კი არა, საქართველოაო.

— სწორედ ასეთი აპოლიტიკურობის გამო გაათავისუფლეს სამუშაოდან — გვეუბნება ქალბატონი მანანა — კუწა და მისი მეგობრები ბავშვობიდანვე აპოლიტიკურად იყვნენ განწყობილნი. მე და კუწა თანაკლასელები ვიყავით და ერთი ასეთი ამბავი მახსენდება: მეცხრე კლასში ვიყავით, როცა ჩვენმა თანაკლასელმა ნონა მუსხელიშვილმა დაფაზე დიდი ასოებით დაწერა: „გაუმარჯოს საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს!" ის დღე მთელმა კლასმა შატალოთი აღვნიშნეთ.

ამაზე სკოლაში ხომ ერთი ვაიუშველებელი ატყდა და ჩეკაც ფეხზე დადგა. მთელ კლასს ყოველდღე დაკითხვაზე გვიბარებდნენ. ბოლოს ყველაზე აქტიურები სკოლიდან გაგვრიცხეს, რადგან ისედაც „ხალხის მტრების" შვილებად ვიყავით მონათლულნი.

იმ წლებში ყოველ გაფაჩუნებაზე ყველას სული კბილით გვეჭირა. ობლდებოდნენ ბავშვები, ხშირად უპატრონოდ, უსახლკაროდ რჩებოდნენ ახალგაზრდები. სტუდენტებს, „ხალხის მტრების" შვილებს, უმაღლესი სასწავლებლებიდან რიცხავდნენ...

— მაინც, როგორი იყო თქვენი მეუღლის ბავშვობა? — ვეკითხები ქალბატონ მანანას და ისიც პასუხად მიჩვენებს ხელნაწერ ჟურნალ „ცვარს", რომელსაც თურმე მიხეილ ხონელის ფსევდონიმით მიხეილ კაკაბაძე რედაქტორობდა.

— იმ უმძიმეს დროს, საშინელ პირობებში, არ მახსოვს შემთხვევა, რომელიმე ახალგაზრდა გზას აცდენილიყო: ჩვენი თანაკლასელი 13-14 წლის ბიჭები საქმით იყვნენ დაკავებულნი, — ამბობს ქალბატონი მანანა — ისინი ზაფხულობით, არდადეგებისას უშვებდნენ „ცვარს". ნახეთ, რა საინტერესო წერილები ქვეყნდებოდა ამ ჟურნალში: მეფე ერეკლეზე, ვახტანგ გორგასალზე, შოთა რუსთაველზე (750 წლის იუბილესთან დაკავშირებით), აკაკი წერეთელზე, ალექსანდრ პუშკინზე, გი დე მოპასანზე, ჟორჟ სანდზე...

ქალბატონი მანანა ფურცლავს ხელნაწერ ჟურნალს და მიკითხავს ზოგიერთ სათაურს: „ესპანეთის ხალხს", „ესპანეთის ფრონტზე", „ქართულ ხალხურ პოეზიაზე", „ძველ ქართულ მწერლობაზე", „ალექსანდრე ორბელიანი"...

ერთ-ერთ ნომერში ჟურნალი მკითხველს ანრი ბარბიუსის გარდაცვალებას აუწყებს. ერთგან რედაქცია მკითხველს ასეთი შეკითხვითაც მიმართავს: „რომელი ცნობილი მწერალი ვერ ურიგდებოდა საქართველოს შეერთებას რუსეთთან? როდის დაიბადა იგი? ვინ იყო მამამისი? როდის გარდაიცვალა და როგორ?" ან კიდევ: „როდის მოხდა აჯანყება გურიაში? რომელ მწერალს აქვს აჯანყება მხატვრულად აღწერილი?"

— ეს სათაურები თუ კითხვები შეიძლება გულუბრყვილოდაც მოგეჩვენოთ, მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ, რომ ჟურნალს მეხუთე-მეექვსე-მეშვიდეკლასელი ბიჭები უშვებდნენ, — ამბობს ქალბატონი მანანა, — კუწა და მისი მეგობრები ინტერესით ადევნებდნენ თვალს სპორტულ მოვლენებს და ხელნაწერ გაზეთებსაც უშვებდნენ. ეს გაზეთები იყო: „ცისარტყელა", „ფეხბურთი", „ხონელი".

ერთი სიტყვით, კუწამ ბავშვობაშივე განსაზღვრა თავისი მომავალი პროფესია და სიცოცხლის ბოლომდე ჟურნალისტიკას ემსახურა. სიცოცხლის ბოლოს კი...

— სიცოცხლის ბოლოს, საავადმყოფოში ეს ლექსი დაწერა, — მეუბნება ქალბატონი მანანა და ხელნაწერს მიჩვენებს. ამ ლექსში სიკვდილის მოახლოება იგრძნობა. მართლაც, რამდენიმე თვის მერე, 1983 წელს გარდაიცვალა და დარჩა ეს სევდიანი ლექსი და ნათელი მოგონება.

მაგრამ ცოდვა გამხელილი ჯობს — მიხეილ კაკაბაძე ლექსებს თუ წერდა, არ ვიცოდი. ან საიდან უნდა მცოდნოდა, როცა უფრო თავისთვის თხზავდა, თუმცა მისი ლექსები სხვა პოეტების შემოქმედებასთან ერთად კრებულშიც დასტამბულა. ამასთან, მიხეილ კაკაბაძეს სხვათა პოეტური თხზულებანი რუსულადაც უთარგმნია.

მართალია, კარგად ვიცოდი მიხეილ კაკაბაძის მშვენიერი რუსულის შესახებ, ისიც ვიცოდი, რომ გაზეთ „მოლოდოი სტალინეცსაც" რედაქტორობდა, „ზარია ვასტოკაში" კი რედაქტორის მოადგილე იყო, მაგრამ ჩემთვის მაინც მოულოდნელი აღმოჩნდა იმის გაგება, რომ მიხეილ კაკაბაძე სხვათა ლექსებს რუსულად თარგმნიდა. მაგალითად, მიხეილ კაკაბაძეს მეორე მსოფლიო ომის მერე თბილისში ჩამოსახლებული რუსი სერგეი სერებრიაკოვის ქართულად დაწერილი ლექსები რუსულად უთარგმნია და სხვათა თარგმანებთან ერთად წიგნადაც გამოცემულა.

— კუწა ლექსებს ბავშვობიდან წერდა, გვიამბობს ქალბატონი მანანა — იმ ხელნაწერ ჟურნალში ქვეყნდებოდა კუწასა და მისი განუყრელი მეგობრის ტიტო (დიმიტრი) საყვარელიძის პროზა და ლექსები. ტიტოს სახით ჭეშმარიტად დიდი შემოქმედი იზრდებოდა. სამწუხაროდ, იგი 18 წლისა გარდაიცვალა, რაც მისი მეგობრებიდან ყველაზე მეტად ალბათ კუწამ განიცადა.

— თქვენს მეუღლეს ახლობლები და მეგობრები ყველანი კუწას ეძახდით. მაგრამ საიდან მოდის ეს სახელი, ცოტამ თუ იცის.

— კუწას მამა — ვასილ კაკაბაძე ცნობილი ქიმიკოსი იყო, პროფესორი. ერთხელ, ცდას რომ ატარებდა, კოლბიდან რაღაც ნაკუწი ამოვარდა. სწორედ ამ დროს შეატყობინეს ვაჟის დაბადება. ასე დაერქვა მიშა კაკაბაძეს ეს საალერსო მეტსახელი — „კუწა".

— თქვენ პროფესიით ექიმი ბრძანდებით, თქვენი ვაჟიშვილი დავით კაკაბაძე კი თავდაპირველად ბიძის, პროფესორ ნოდარ კაკაბაძის კვალს გაჰყვა, როცა გერმანისტი გახდა, მაგრამ მერე მამასავით დათომაც ჟურნალისტიკა ამჯობინა და ახლა პრაღაში, რადიოსადგურ „თავისუფლებაში" მუშაობს. „თავისუფლებას" თბილისიდან ზურგს უმაგრებს დათოს უფროსი ძმა გიგა კაკაბაძეც, ვინც კარგა ხანს მათემატიკოსი იყო, ბოლოს კი ისიც „წერამ" აიტანა. არადა, ჟურნალისტიკა დიდად უმადური საქმეა. სამსახურია და სულ „ჩქარა, ჩქარა" გესმის, შინ მისული კი საკუთარი თავისთვისაც ველარ იცლი და გაიძახი, საწერი მაქვს, საწერი მაქვსო. კაცი მთელი ცხოვრება სტრესულ მდგომარეობაში ხარ. არადა, ამ საქმეში, რომ იტყვიან, არაფერი ყრია. თუმცა, ეს თქვენც კარგად იცით, როგორც ჟურნალისტის მეუღლემ, ჟურნალისტის დედამ... ჰოდა, დათო როგორღა გაიმეტეთ ამ პროფესიისთვის, არ ურჩიეთ მასზე ხელის აღება?

— რას ბრძანებთ, პირიქით, ძალიან გამიხარდა, კუწას კვალს რომ გაჰყვა, მამამისს ხომ ასე ძალიან უყვარდა თავისი საქმე?! ეგ კი არა, როცა დათუნა ჟურნალ „მართვეს" რედაქციაში სამუშაოდ მიიღეს, კუწა ლამის სიხარულით გადაირია.

**ავთანდილ გურასპაშვილი**



მიხეილ კაკაბაძის წიგნები

## პირველი სახელობითი პრემია



მიხეილ კაკაბაძე

**საქართველოს** სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია, როგორც დამოუკიდებელი ორგანიზაცია, 1991 წლის 19 აპრილს შეიქმნა და ერთი წლის თავზე სპორტული პრესის საერთაშორისო ასოციაციაში გაერთიანდა. დამფუძნებელი კონფერენციის მასალებში და AIPS-ის 55-ე კონგრესზე წარდგენილ დოკუმენტებში ხაზგასმულია, რომ ახალი ასოციაცია არის უშუალო მემკვიდრე 1959 წლიდან არსებული საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ფედერაციისა, მაშასადამე, გამგრძელებელი იმ საქმისა, რომელსაც საფუძველი ჩაუყარეს „ლელოს" პირველმა რედაქტორმა მიხეილ კაკაბაძემ და სხვა ცნობილმა სპორტულმა ჟურნალისტებმა. სწორედ ბატონი მიშას თაოსნობით შეიქმნა სპორტულ ჟურნალისტთა პირველი პროფესიული გაერთიანება, რომელიც, მართალია, მოსკოვს ექვემდებარებოდა, მაგრამ მნიშვნელოვან ქართულ საქმეს აკეთებდა — ხელს უწყობდა სპორტისა და სპორტული ჟურნალისტიკის განვითარებას საქართველოში.

სპორტულ პრესაში მიხეილ კაკაბაძის მოღვაწეობის პერიოდი მრავალმხრივ საყურადღებო და საინტერესოა, იმდროინდელი გაზეთი „ლელო" კი ნიმუშია პროფესიული ოსტატობისა და კეთილსინდისიერებისა. ჩვენ ვამაყობთ, რომ ქართული სპორტული ჟურნალისტიკის ისტორიას არაერთი ღირსეული პიროვნების, ნამდვილი პროფესიონალისა და მამულიშვილის სახელი ამშვენებს.

საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის III კონფერენციის (25 ივნისი, 1993 წელი) დადგენილებით დაწესდა პირველი სახელობითი ჯილდო — მიხეილ კაკაბაძის პრემია. დებულების თანახმად, პრემია მიენიჭება პროფესიონალ სპორტულ ჟურნალისტს პრესაში, ტელევიზიასა და რადიოში სპორტული თემატიკის მაღალპროფესიულად გაშუქებისთვის, აქტუალური პუბლიკაციების, ტელერადიო და ფოტორეპორტაჟების ციკლის მომზადებისთვის, სპორტული წიგნების, ალბომებისა და ფილმების შექმნისთვის. სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის აღმასკომის გადაწყვეტილებით და კონფერენციის დასტურით, პრემირებულ ჟურნალისტებს საზეიმოდ გადაეცემათ შესაბამისი მოწმობა და ფულადი ჯილდო. პრემიის მინიჭების პერიოდულობა განსაზღვრული არ არის.

მიხეილ კაკაბაძის სახელობის პრემიას უკვე რვა ლაურეატი ჰყავს: ნოდარ გუგუშვილი, როდიონ ქორქია, არჩილ გოგელია, ალექსანდრე კოტორაშვილი, თამილა კახიძე, თენგიზ გიორგაძე, ცისანა ნიკოლაიშვილი და ჯიმშერ ენუქიძე.

**ელგუჯა ბერიშვილი**
**საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტი**



ნონა გაფრინდაშვილი და მიხეილ კაკაბაძე

# ჩვენი ქომაგი

**მიხეილ კაკაბაძე** სპორტის დიდი გულშემატკივარი და ქომაგი იყო. იგი სპორტის სრულიად სხვადასხვა სახეობის წარმომადგენლებთან მეგობრობდა. ხშირად ესწრებოდა შეჯიბრებებს. ეს მხოლოდ სამსახურებრივი მოვალეობით როდი აიხსნებოდა. მიხეილ კაკაბაძე სპორტისა და სპორტსმენთა დიდი ქომაგი იყო მაშინაც, როცა „ლელოს" რედაქტორობდა და მაშინაც, როცა „ახალგაზრდა კომუნისტსა" თუ სხვა გაზეთებს ხელმძღვანელობდა. ასეთად დარჩა მაშინაც, როცა გაზეთს ჩამოაშორეს და კინოსტუდიაში დაიწყო მუშაობა.

ვერ გეტყვით, გამორჩევით სპორტის რომელი სახეობა უყვარდა. სხვადასხვა სახეობის წარმომადგენლებს იგი თავიანთ უპირველეს ქომაგად მიაჩნდათ. მეც მეჩვენებოდა, რომ იგი ჭადრაკს ყველაზე მეტად გულშემატკივრობდა. მით უმეტეს, რომ მიხეილ კაკაბაძე 1954-1956 წლებში საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის თავმჯდომარე იყო. ჭადრაკი რომ არ ყვარებოდა, კაკაბაძეს ამ საზოგადოებრივ პოსტზე ალბათ არავინ აირჩევდა და არც თავად ისურვებდა კაისას მიმდევართა წინამძღოლობას.

მიხეილ კაკაბაძის ჩვენი ამქრისადმი დიდ გულშემატკივრობას ისიც მიუთითებს, რომ 1951 წლის „ლელოს" ერთი ნომერი მთლიანად ჭადრაკს [illegible] რადგა, მაშინ „ლელო" კვირაში ერთხელ გამოდი[illegible]და და მე [illegible] ერთი გაზეთის რედაქციას აზრადაც არ მოსვლი[illegible]. მაშინ ჯერ კიდევ ბავშვი ვიყავი, მაგრამ მერე გავიგე, რომ იმავე წელს თენგიზ გიორგაძემ და გია ნადარეიშვილმა კაკაბაძის ხელმძღვანელობით საჭადრაკო ეტიუდების შედგენაში „ლელოს" პირველი საკავშირო კონკურსი მოაწყვეს. მომდევნო წელს მეორე კონკურსიც გაიმართა და საჭადრაკო სამყარომაც „ლელო" და მისი რედაქცია თავის უპირველეს ქომაგად იგულა. მიხეილ კაკაბაძემ საჭადრაკო კონკურსების ორგანიზება არც მაშინ დაივიწყა, როცა „ახალგაზრდა კომუნისტის" რედაქტორად გადაიყვანეს. ეს მალე მოხდა, 1952 წელს, მაგრამ კაკაბაძემ „ახალგაზრდა კომუნისტში" მუშაობისას კიდევ ხუთი ასეთი კონკურსი მოაწყო.

მერე იყო საჭადრაკო სამყაროში ჩემი გამოჩენა და მრავალწლიანი წარმატებები... მართალია, მიხეილ კაკაბაძე აღარ იყო ჭადრაკის ფედერაციის თავმჯდომარე, მაგრამ იგი ისევ „ლელოს" რედაქტორად დაბრუნდა და კვლავ მოჭადრაკეთა ქომაგად დარჩა. თუმცა, როგორც ვთქვი, იგი ასეთად დარჩა მაშინაც, როცა საგაზეთო საქმიანობის მიღმა დატოვეს.

ყოველივე ამით მიხეილ კაკაბაძემ დიდად შეუწყო ხელი საქართველოში ჭადრაკის პოპულარიზაციასა და მის განვითარებას.

**ნონა გაფრინდაშვილი**
**მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი**

# კაცი, რომელსაც ჟურნალისტიკა უყვარდა

**ცნობილი სპორტული ჟურნალისტი ჯიმშერ ენუქიძე წლების განმავლობაში ერთ დროს საქართველოში უპოპულარულეს გაზეთ „ლელოში" მიხეილ კაკაბაძის რედაქტორობით მუშაობდა. ამასთან, ჯიმშერ ენუქიძე იყო საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილე, თავმჯდომარე კი მიხეილ კაკაბაძე გახლდათ. ასე რომ, ჯიმშერ ენუქიძე მიხეილ კაკაბაძეს საქმეში კარგად იცნობდა და მასთან მეგობრობდა კიდეც. ამიტომაც, როცა მიხეილ კაკაბაძის დაბადებიდან 80 წელიწადი შესრულდა, მის შესახებ ჯიმშერ ენუქიძეს ვესაუბრეთ.**

**— ბატონო ჯიმშერ, მიხეილ კაკაბაძე ყველაფერთან ერთად მასწავლებელიც იყო. იგი თბილისის უნივერსიტეტში ჟურნალისტიკის განყოფილებაზეც კითხულობდა ლექციებს...**

— სწავლა სიბერემდეო და კუწა, როგორც მიხეილ კაკაბაძეს ვეძახდით, არა მხოლოდ სხვებს ასწავლიდა, არამედ თავადაც სიცოცხლის ბოლომდე იღრმავებდა ცოდნას. მახსენდება ასევე დიდებული სპორტული ჟურნალისტისა და პიროვნების, ცხონებული ნოდარ გუგუშვილის ნაამბობი. ერთხელ ნოდარი და კუწა ნიუ იორკში იყვნენ მივლინებით. შინ დაბრუნებულთ იქაურ შთაბეჭდილებაზე თხრობა რომ ვთხოვე, ნოდარმა მითხრა, კუწას შთაბეჭდილებებზე ნუ კითხავ. მაგას ნიუ იორკი არც უნახავს, რადგან სასტუმროდან თითქმის არ გამოდიოდა. ნომერში გამოკეტილს იქაურ გაზეთებში ჰქონდა თავი ჩარგული. შენც კარგად იცი, კუწა როგორი გაზეთის ჩრჩილია, მაგრამ იქ მთლად გადამრია კაცი. სასტუმროს ნომრიდან ლამის მხოლოდ ისევ გაზეთების საყიდლად გამოდიოდა. თავდაპირველად ისიც მიკვირდა, ინგლისური არ იცის და ამ გაზეთებს რას ჩასციებიამეთქი, მაგრამ კუწასთვის ენის არცოდნას ხელი არ შეუშლია. იგი დაჟინებით სწავლობდა იქაური გაზეთების აგებულებას, ტექნიკურ მხარეს და უამრავ სხვას.

**— თბილისის უნივერსიტეტში სწავლისას, სამწუხაროდ, მიხეილ კაკაბაძის სტუდენტი არ ვყოფილვარ. ამიტომ სხვა ლექტორებს ჩვენთვის არაერთხელ უთქვამთ, მიხეილ კაკაბაძის წერილები იკითხეთ, მის გაკეთებულ გაზეთებს დააკვირდით, ბევრ რამეს ისწავლითო. ამას გვეუბნებოდნენ ჟურნალისტიკის თეორიისა და პრაქტიკის ლექტორებიც, გაზეთის წარმოებისა და გაფორმების პედაგოგებიც, ქართული ენის სპეციალისტებიც...**

— კაკაბაძისგან მართლაც ბევრი რამის სწავლა შეიძლებოდა. მახსენდება მაშინდელი ლელოელებისთვის ერთი მეტად მნიშვნელოვანი ამბავი. ერთხელ, სრულიად მოულოდნელად, რედაქტორის ოთახის კარი შემოაღო ქართული ენათმეცნიერების კორიფემ და მისმა მოსარჩლემ არნოლდ ჩიქობავამ.

მე დაკვირვებით ვადევნებ თვალს ქართულ პრესას. თქვენი გაზეთი სხვათაგან გამორჩეულია ფორმით და შინაარსით, მასალების მიწოდების უნარით, მაგრამ, რაც მთავარია, „ლელო" ყველაზე მეტად ქართულია. ამიტომაც გესტუმრეთო, ბრძანა ენათმეცნიერებაში დაბერებულმა კაცმა. მერე ბატონმა არნოლდ ჩიქობავამ უნებლიე ნაკლზეც მიგვითითა, რისგანაც ყოველდღიური გაზეთი, ცხადია, დაზღვეული ვერ იქნებოდა. გამოშვიდობებისას ყველას კიდევ ერთხელ მოგვეფერა, შეგვაქო, გაგვამხნევა და წარმატებები გვისურვა. ცხადია, რომ არა მიხეილ კაკაბაძის დიდი ზრუნვა ქართული ენის სიწმინდის დასაცავად, „ლელო" დიდი ენათმეცნიერის ასეთ ყურადღებას ვერ მიიქცევდა.

როცა ბატონი არნოლდ ჩიქობავა ამბობდა, „ლელო" ყველაზე მეტად ქართული გაზეთიაო, ამაში მხოლოდ ქართული ენის სიწმინდის დაცვას როდი გულისხმობდა. იგი „ყველაზე მეტად ქართულში" ქართული საქმეებისადმი და პრობლემებისადმი მიდგომასაც გულისხმობდა.

მიხეილ კაკაბაძის რედაქტორობით გამოსული „ლელო" ნოვატორული იყო საგაზეთო რეჟისურით. მაგალითად, დღეს რომ გაზეთის მთელ გვერდზე დასტამბულ ფოტოში უჩვეულოს ვერაფერს ვხედავთ, მაშინ გაზეთის რედაქტორები, ალბათ, რაღაც შინაგანი მუხრუჭის გამო, ამას ვერ ბედავდნენ. კაკაბაძემ კი გაბედა და ამ მხრივ იგი იქნებ პირველი იყო საერთოდ საბჭოთა პრესაშიც კი. ასე მოხდა, მაგალითად, 1968 წელს, როცა „ლელომ" მკითხველს მეხიკოს ოლიმპიურ თამაშებზე რომან რურუასა და ვიქტორ სანეევის გამარჯვებებზე მიხეილ ზარგარიანის ფოტორეპორტაჟებით უამბო და ამ ამბავს გაზეთმა გაშლილი გვერდებიც დაუთმო.



მიხეილ კაკაბაძე რედაქციაში

ახლა პრესაში ჩვეულებრივი ამბავია, ვთქვათ, საცურაო კოსტიუმში გამოწყობილი მოცურავე ქალის ან წყალში მხტომელის ფოტოების ბეჭდვა, მაგრამ კომუნისტური წყობის პირობებში ამასაც კი დიდი ვაჟკაცობა სჭირდებოდა, რადგან იქ ზემოთ, ამგვარ ინიციატივას „ალმაცერად" უყურებდნენ. ამის გამო კაკაბაძე იქ არაერთხელ დაუბარებიათ და საყვედურებით თუ გაფრთხილებებით აუვსიათ, თუმცა, ისიც ყოფილა, რომ ამგვარი შეგონების მერე კაკაბაძისთვის მხარზე ხელიც დაუკრავთ და უთქვამთ, „ისე, კარგი რამე კი იყო"-ო.

ისე, საინტერესო კია, ქალი წყალში ხტომისას ჩაცმული ვის უნახავს?

ერთი სიტყვით, მიხეილ კაკაბაძე გაზეთზე გადაყოლილი იყო. მუშაობაში ათენებდა და აღამებდა. ტექსტისა თუ გაზეთის ტექნიკური რედაქტორობის გარდა ბევრ სხვა სამუშაოსაც ასრულებდა. საათობით ტალერთან იდგა და ლამის დამკაბადონებლობაც ეტვირთა. ეს დღესაა დამკაბადონებლობა სუფთა სამუშაო, როცა კომპიუტერთან ზიხარ, მაშინ კი ამ პროფესიის კაცი სავაგონო დეპოს მუშასავით მოსვრილი იყო.

ოღონდაც, არ იფიქროთ, თითქოს კაკაბაძეს გაზეთის გარდა არაფერი აინტერესებდა. მისგან კაცობის სწავლაც შეიძლებოდა. მან მეგობრობის ფასი იცოდა და თავისი ალალმართლობითაც ანდამატივით გიზიდავდათ. უღალატო იყო, არც დასმენა იცოდა და არც ცრუმოწმეობა, არც პირმოთნეობა, არც მონობა და კერპთაყვანისმცემლობა...

**— თუ ასეთი იყო, მაშ რატომღა გაათავისუფლეს რედაქტორობიდან?**

— სწორედ ამ თვისებების გამო გაათავისუფლეს.

სხვათა შორის, სამუშაოდან დათხოვნა მისთვის ლამის ჩვეულებრივი ამბავი იყო. რედაქტორის თანამდებობა მას „იდეოლოგიურ-პოლიტიკური მოუმზადებლობისთვის" მანამდეც დაატოვებინეს. ყოველივე ამას მშვიდად იტანდა. ყოველ შემთხვევაში, გარეგნულად არაფერი ეტყობოდა, მაგრამ სულ ბოლოს, 1976 წელს, როცა „ლელოს" რედაქტორობიდან გაათავისუფლეს, ძალზე განიცადა...

**ავთანდილ ტყვიშელი**





ასე გამოეხმაურა „ლელო" რომან რურუასა და ვიქტორ სანეევის მეჩსიკოს ოლიმპიურ თამაშებზე გამარჯვებას

# გვიან ნათქვამი მადლობა

*მიშა კაკაბაძეზე, — როგორც რედაქტორზე, როგორც მოღვაწეზე, ქართული ჟურნალისტიკის, ქართული სპორტის მოამაგეზე სხვები, ალბათ, მეტს და უკეთ იტყვიან. მე შევეცდები მოგონებათა გრძელი წყებიდან ქაღალდზე გადმოვიტანო მხოლოდ რამდენიმე სურათი, ჩემთვის ასე ძვირფასი და დღემდე ფერშეუცვლელი.*

***

მას შემდეგ თითქმის ოთხი ათეული წელი გავიდა.

გამომცემლობა „ნაკადულში" ვმუშაობდი უშტატო რედაქტორად. სადმე შტატში მოხვედრა ფილოლოგისთვის იოლი საქმე არ გახლდათ და მეც, როგორც ბევრ ჩემისთანას, ჰონორარით გამქონდა თავი.

ერთ დღეს იაგო ვარდოსანიძემ დამიბარა. ახალი დანიშნული იყო „ნაკადულის" მთავარ რედაქტორად. იმ დროს მიველი, თათბირისთვის ემზადებოდნენ. ორი სიტყვით მითხრა: „ლელოში" სტილისტის ადგილი გათავისუფლდა, მიშას ველაპარაკე, გელოდებაო. „ლელოში" ვერ წავალ, სპორტულ გაზეთში ვერ ვიმუშავებ-მეთქი, — არც დავფიქრებულვარ, ისე ვუპასუხე. ახლაც თვალწინ მიდგას იაგოს გაკვირვებული სახე. კაცი რომ მიშა კაკაბაძესთან მუშაობაზე უარს იტყვის, ფეხით უნდა დაკიდო, მეტის ღირსი არ არისო, — გაჯავრებულმა თქვა. მერე თვითონვე გაეღიმა ასეთ მკაცრ „განაჩენზე", მოლბა, დამიყვავა: შენ ძალიან შეგიყვარდება მიშა, დამიჯერეო.

მერე, როცა დავმეგობრდით, მიშა გულიანად იცინოდა ამ „პატარა გაუგებრობაზე". თუმცა არა, ახლა რომ ვფიქრობ, ეს „მერე" ალბათ არც ყოფილა. ჩვენი მეგობრობა ბევრად უფრო ადრე დაიწყო, იქნებ სწორედ იმ დღიდან, პირველად რომ შევაღე მიშას კაბინეტის კარი და იქიდან მისი კეთილი მზერა შემომეგება.

ძალიან მიხარია, ჩვენთან მუშაობა რომ გადაწყვიტეთო... პასუხად ისლა მოვახერხე, რომ იქვე მივახარე: სპორტის არაფერი გამეგება, ზოგჯერ მხოლოდ ფეხბურთს ვუყურებ-მეთქი. გაეცინა: ეგ არაფერი, მაგ საქმეს ჩვენ ერთად მოვუვლითო.

ეგ არაფერიო, სხვა დროსაც ბევრჯერ უთქვამს. გზადაგზა, ფრთხილად, მისებური ტაქტითა და მოთმინებით მიხსნიდა, მასწავლიდა, მათამამებდა...

***

მორიგი ნომერი მზადდებოდა. მიშამ დამიძახა. მაგიდაზე ფოტოები გაეშალა. ერთ-ერთი ამორჩია და გამომიწოდა — რამე ცოცხალი წარწერა მჭირდებაო. მგონი, საკდესის ფოტო იყო: სპორტულ ტანსაცმელში გამოწყობილი გოგოები დათოვლილ მოედანზე ვარჯიშობდნენ. წარწერის ტექსტი ახლა, ცხადია, აღარ მაგონდება, ის კი მახსოვს, როგორ გაამხიარულა ერთმა ფრაზამ: „წინ თებერვალია, ზამთრის კროსი"...

— შენ რა იცი, რომ ზამთრის კროსი თებერვალშია? — მკითხა ინტერესით.

— როგორ გეკადრებათ, ეგ ხომ ბავშვმაც კი იცის-მეთქი, — მივუგე.

სიცილი აუტყდა: ხომ გითხარი, შენ შეიძლება მალე არბიტრადაც კი მიგიწვიონ ტურნირებზე, განსაკუთრებით ზამთრის სახეობებშიო.

ის „ზამთრის კროსი", მგონი, მართლა გაუხარდა.

***

რედაქციაში თორმეტისთვის მივდიოდი. „მარაგს" შინ ვკითხულობდი, რომ დილით გამზადებული მიმეტანა. თუ ცოტა ადრე „დამიცდებოდა ფეხი", მიშა სათვალის ზემოდან გაკვირვებით გადმომხედავდა და უსათუოდ მკითხავდა: „შენ რა, ხის ტოტზე გეძინა?"

***

...„ლელოში" თათბირია, უფრო სწორად, ტრადიციული „კვირის ნომრების განხილვა". მიშას წინ ახალი ნომერი უდევს. გვისმენს, მაგრამ დროდადრო მაინც გაზეთისკენ გაურბის თვალი. უცებ სახე მოეღრუბლა. სათვალე მოიხსნა, რაღაც ჩაილაპარაკა. ერთმანეთს გადავხედეთ: „კორექტურა იპოვა".

— შეცდომაა! გასწორება უნდა მივცეთ ნომერში, მკითხველს ბოდიში უნდა მოვუხადოთ!

ისეთი რა შეცდომააო, არავის უკითხავს. მიშა ყველაფერს გაპატიებდა, მაგრამ მკითხველის უპატივცემულობას და „თვალში ნაცრის შეყრას" — არა. არადა, ჩვეულებრივი კორექტურული შეცდომაც კი სწორედ ასეთ მიუტევებელ დანაშაულად მიაჩნდა.



„ლელოს" რედაქცია, 1973 წელი.
არჩილ გოგოლაშვილი, ავთანდილ გურასაშვილი და მიხეილ კაკაბაძე

***

არც მე მეპატია ერთი „პატარა ეშმაკობა".

კვირა არ გავიდოდა, „ლელოს" რომელიმე მკითხველს რედაქციაში საკუთარი ლექსი არ გამოეგზავნა. ამ ლექსების ერთადერთი ღირსება უმეტესად მათი დამწერის გულწრფელობა გახლდათ და, ცხადია, ვერ დავბეჭდავდით, მაგრამ პასუხი უსათუოდ ყველას უნდა გასცემოდა. რედაქტორმა ეს საქმე მე ჩამაბარა. მეც იოლი გამოსავალი ვიპოვე: დავწერე ერთი „პასუხი" (რაღაც ამის მსგავსი: „თქვენი ლექსი მხატვრულად სუსტია და არ დაიბეჭდება"), გავამრავლე და გულდარხეინებულმა ჩავაწყვე უჯრაში. გავუგზავნე ერთს, მეორეს, მესამეს... მიშას ეს არ გამოპარვია. ერთ დღეს ხელმოსაწერად შეტანილი, გასაგზავნად შეტანილი „უსტარი" უკანვე დამიბრუნა და თან ასეთი „თხოვნაც" მოაყოლა: თუ შეიძლება, მომავალში ლექსის ავტორს პასუხს რომ მისწერ, დაწვრილებით აუხსენი, რა არ მოგწონს და რატომ, ისე მისწერე, რომ დაგიჯეროსო.

ეს მიშას კიდევ ერთი გაკვეთილი იყო.

***

თავის დაზოგვა არ იცოდა, არ ეზღრხებოდა და არც უნდოდა. იმ საქმეს აკეთებდა, რომელიც ყველაფერზე მეტად უყვარდა, თავდადებით, რაღაცნაირი ჯიუტი ერთგულებით ემსახურებოდა და, როცა სხვისგან ამასვე ვერ დაინახავდა, კი არ ბრაზობდა, ასე მგონია, უკვირდა, გული სწყდებოდა.

იოლი ცხოვრებით არასოდეს უცხოვრია: ნაომარს, ჯანი გატეხილი ჰქონდა, ბოლო წლებში ხშირად ავადმყოფობდა, თუმცა სატკივარს არ ეპუებოდა. თითქოს განზრახ ეურჩებოდა ვიღაცას თუ რაღაცას, ჯიბრში ედგა, განსაცდელს ძალით იახლოებდა.

მახსოვს, როგორ „შემოგვჩივლა" ერთხელ: მანამ საირმის საგზური იშოვა და სხვა რა გზაა, უნდა წავიდეო. ერთი კვირაც არ იყო გასული, ისევ შემოაღო რედაქციის კარი: ჭიქით ხელში წყლის რიგში დგომა ძალიან მომბეზრდა და გამოვიქეციო.

***

...რედაქციაში მისულს ამბავი დამახვედრეს: მიშა წუხელ ცუდად გამხდარა და საავადმყოფოში წაუყვანიათო. ამის თქმა იყო და დარეკეს: რედაქტორი გვიბარებდა მე და ვანდი ხანდამიშვილს, „ლელოს" პასუხისმგებელ მდივანს, მასალები და გვერდების მაკეტები ჩამომიტანეთო. მეორე საავადმყოფოში იწვა, მაშინდელ კამოს ქუჩაზე. მივდივართ, მაგრამ ფეხები უკან გვრჩება: „ახლა ჩვენი იქ მისვლა შეიძლება? მანანა რას იტყვის!..."

ისევ მიშამ გაგვამხნევა: შეტევამ გაიარა და ახლა მშვენივრად ვარო. თუმცა წამოდგომის უფლება მაინც არ მისცეს.

„ლელოს" ის ნომერი საავადმყოფოს პალატაში დაიგეგმა.

მანანას არაფერი უთქვამს, მხოლოდ ხელი ჩაიქნია.

***

..„მობრძანდი ზალაში" — ეს „ჩვენს ენაზე" იმას ნიშნავს, რომ იქ სასწრაფო სამუშაო გველოდება. „ზალა" რედაქტორის კაბინეტია, სადაც ჭერის „საფრიალო" კიდია (როგორც ამგვარი მიპატიჟების დროს ვენტილატორზე იტყოდა ხოლმე) და ზაფხულის პაპანაქებაში სულის მოსაბრუნებლად დაუპატიჟებლადაც ხშირად შევდივართ.

...მიშას ხელში „ლიტერატურნაია გაზეტას" ახალი ნომერი უჭირავს. გაზეთის ლამის მთელ გვერდზე ვასილი აქსიონოვის მოთხრობაა დაბეჭდილი.

— ყველაფერი გადადე, ნომერში უნდა მივცეთ!

უნებურად საათისკენ გამექცა თვალი. გაკვირვებულმა შევხედე. მიშამ უკან დაიხია:

— კარგი, ხვალ მივცეთ. შინ თარგმნე და დილით მოიტანე.

მიშა არ იყო ის კაცი, ვაგლახ რამე მოსწონებოდა ან „ლელოს" ფურცლები ბელეტრისტიკისთვის მხოლოდ „სპორტული თემატიკის" გამო დაეთმო.

...წამკითხველი გაიგებსო, იცოდა თქმა. მკითხველს ენდობოდა.

აქსიონოვის ის მოთხრობა მართლაც დაიბეჭდა მომდევნო ნომერში.

***

...თბილისში მოსკოვის ცნობილი თეატრი ჩამოვიდა. ძველმა თეატრალებმა თადარიგი ადრევე დაიჭირეს. მე რომ გამოვფხიზლდი, ბილეთების შოვნაზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო.

მიშამ ყური მოჰკრა ჩემს წუწუნს. მეორე დღეს უჯრაში ნომრის მასალებთან ერთად სამაგრით შეკრული რამდენიმე ბილეთიც დამხვდა. რა მიხვედრა უნდოდა — მაშინვე მიშასთან გავიქეცი, მაგრამ მადლობის თქმაც ვერ მოვასწარი:

— დღის წარმოდგენებზე მოგიწევს წასვლა. საღამოსთვის ბილეთების შოვნა მართლა ძნელი ყოფილა.

მთელი ის კვირა რედაქციაში ჩემს მოვალეობას რედაქტორი ასრულებდა — „შეთავსებით".

***

...საკავშირო სპარტაკიადის დღეებია. ყოველ წუთს ახალ-ახალი ცნობები მოდის — უმეტესად საკდესისა და აასის ინფორმაცია. ვაგვიანებთ. ახლა, როგორც მიშას უყვარს თქმა, საქმე ძმურად უნდა გავინაწილოთ. რედაქტორმა სათვალე მოიმარჯვა, თვითონაც მემანქანეს მიუჯდა გვერდით და პირდაპირ კარნახი დაიწყო. „ლელოში" ეს არავის უკვირს.

საერთოდ, მიშა ნათარგმნ ტექსტს დიდი სიფრთხილით ეკიდება. აქ მით უფრო ასეთ სიჩქარეში, ადვილად შეიძლება, კალკი და „უხეირო ქართული" გაიპაროს. ახლაც ყველა ინფორმაცია წავიკითხეთ, შევადარეთ, ტექნიკური შედეგებიც საგულდაგულოდ შევამოწმეთ, მაგრამ, ვატყობ, გული მაინც ეთანაღრება. მოდი, ხმამაღლა წავიკითხოთ, ყური დამიგდე, როგორ „ისმის", „ქართულს ჰგავს თუ არაო... კითხულობს და უცებ ულვაშებში ჩაიცინა, რაღაცას მანიშნებს. გავიხედე — ღია კარებში რედაქციის „ფხიზელი თვალი", ჩვენი ჭიკო მხეიძე დგას. გულმოსული ჩანს: უნდა რედაქტორს „ორი სიტყვა" უთხრას, მაგრამ მისი „ხელში ჩაგდება" ვერა და ვერ მოუხერხებია. ერთხანს ასე გვიყურა, მერე თავი საყვედურით გადააქნია და მკაცრად გაგვაფრთხილა:

— „ლელო" არ არის „ვეფხისტყაოსანი"!

ამჯერად პასუხად ირონიული ღიმილი აკმარეს.

სხვა დროს საქმე ასე მშვიდობიანად არ ჩაივლიდა. ვისაც მიშასთან უმუშავია ან „ლელოში" თუნდაც ერთი წერილი დაუბეჭდავს, იცის, როგორ უფრთხილდებოდა იგი ქართულ სიტყვას, როგორ ცდილობდა, დაეფარა „უდიერი მოპყრობისგან" და თვით მშრალი სპორტული ინფორმაციისთვისაც კი „ქართული ელფერი" მიეცა. თუკი ვინმე მაინც შებედავდა, „ლელო" სპორტული გაზეთია, ჩვენ სხვებზე მეტი გვეპატიებაო, ეს მუდამ მშვიდი, რბილი კაცი უცებ იფეთქებდა და უჩვეულოდ მკაცრად იტყოდა: სწორედ იმიტომ უნდა ვიყოთ ფხიზლად, რომ სპორტული გაზეთია; „ლელოს" უამრავი მკითხველი ჰყავს. ჩვენს გაზეთს ახალგაზრდობა კითხულობს და ჩიქორთულად წერის უფლება ამიტომაც არა გვაქვსო.

იმ დღეს ჭიკო რედაქტორის რისხვას მართლაც ბეწვზე გადაურჩა.

***

„...არც რედაქციაში მუშაობისას მქონია ტკბილი ცხოვრება", — ეს მიშას სიტყვებია, მისი ბოლო საგაზეთო წერილიდან.

მართლაც ბევრჯერ ატკინეს გული და შეიძლება ეს იყო ყველაზე მწარე საყვედური, რომელიც მას ხმამაღლა წამოსცდა.

ჩუმი თუ აშკარა ბრძოლა მის წინააღმდეგ დიდხანს გაგრძელდა, ბოლოს კი მოსახდენი მაინც მოხდა და მიშა გაზეთს ჩამოაშორეს.

რედაქციიდან მალე წავიდა ნოდარ გუგუშვილი — ტელევიზიაში გადავიდა სამუშაოდ, წავიდა ეთერ უზნაძე — მიშას სიყრმის მეგობარი და ერთ-ერთი პირველი ლელოელი. რამდენიმე თვეში მეც „მართვეში" დავიწყე მუშაობა, რომელსაც მიშას მეგობარი და მოწაფე არჩილ გოგელია რედაქტორობდა.

„ლელოში" ისევ ხშირად ვხვდებოდი. შემოივლიდა, გვნახავდა, გაზეთის ამბებს იკითხავდა, გაზეთი ენატრებოდა. ზოგჯერ სტამბაში შეივლიდა, იქვე, მესამე სართულზე. მისი დანახვა იქაც ჩვენსავით უხაროდათ.

სამსახური მისთვის კარგა ხანს არ მოიძებნა. მერე ტელევიზიაში გამოჩნდა ადგილი. როგორც ვიცი, იქ მიშას მიწვევა თავად სტუდიის ხელმძღვანელობის სურვილი იყო. საქმის გადაწყვეტას მხოლოდ ზემდგომი ორგანოების დასტური სჭირდებოდა.

სწორედ იმ ხანებში თბილისის კორტებზე დევისის თასის გათამაშების შესარჩევი ეტაპი გაიმართა. ეს ქვეყნის სპორტულ ცხოვრებაში დიდი მოვლენა იყო. ტურნირს რესპუბლიკის ხელმძღვანელობაც ესწრებოდა.

რედაქციაში ამბავი მოიტანეს: ტურნირზე მიშასთვის ცეკას პირველ მდივანს მოუკრავს თვალი და მასთან შეხვედრა მოუსურვებია. საუბარში უმაღლეს ხელისუფალს ისიც უთქვამს, შენთვის შესაფერის სამუშაოს ვეძებთო. მიშას მადლობა გადაუხდია: ნუ შეწუხდებით, მე, თქვენს ენაზე რომ ვთქვათ, ჩემი „შემხვედრი გეგმები" მაქვსო (ის პერიოდი იყო, ლამის მთელ საბჭოთა კავშირს „ვსტრეჩნი პლანი" რომ ეკერა პირზე).

ის „შემხვედრი გეგმები" მიშას მალე ჩაუშალეს (ალბათ ისევ „იდეოლოგიურ-პოლიტიკური მომზადების დონე" დაუწუნეს).

მერე ის იყო, ბატონმა რეზო ჩხეიძემ მიიწვია „ქართულ ფილმში" მულტგაერთიანების მთავარ რედაქტორად და კინოსტუდიის სამხატვრო საბჭოს წევრად. ბევრი დამეთანხმება: იმ დროს და იმ ვითარებაში ეს მხოლოდ ვაჟკაცური საქციელი კი არა, თითქმის გმირობა იყო.

ერთხელ მიშამ „ლელოში" გამოვლა დააგვიანა. როცა ისევ გამოჩნდა, მიზეზი ვკითხე. გაიცინა: სად მცალია, ხატვაზე დავდივარო (ხატვა ისწავლა თუ არა, არ ვიცი, მშვენიერ სცენარებს კი წერდა ქართული მულტფილმებისთვის).

„მართვეშიც" ხშირი სტუმარი იყო. მახსოვს, ხელში აიღებდა ჟურნალს, დიდხანს ათვალიერებდა, თითქოს ეფერებაო. არგენტინაში თავის ახალ მეგობრებს — ჭეიშვილების ოჯახებსაც გაუგზავნა „მართვეს" ნომრები, მერე მეუბნებოდა, წერილი მიმწერეს, ჟურნალი ძალიან მოსწონებიათო.

ახლობლებმა და მეგობრებმა იციან, თავის დროზე მიშა თავადაც ოცნებობდა სპორტულ ჟურნალზე. ქართული სპორტული ჟურნალი „ლელოს" გვერდით, „ლელოსთან" ერთად... სახელიც შეურჩია — „ისინდი". თითქოს გადაწყდა კიდეც საქმე, თითქოს ხელი აღარაფერს უნდა შეეშალა. ისიც გადაწყვეტილი ჰქონდა, ვინ მოეწვია სამუშაოდ, ვისთვის რა დაევალებინა.

ერთ დღეს მითხრა, იაგო გადმოდის ჩვენთან ჟურნალშიო. გახარებული იყო. იმ დღეს მართლაც მოვიდა იაგო. ძველ ახკომელებს, ძველ მეგობრებს სათქმელი და მოსაგონარი ბევრი ექნებოდათ, მაგრამ იმ სტუმრობისას მთავარი „ისინდი" იყო. კარგა ხანს ისხდნენ და საუბრობდნენ. რა ჯობდა მათ მოსმენას...

...ისე წავიდნენ, ეს ოცნება ვერ აისრულეს.

სპორტული ჟურნალი „მართვე" იმ შეხვედრიდან თითქმის ათი წლის შემდეგ გამოვიდა (ჩემთვის ისიც ბევრისმთქმელია, რომ წლების მერე ამ ჟურნალში მუშაობდა მიშას უმცროსი ვაჟი — დათუნა).

***

მიშა არ იყო სახელის მაძიებელი კაცი. სახელს თავისთავად ქმნიდა მისი ცხოვრების წესი, მისი პატიოსნება და მამულიშვილობა, მისი სიმტკიცე და ულალატობა, მისი ქედუხრელობა და კეთილშობილება... ეს სახელი დარჩა ახლობელ-მეგობრების ხსოვნაში, იმ ახალგაზრდების, მისი მოწაფეების ხსოვნაში, რომელთა მოგონებებსაც ადრე წასულ მასწავლებელზე უცრემლოდ ვერ წაიკითხავ.

...ბევრი აუხდენელი სურვილი გაიყოლა თან. ვერც ის მოთხრობა დაასრულა (იქნებ რომანიც), რომელიც, როგორც თავად უთქვამს საუბრისას, მისი ცხოვრების თავისებური ანარეკლი უნდა ყოფილიყო. სამაგიეროდ, დარჩა სხვა წიგნები, ლექსები, ჩანაწერები, თარგმანები, მშვენიერი მოთხრობები, ისეთივე თბილი და კეთილი, როგორიც თავად მათი ავტორი იყო.

მიშას მოთხრობების ბოლო კრებული 1978 წელს დაისტამბა. მას შემდეგ დიდი დროა გასული. კარგი იქნება, თუ ეს მოთხრობები, მისი სხვა წიგნები, ხელახლა გამოიცემა.

***

...„მართვეს" პატარა ოთახში ვისხედით. წერილი მიელო დათუნასგან გერმანიიდან. აფორიაქებული ჩანდა, თუმცა სიხარულს ვერ მალავდა. იქ აღარ ჩერდება, მოდისო. მორიდებით ვუთხარი: რაღა დარჩა, იქნებ ჯობდეს, უნივერსიტეტი იქ დაამთავროს-მეთქი. აჰ, არაო, ჯერ ბავშვია, უცხო ხალხში, უცხო ქვეყანაში ან ამდენ ხანს როგორ გაძლო, დაბრუნდეს შინო. მერე უცებ დაუმატა: ვეც არ იყოს, რა დიდი დღე მე დამრჩენია, ვუყურო ცოტა ხანს ჩემს შვილსო.

***

ერთ საღამოს მე და ეთერი ვესტუმრეთ. გაუხარდა. ნაავადმყოფარი იყო, მაგრამ დიდხანს არ გამოგვიშვა. რა აღარ გაიხსენა, იცინოდა, ხუმრობდა. მანანა სამზარეულოში რომ გავიდა, მაშინ გვითხრა: არ დაიჯერებთ, მაგრამ რაღაც საოცარი რამ დამემართა, მთელი ეს დღეები ჩემს პანაშვიდს ვუყურებდიო; კუბო ამ ოთახში, აი, აქ იდგა. ყვავილებში ვიწექი, ყველაფერს ვხედავდი, ყველაფერი მესმოდა, გულში ყველას ვემშვიდობებოდიო...

ოთხმოცდასამის მაისში გარდაიცვალა.

***

...იმ ოთახში, სწორედ იმ ადგილას დაესვენებინათ. ყვავილებში იწვა, სახეზე სიმშვიდე ეფინა.

კუთხეში მივიკუნჭე. იქიდან ველაპარაკებოდი. იქიდან ვუთხარი მადლობა ყველაფრისთვის — სიკეთისთვის, სიყვარულისთვის, მის გვერდით გატარებული წლებისთვის. იქიდან დავემშვიდობე.

***

1985 წელს „ახალგაზრდა კომუნისტში" დაიბეჭდა მიშას უკანასკნელი წერილი — „გლობუსის მეორე მხარეს". შესავალში ნოდარ გუგუშვილი წერდა: მართლაც დიდი ბედნიერება იყო მიხეილ კაკაბაძის გვერდით ცხოვრება, მასთან ერთად მუშაობა, მასთან მეგობრობაო.

მადლობას ვწირავ ღმერთს, რომ ეს ბედნიერება მეც მარგუნა.

**ციალა ნიკოლაიშვილი**

## აღმოსავლეთი

## ნიუ ჯერსი 2:2 ბოსტონი

# ჩაიჭრა ბოსტონქალაქი: კაცის საქმეში ცხვირი ჩაყო



ნიუჯერსელმა ჯეისონ კიდმა ბოსტონელები მაგრად გააწვალა

— 27 მაისი. ბოსტონი —

**ბოსტონი 92:94 ნიუ ჯერსი**

**ბოსტონი:** ანდერსონი (11), ე. უილიამსი, პირსი (31 ქულა, 9 მოხსნა, 5 ჩაჭრა), უოლკერი (30 ქულა, 9 მოხსნა), ბატი (6 ქულა, 9 მოხსნა); როჯერსი (12), დელკი (2), მაკარტი, სტრიკლენდი
**ნიუ ჯერსი:** კიდი (19 ქულა, 9 მოხსნა, 9 პასი), კიტლზი (22), ვან ჰორნი (21), მარტინი (8), მაკალოფი (5); ჰარისი (12), ა. უილიამსი (6), ჯეფერსონი (1)

„ბოსტონის" ლიდერი პოლ პირსი, მისიანთა სამწუხაროდ, ნიჭიერი, თუმც ერთი ჩვეულებრივი ბიჭია და მას ყოველ თამაშში გმირობებს ვერ მოსთხოვ. 18 ათასი ბოსტონელი მაინც მხნედ ქომაგობდა და აქეზებდა ყმაწვილ კერპს. პირსსაც ცდა არ დაუკლია, ბლომად ბურთები ყარა და სერიაში უმეტესი, 31 ქულაც მოინაგრა. ამჯერად არც ეს და არც მისი დოსტის ანტუან უოლკერის ქულით ნაკლები შენაძენი ეყო საერთო საქმეს. მათი „ბოსტონი" დამარცხდა და აღმოსავლურფინალურ სერიაში 3:1 დაწინაურების შანსიც დაკარგა.

ამასწინანდელმა ცივმა შხაპმა გამოაფხიზლა „ნიუ ჯერსი". „ბადეებს" ეყოთ კეთილგონიერება და მეტოქის დაცინვის მაგივრად საქმეს მიხედეს. ამჯერად „ნიუ ჯერსი" 21-ქულიან უპირატესობას არ ფლობდა ბოლო მეოთხედის წინ, მაგრამ, სამაგიეროდ, 31:18 მოგებული პირველი მეოთხედის შემდეგ სტუმრებს გონება არ გაფანტვიათ და თამაში განაგრძეს, რისთვისაც გამარჯვებით დასაჩუქრდნენ. როდესაც „ბადეების" წინამძღოლი ჯეისონ კიდი არ ზარმაცობს, ჯერსელთა შეჩერება ძნელი საქმეა.

წინა შეხვედრაში კიდს დიდად არ გამოუდვია თავი. 12 ქულით შემოიფარგლა, რადგან გუნდი უმისოდაც იოლად იგებდა. ახლა იგი ფხიზლად აკონტროლებდა ბურთს და თამაშის ტემპს, ბევრი სარგებელიც მოუტანა თავისიანთ და თითქმის შეასრულა სამმაგი დუბლი, თითო მოხსნა-პასი თუ დააკლდა. ბოსტონელებმა ამაოდ სცადეს მისი თამაშიდან გამოთიშვა, თან სხვა მხარესაც უნდა სჭეროდათ თვალ-ყური, რადგან სხვა სტუმრები — კერი კიტლზი და კიტ ვან ჰორნი თამაშის იმტაზე იყვნენ და მიზანიც გამართული ჰქონდათ.

მართალია, მთლიანობაში „ბოსტონმა" ოდენ ორი ქულით დათმო შეხვედრა, მაგრამ თამაში მანამდე წააგო ტაქტიკურად. მასპინძლებმა მთავარი ძალები სამწამიან ზონაში და მის მიმდებარე ზონებში განალაგეს, რითაც სტუმართა მაღლები — მარტინი და მაკალოფი უსარგებლონი გახადეს, კიდის და კიტლზის გარღვევებიც მინიმუმამდე შეამცირეს, თუმც პერიმეტრი მოუშიშვლდათ და მათი მარცხის მთავარი მიზეზიც ესაა. კიდმა, კიტლზმა და ვა ჰორნმა ცხრა სამქულიანი და ბევრი შორეული ორქულიანი „უძღვნეს" ბოსტონის ზონურ დაცვას და ამით გავიდნენ ფონს.

ვერც მაყურებელთა ღრიანცელმა უშველა მასპინძელ „კელტებს". ბოსტონელებმა განსაკუთრებით კიდი ამოიჩემეს და მისი ნერვების მოსაშლიდ საკუთარი ყელის იოგები აჰცადინეს. ჯეისონს უსტვენდნენ თითქმის ყოველთვის, როცა ის ბურთს მიიღებდა და უყვიროდნენ, შე ცოლის გამლახავოო (შარშან „ფინიქსში" თამაშისას კიდმა ცოლს სცემა და ამისთვის ორი დღით ვირის აბანოც მოინახულა), ასეთი უხეირო ზარ და ცოლს როგორ მოერიეო, მაგრამ კიდმა შეინარჩუნა სიმშვიდე და, ცოლი იქით იყოს, „ბოსტონს" კი მოერია.

„მომბეზრდა ამდენი შეურაცხყოფა. ჩვენ კალათბურთს ვთამაშობთ და ერთმანეთის პირად ცხოვრებაში არ უნდა ვიქექებოდეთ. არ მსიამოვნებს, როცა ტრიბუნაზე მჯდომი ზოგიერთი უქნარა ასეთ რამეს დამყვირის. მიხარია, რომ თამაშით შევძელი მათი ჩაჩუმება — თქვა ნამატჩევს კიდმა.

**ირაკლი ფირუაშვილი**



## ჰაინეკენის თასი ფინალი, კარდიფი, 25 მაისი



ლესტერელებმა თასი ლუდის წვიმაში აღმართეს

# ლუდი მშვენიერი, თამაში გადასარევი

**ლესტერი 15:9 მანსტერი**

**ლესტერი:** 2ლ: მერფი, ჰელი; 1გ: სტიმპსონი; 1 ს: სტიმპსონი;
**მანსტერი:** 3 ს: ოგარა;
**მსაჯი:** ჟოელ ჟუტჟი (საფრანგეთი)

ლესტერის „თაიგერზმა" ზედიზედ მეორედ მოიგო „ჰაინეკენის თასი" ანუ მორაგბეთა ჩემპიონთა ლიგა. შარშან „ვეფხვებმა" ფრანგულ „სტად ფრანსეს" მოუგეს ფინალში, წლეულს კი ირლანდიურ „მანსტერს" სძლიეს.

წლევანდელი ფინალის გმირი ლესტერელი ტიმ სტიმპსონი გახდა, რომელმაც, მართალია, გუნდს მხოლოდ 5 ქულა მოუტანა, მაგრამ მე-10 ნომრად მთელი მატჩი მაგრად იდგა და ბლომად პასებიც არიგა. ამასთან, სტიმპსონი დაცვაშიც მშვენივრად თამაშობდა და მანსტერელი ოპონენტი როან ოგარა საიმედოდ ამოკეტა. ირლანდიელთა ლიდერმა მხოლოდ საჯარიმოებიდან იხეირა, თავისი განთქმული დრიბლინგით და ასისტენტური ნიჭით კი ველარ გაიბრწყინა.

პირველი ტაიმი „მანსტერმა" მოიგო — 6:5. ოგარას ორ საჯარიმოს ინგლისელებმა გორდონ მერფის ლელოთი უპასუხეს. ლელო კი მართლაც ლამაზი გამოდგა — მატჩის გმირად შერაცხული სტიმპსონი ორ ირლანდიელს ფინტებით დაუსხლტა და ზურგსუკანა მალული პასით მერფი გააქცია კელტთა ლელოსკენ.

მატჩის ბედი მე-60 წუთზე გადაწყდა, როცა ინგლისელმა ოსტინ ჰელიმ მეორე ლელო გაუტანა „მანსტერს" და თავისი გუნდი დააწინაურა. სტიმპსონმა გარდასახვა დააყოლა და მერე საჯარიმოც შეაგდო. ირლანდიელებს შეეძლოთ, თამაში გადაერჩინათ, მაგრამ მატჩის მიწურულს კელტთა გარემარბი ჯონ კელი ზედ ლელოსთან შებოჭა მარტინ კორიმ.

ნამატჩევს გახარებულმა ინგლისელებმა საჩემპიონო ლუდით იწუწავეს და თავიც გვარიანად იქეს. ერთადერთი, რამაც მათ ზეიმი ჩაუშხარა, მატჩის შემდეგ ფანებს შორის ამტყდარი ჩხუბი იყო. ინგლისელი და ირლანდიელი ქომაგები ერთმანეთს დაერივნენ. 15 ფანი საავადმყოფოში მოხვდა, გადარჩენილების მეტი წილი კი უელსის პოლიციის საკნებში.

## 26 მაისი, თვიქნემი

# ბარბაროსებზე ვარდმა ალმერზია დამართა

**ინგლისი 53:29 ბარბაროსები**

**ინგლისი:** 7ლ: კრისტოფერსი (2), ფორესტერი, ჰორაკი, სიმპსონ-დენიელი, ტომპსონი, უოლდერი; 6 გ: უოლდერი (5), გომარშალი; 2 ს: უოლდერი;
**ბარბაროსები:** 5 ლ: ჯოუნსი, ლემი, მონტგომერი, ტეილორი (2); 2 გ: ვან სტრაატენი (2)

დიდბრიტანული მინი-ტურნეს პირველ მატჩში ბარბაროსები (ანუ მსოფლიოს ნაკრები) თვიქნემში მასპინძელ ინგლისთან სასტიკად დამარცხდნენ. მსოფლიოს სარაგბო ვარსკვლავთა კრებულს ინგლისელთა მწვრთნელმა კლაივ ვუდვორდმა ერთობ შესუსტებული შემადგენლობა დაახვედრა, მაგრამ მოსაგებად ესეც საკმარისი აღმოჩნდა. „ვარდებს" აკლდათ გუნდის ლიდერები — ჯონი უილკინსონი და ლოურენს დალალიო, რომლებიც ვუდვორდმა ბარბაროსებთან ომს განარიდა. ვერ ითამაშეს ლესტერის „თაიგერზის" მორკინალებმა — მარტინ კორიმ, ნილ ბეკმა და მარტინ ჯონსონმა: ამ სამეულმა წინადღით კარდიფის „მილენიუმზე" „ჰაინეკენის თასი" მოიგო. იან ბელშოუ და მეტიუ პერი კი ბარბაროსებმა ჩაიყენეს საქმეში.

გაახალგაზრდავებულმა „ვარდებმა" თავიდანვე შეუტიეს ჯონა ლომუს და მის ამქარს. ფილ კრისტოფერსმა სწორედ ლომუს აუბნია თავგზა და ბურთიანად მეტოქის ლელოში გაგორდა. კრისტოფერსმა მეორედაც დაალელოვა ბარბაროსები. ეს მეორე ტაიმში მოხდა, მატჩის ბედი გადაწყვეტილი რომ იყო. ბარბაროსებმა მხოლოდ პირველი ტაიმის მიწურულს გაიფაფხურეს, როცა სამხრეთაფრიკელმა პერსი მონტგომერიმ გაიტანა ლელო და ანგარიში სხვაობა 10 ქულამდე შეამცირა, თუმც ჰორაკმა მალევე აღადგინა მანამდელი თანაფარდობა.

ვუდვორდმა განსაკუთრებით „ნიუკასლის" გარე ნახევარმცველი დეივ უალდერი აქო. ამ კაცმა ინგლისელებს 21 ქულა შეაწია და არც უილკინსონის არყოფნა აგრძნობინა.

## მსოფლიოს თასი. ქალები ბარსელონა

# თამაში იყო, დედა-კაცური...

ფინალი, 25 მაისი

**ახალი ზელანდია 19:9 ინგლისი**

ახალზელანდიელმა მდედრებმა წლეულსაც მოიპოვეს მსოფლიოს უძლიერესი გუნდის ტიტული და კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, რომ რაგბის თამაში თვისტომ კაცებზე ნაკლებად როდი ეხერხებათ. „კივმა" ქალებმა მსოფლიოს თასი ოთხი წლის წინათაც მოიგეს.

ფინალური მატჩი ლელოების სიმწირით და უხეშობით გამოირჩა. 80-წუთეულში მხოლოდ ორი ლელო გავიდა და ორივე ზელანდიელებმა მიითვალეს. აი, ჩარტყმა-მუჯლუგუნებში კი მეტოქეები ერთმანეთს არ ჩამორჩნენ. მსაჯმაც ორივე გუნდიდან თითო ქალი ათი წუთით გააგდო. ჯერ ზელანდიელი ვიქტორია ჰაივეი გააძევეს, რომელმაც მოწინაალმდეგეს ლამის გულის ფიცარი შეუნგრია, მერე კი ინგლისელ ემი გარნეტს არ აპატიეს შერილ ვააკას ჩაწიხლვა.

ფინალის წინა დღეს ბრინჯაოს მატჩი გაიმართა, რომელშიც საფრანგეთმა კანადას 41:7 მოუგო.

**ბაჩო სვანიძე**



## NHL სტენლის თასი ნახევარფინალი

# სტივი ჭკვიანი ბიჭია: მამისტოლა ხალხს უჯერებს

— 27 მაისი —

| დასავლეთი | |
|---|---|
| დეტროიტი | 2 |
| კოლორადო | 3 |

**დეტროიტი 1:2 კოლორადო 0:1 0:0 1:0 0:1**
0:1 რაინპრეხტი (18), 1:1 აიზერმანი (41), 1:2 ფორსბერგი (67)

შარშანწინ კოლორადომ რობ ბლეიკი რომ შეიძინა, მასთან ერთად გუნდში მოსული ჯეელი სტივ რაინპრეხტი ბევრს უბრალოდ, მისი დამატება ეგონა. მას შემდეგ საკმაო დრო გავიდა და ბლეიკმა არაერთხელ დაამტკიცა თავისი ოსტატობა, რაინპრეხტმა კი ისე მოუმატა, სადღეისოდ მისიანების „მოსისხლე" დეტროიტის რისხვად იქცა.

აგერ, უკვე მეორე მატჩში გახსნა სტივმა ანგარიში და გუნდის მოგება მისი დამსახურებაცაა. თუ წინა შეხვედრაში ბედმა გაუღიმა, რაინპრეხტმა ამჯერად გოლი ჩინებული ინდივიდუალური ოსტატობის წყალობით გაიტანა — პეტერ ფორსბერგის მოხერხებული პასის შემდეგ იგი კართან მიიჭრა, შემდეგ მას უკნიდან შემოუსრიალა და სანამ დომინიკ ჰაშეკი ერთი კუთხიდან მეორეში გადაადგილებას მოასწრებდა, შაიბა კარში შეაცურა.

„როცა ფორსბერგისთანა დიდ ჰოკეისტთან თამაშობ, ცდილობ, მისგან ბევრი რამ ისწავლო. ვგონებ, რაღაც მეც ვისწავლე" — მოკრძალებით თქვა თამაშის შემდეგ ახალგაზრდამ, რომლის ანგარიშზეც უკვე მე-7 საპლეიოფო გოლია.

მართალია, დეტროიტმა მოგვიანებით შეძლო ანგარიშის გათანაბრება, მაგრამ, ამას დიდი ძალა შეალია. გოლი კი ასე გავიდა: მეორე პერიოდის მიწურულს კოლორადო ერთ-ერთმა დიაღმა, ჯო საკიკმა დაალალატა. მისი ორწუთიანი გაძევება დეტროიტმა მესამე პერიოდის საწყის წამებზე გამოიყენა. სტივ აიზერმანის მახვილი კუთხიდან დარტყმული სახიფათოი არ ჩანდა, მაგრამ შაიბამ მაინც მოძებნა ღრიჭო პატრიკ რუას ფეხსა და ძელს შორის და იქ გაძვრა. შემდგომაც ყველაზე რეალური მომენტი დეტროიტს ჰქონდა... ბრენდან შენაჰანმა ძელს გაარტყა.

ოვერტაიმში თავისი სიტყვა ფორსბერგმა თქვა. შვედმა მთელი რეგულარული ჩემპიონატი გამოტოვა, მაგრამ ბრწყინვალედ გამოიყურება პლეი ოფში და კოლორადო ფინალშიც რომ ვერ გავიდეს, მაინც თასის MVP-ს მთავარი მაძიებელი იქნება. მოგეხსენებათ, პეტერი უფრო პასების დიდოსტატია, მაგრამ დამატებით დროში მეტოქემ სათანადო ყურადღება ვერ მიაქცია და ისეთ პოზიციაზე აღმოჩნდა, პასი ზედმეტი იქნებოდა. ჰოდა, ფორსბერგმაც გამოიყენა შანსი, ოსტატურად გადაატარა შაიბა ჰაშეკის მარჯვენა ხელს.

**სამველ ლარიბიანი**



ის მომენტი, პეტერ ფორსბერგმა დომინიკ ჰაშეკს რომ გაუტანა

# როლან გაროსი 2002

## საფრანგეთის ღია პირველობა

პარიზი. თიხნარი. საპრიზო 12 234 850 ევრო

# ჩააწყვეთ რიგში ცამეტი ტყვია, ცამეტჯერ უნდა მოვიკლა თავი!


REUTERS პარიზიდან

პიტ სამპრასი: წლები ყოველთვის არ არის სიმდიდრე

### პირველი წრე. 27 მაისი

**13-გზის** დიადი მესლემტიტულის მე-13 მცდელობა, აქამდე ვერმოგებული საფრანგეთის ღია პირველობა მოეგო და კარიერის სლემპოკერი შეესრულებინა, კვლავაც უშედეგოდ დასრულდა. მიმდინარე როლან გაროსზე მე-12 ნომრად განთესილი 30 წლის ელინოამერიკელი პიტ სამპრასი იტალიელმა ანდრეა გაუდენციმ დაჩოგნა — 6:3, 4:6, 2:6, 6:7 (3:7).

არადა, პიტმა, ვისაც მსოფლიოში მისი შეუცილებელი სალიდერო მდგომარეობისა და სლემტიტულთა სარეკორდო მონაგრის მიუხედავად პარიზულ სეფეთიხნარზე ნახევარფინალის მიღმა არასოდეს გაუღწევია, გუშინ მშვენივრად დაიწყო და პირველი სეტიც დამაჯერებლად მიითვალა. გაუდენციმ ვერაფერი გააწყო მისი საფირმო ტაქტიკის წინააღმდეგ, რაიც უწინარესად მძლავრი ჩაწოდების შემდგომ უმალ ბადესთან მიჭრასა და ბურთის ჰაერიდანვე დარტყმას ითვალისწინებს.

მოპოვებული უპირატესობის განვითარებას პიტი მეორე სეტშიც ეცადა, მაგრამ ამინდის გაუარესებამ მისი ყოველი მცდელობა წამურდლა, ხოლო 4:4-ზე ისეთი თავსხმა ატყდა, რომ თამაშის გაგრძელება სულაც შეუძლებელი გახადა. იძულებითმა შესვენებამ სულზე მოუსწრო მსოფლიოში 69-ე ჩოგნის მჭნეველ იტალიელს, რომელიც წლეულს ნათამაშებ 16 ტურნირზე წამლად მეორე წრეს არ გაცილებია. გაუდენცი გადაეწყო და მალი გამარჯვების მულამწართმეულ პიტს ინიციატივა თვალსა და ხელს შუა წაჰგვარა.

მიუხედავად იმისა, რომ პარიზელი ქომაგები 2000 წლის უიმბლდონზე გამარჯვების შემდეგ თავის რაგინდარა ტიტულის მაძიებელ პიტს ჯიგრიანად აგულიანებდნენ, იგი უკვე აშკარად იმედგაცრუებული იყო და მესამე სეტში მოპოვებული 5 გეიმგამტეხი ქულიდან ვერც ერთის რეალიზება ვერ შეძლო.

მატჩის სადავეთა რაღაც დროით უკუპყრობა პიტმა მხოლოდ მეოთხე სეტის შუაწელზე მოახერხა, ეს მას შემდეგ, რაც 3:3-ზე ხელმეორე თავსხმისგან გაყრილი მეტოქენი კორტს მესამედ მიუბრუნდნენ. ამერიკელმა მეტოქე უმალვე გატეხა, 4:3-ით დაწინაურდა და 5:4-ზე, როცა სასეტოდ აწვდიდა, გაუდენცი უკვე იმდენად გატეხილი ჩანდა, რომ ქომაგს პიტის გამარჯვების იმედი გაუჩნდა. მაგრამ... გადამწყვეტ მომენტში მას უმარტივესი დარტყმა გაუცუდდა და კვლავ ისე წახდა, რომ საკუთარი გეიმიც დათმო.

ტაიბრეიკზე მან ბევრი შეცდომა დაუშვა და ბითურ მეტოქეს ალბათ საბოლოოდ ჩააბარა თავისი საროლანგაროსე იმედები...

„იმ გეიმის წაგებამ საბოლოოდ მომსპო — იძახდა მერე — როცა წვიმს და ცივა, თავს საშინლად ცუდად ვგრძნობ, რადგანაც ეს კონდიციებს უფრო ანელებს. მაგრამ ასეთ ცუდ პირობებშიც კი მე საკმაოდ მქონდა შანსები, რათა საქმე საბოლოო გამარჯვებამდე მიმეყვანა. დამთრგუნველია, როცა მატჩის მსვლელობისას 17 ბრეიკპოინტი გეძლევა და აქედან მხოლოდ სამის გამოყენებას ახერხებ".

„როცა მიჯრით ბევრ შეხვედრას იგებ, მკვლელის ინსტინქტი გიმუშავებდა და ასეთი გადამწყვეტი გათამაშებების დროსაც არავითარი პრობლემა არ გექმნება, მე ამ ტურნირამდე მრავალი მატჩი დავთმე და ასე თავდაუჯერებლად ალბათ ამიტომაც ვთამაშობდი".

„თავს ახლა აუტანლად დაცარიელებულად ვგრძნობ — აგრძელებდა პიტი — მე ხომ ამდენი ჯანი და ჯიგარი მოვახმარე საამროლანგაროსოდ მზადებას. მომდევნო დღეების განმავლობაში ალბათ ჯოჯოხეთის გამოვლა მომიწევს..."

„თუმცა დათმობას მაინც არ ვაპირებ, მე აქ კვლავ დავბრუნდები და კიდევ ვეცდები, ჩემი ვქნა".

ხოლო მანამდე?

მალე წლევანდელი ბალახსეზონი გაიხსნება და პიტი კიდევ ერთხელ დააგემოვნებს მის სათუღფე ნიადაგს.

სხვა თუ არაფერი, მას უიმბლდონი ელის, როგორც გადაჭდობილ ჩოგნებზე ამართული პატარძალი!

### პირველი წრე. 28 მაისი

**ვაჟები**

**ევგენი კაფელნიკოვი (5, რუსეთი)** — ტომას ბერენდი (გერმანია) 6:3, 6:2, 3:6, 6:7 (3:7), 6:1; **ტიმ ჰენმანი (6, ბრიტანეთი)** — გალო ბლანკო (ესპანეთი) 6:4, 6:3, 7:6 (8:6); **ირჟი ნოვაკი (14, ჩეხეთი)** — მიხაილ იუჟნი (რუსეთი) 6:3, 6:4, 7:6 (7:5); **ადრიან ვონეა (რუმინეთი)** — ხუან იგნასიო ჩელა (21, არგენტინა) 7:6 (11:9), 7:5, 4:6, 7:6 (9:7); **ფერნანდო მელიგენი (ბრაზილია)** — ნიკოლა ესკუდე (27, საფრანგეთი) 6:4, 6:2, 0:6, 6:4; **ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი)** — ჯორჯო გალიმბერტი (იტალია) 6:7 (4:7), 6:4, 6:1, 6:3; **ჰიჩამ არაზი (მაროკო)** — როჯერ ფედერერი (8, შვეიცარია) 6:3, 6:2, 6:4

**ქალები**

**კიმ კლაისტერსი (4, ბელგია)** — ტატიანა პუჩეკი (ბელარუსი) 3:6, 6:3, 8:6; **ანიკო კაპროში (უნგრეთი)** — ჟუსტინ ენენი (5, ბელგია) 4:6, 6:1, 6:0; **მონიკა სელეში (6, აშშ)** — ამელი მონტოლიო (ესპანეთი) 6:7 (4:7), 6:3, 6:0; **შინობუ ასაგოე (იაპონია)** — ანასტასია მისკინა (19, რუსეთი) 3:6, 6:2, 7:5; **ევა ბესი (ესპანეთი)** — ლაიზა რეიმონდი (24, აშშ) 6:4, 6:3; **აი სუგიამა (26, იაპონია)** — მარიონ ბარტოლი (საფრანგეთი) 6:3, 4:6, 7:5; **ნატალი დეში (27, საფრანგეთი)** — ნურია ლიაგოსტერა ვივესი (ესპანეთი) 6:1, 3:6, 6:0; **მარტინა მიულერი (გერმანია)** — ამანდა კუტცერი (30, სამხრეთ აფრიკა) 6:2, 6:2; **ეიმი ფრეიზერი (აშშ)** — მეილენ ტუ (აშშ) 6:4, 6:0

წვიმა და ქარი მეორე დღესაც უმთავრესი მოქმედი პირები იყვნენ. მათგან ყველაზე დიდი პრობლემა რუს ევგენი კაფელნიკოვს (5) შეექმნა: უჩვეულოდ შავტუხა გერმანელ ტომას ბერენდთან რკენა ზედიზედ ორი დღის განმავლობაში მოუხდა და საქმის მოთავება მხოლოდ მეხუთე სეტშიღა შეძლო.

„ცხადია, ისეთ კარგ ფორმაში არა ვარ, მე რომ ვისურვებდი — ამბობდა რუსი — მაგრამ თქვენც კარგად იცით, ამ ტურნირთან გამორჩეული ურთიერთობა მაქვს და, მინდა, არ მინდა, მაინც კარგად გამომდის ხოლმე". გამორჩეულ ურთიერთობაში ქენია იქაურ კორტებზე თავის 6 წლისწინანდელ ლაღობას გულისხმობდა, როცა პირველი რუსი შეიქნა, დიდი სლემის რაგინდარა ტურნირი რომ მოიგო.

ძლიერ გაუჭირდა და გამარჯვება ასევე უკანასკნელ სეტში გამოიკაჭრა შარშანდელმა ფინალისტმა ქალმა კიმ კლაისტერსმა (4). ბელარუსმა ტატიანა პუჩეკმა მას შეუპოვარი ბრძოლა გაუჩაღა და მდედრიონის პირველი მსუყე სენსაციის მოხდენამდეც სულ ცოტა დააკლდა.

თუმცა ვერც მსოფლიო და ვერც საკუთრივ ბელგიური მდედრიონი უსენსაციოდ მაინც ვერ გადარჩა — მთლად გვიან საღამოს უსახელო უნგრელმა ანიკო კაპროშმა კიმის თვისტომი და ქალთა შორის მეხუთე ჩოგნის მჭნეველი, ოლონდაც უეცრად მარცხენაფეხდაჭიმული ჟუსტინ ენენი გამოიჭირა და წაგებული პირველი სეტის მერე ტურნირის ამ ერთ-ერთ ფავორიტს პირწმინდად გადაუარა.

სამსეტიანი შეხლა დასჭირდა სამგზის მეროლანგაროსე მონიკა სელეშსაც. იმარჯვა კიდევ ერთმა, 1998 წლის ჩემპიონმა კარლოს მოიამაც, თუმცა პარაგვაელ რამონ დელგადოსთან მას არავითარი პრობლემა აღარ შექმნია.

ისე კი — მანამდეც და მერეც ბევრი იწვიმა და ტურნირის ორგანიზატორებს 22 საპირველწრეო მატჩის სადღეისოდ გადმოტანა მოუხდათ.

# საროლანგაროსო რამე-რუმე

## სიტყვა და საქმე

„როიტერის" სააგენტოს ჩოგბურთზე მწერლები მიმდინარე როლან გაროსზე ყოველდღიურად „დღის გამონათქვამს", „დღის სტატისტიკასა" და „დღის ფაქტს" გამოარჩევენ.

საპირველდღეო „დღის გამონათქვამად" შარშანდელი ფინალისტი კაცის, ალექს კორეჩას შემდეგი სიტყვები მიიჩნიეს: „მე მსურს, ჩემს პიროვნებაში ხელახლა აღმოვაჩინო ჩოგბურთელი". კორეჩამ პირველ წრეში ჩეხი ბოგდან ულირახი იავარქმნა, მაგრამ მისი ამ გამონათქვამის მულამი უფრო იმ სათიხნარე წარუმატებლობათა ფონზე გაიგება, რითაც ესპანელმა წლევანდელ საფრანგეთის ღია პირველობამდე მიაღწია.

„დღის სტატისტიკა" როლან გაროსის 1989 წლის ჩემპიონ ამერიკელ მაიკლ ჩანგს შეეხება, ვისთვისაც წლევანდელი ტურნირი მე-15 (!) გახლავთ. მართალია, ეს სარეკორდო მაჩვენებელი არ არის, მაგრამ პირველსავე დღეს ფრანგი სებასტიან დე შონას მიერ 6:4, 6:4, 4:6, 2:6, 4:6 ძლეული ჩანგი თავს იმით მაინც თუ ინუგეშებს, რომ მასზე მეტჯერ პარიზულ სეფეთიხნარზე ჩოგანი მხოლოდ ფრანგ ფრანსუა ჟოფრეს (20-ჯერ) გაუქნევია. ჩანგი აწი ისეთ სახელიან ხალხს გაუსწრებს, როგორებიც სედრიკ პიოლინი (14 გამოსვლა) და პიტ სამპრასი (13) არიან.

„დღის ფაქტად" კი აი, რა მოინათლა: შარშანდელ ჩემპიონ გუსტავო კუერტენს პარიზში უკვე ზედიზედ 15 მატჩი მოუგია. სულ ბოლოჯერ მან იქ 1999 წლის მეოთხედფინალში უკრაინელ ანდრეი მედვედევთან დათმო.

პირველი დღის გამორჩეული ამბები „ასოშიეტედ პრესშიც" გამოჰყვეს. იქ ასეთ საინტერესო ფაქტებს გვაუწყებენ: მატჩების სამგზის ჩაშლელი წვიმა ჯამში სამსაათნახევარს გაგრძელებულა, ხოლო შეხვედრებს 31 ათას 41 კაცი დასწრებია.

„დღის სტატისტიკად" ეს სააგენტო პიტ სამპრასის მიერ 93 უნებლიე შეცდომის დაშვებას მიიჩნევს, „დღის გამონათქვამად" კი ანდრეა გაუდენცის შემდეგი გამონათქვამი შეურჩევიათ:

„პიტი შეიძლება მსოფლიოს ყველა დროის საუკეთესო მოთამაშეა, მაგრამ არ შეიძლება, ყოველთვის უმაღლეს დონეზე თამაშობდე და პრეტენზია გქონდეს, რომ გამარჯვება ყველა საფარზე შეგიძლია. აშკარაა, რომ მისი თამაში თიხნარს ვერ გუობს".

## მეჩოგნე თუ კუტურიე?!

ამ გოგოს დიდი სლემის 4 ტიტული მოუგია და ბანკში იმდენი ათასი დოლარი უდევს, ბარე ორ სლემტურნირს თვითონაც გამართავს. ამიტომ ძნელია, დაეჭვდე, რომ მას ჩოგნის დაკავება არ შეუძლია. ერთადერთი, რაც თურმე ამ ბოლო დროს მის ოჯახში აეჭვებთ, ისაა, შეუძლია თუ არა მას მაკრატლის დაჭერა?!

ვერ მიხვდით? — არცაა გასაკვირი. ვინუს უილიამსი და დიზაინერი?..

არადა, სწორედ მასზე ვსაუბრობთ. დიდი ჩოგნაობის პარალელურად ვინუსი თურმე დიზაინერთა კურსზეც დაიარება და ცდილობს, მაკრატელსაც ისევე ჩაუქად დაეუფლოს, როგორც ჩოგანს.

ოღონდ ეს საქმე ჯერ-ჯერობით კარგად ვერ გამოუდის და, როცა პარიზში ჟურნალისტებთან ამ თემაზე პასუხი მოუხდა, ყოველთვის შეცდომებს ვუშვებო, აი, ეგრე უპასუხა.

„არ დაგიმალავთ, სამკერვალოში მაკრატლით მუშაობას შინ კომპიუტერზე დიზაინერობა უფრო მირჩევნია — უთქვამს მერე — მაკრატლით სულ შეცდომები მომდის, კომპიუტერზე კი ერთს დააწკაპუნებ და ყველაფერი ოკეია. მოკლედ, ზარმაცი ვარ და ჩემი კუტურიეობა არ გაიშვა".


REUTERS პარიზიდან

ვინუს უილიამსი

ვნახოთ, მომავალი გვიჩვენებს, რას მოჰკიდებს ხელს ვინუსი ჩოგნის მერე.

## კიდევ ერთხელ ბებერ ხარობაზე

შტეფი გრაფი დარწმუნებულია, რომ მისი მეუღლე ანდრე აგასი ახლა საუცხოო ჯანზეა და ასაკი მას ხელს ვერ შეუშლის, როლან გაროსზე მისი საკადრისი ჩოგბურთი ითამაშოს.

საკვირაო „ველტში" გამოქვეყნებულ წერილში გრაფმა განაცხადა, რომ 32 წლის ამერიკელის წარმატებათა საიდუმლო ინტენსიური ვარჯიშია. „მას განსაცვიფრებელი მეთოდი აქვს, რომელიც არამარტო იმის საშუალებას აძლევს, ფორმა შეინარჩუნოს, არამედ გაიუმჯობესოს კიდეც იგი".

„სწორედ ამის გამოა, 15-წლიანი კარიერის განმავლობაში ერთი მძიმე ტრავმაც რომ არ ჰქონია".

„ხალხი ფიქრობს, რომ ასაკოვანი მოთამაშეები კარგავენ მოტივაციას იმის გამო, რომ ცხოვრებაში ახალი, ვთქვათ, ოჯახური პრობლემები უჩნდებათ" — თქვა გრაფმა.

„მე კი ისე მგონია, რომ ოჯახი, რომელიც ზურგს გიმაგრებს, კიდევ უფრო მეტ ძალ-ღონეს გმატებს და ახალ სპორტულ მიზნებსაც აღმოგაჩენინებს. ასაკი ეს ის დაბრკოლება არ არის, რაც წარმატებას ელობება".

ერთი სიტყვით, შტეფიმ კიდევ ერთხელ გაიმეორა, რომ ბებერი ხარი რქებითაც მოხნავს, თუკი საამისო ჯიგარს მოიძევს.

## პატარა უფლისწული

ფრანგული და დასტურ მსოფლიო ჩოგბურთის პატარა უფლისწულის, 15 წლის ბეზიელ რიშარ გასკეს სახელი და გვარი ჩვენს კლავიატურაზე პირველად 16 აპრილს, მის მიერ მონტე კარლოს ბობოლა ტურნირის პირველ წრეში ფრანკო სკილარის აოტების მერე აიკრიფა.

მას შემდეგ ბიჭუნა აქა-იქ ჩნდებოდა და კიდევ ერთხელ, ოღონდ ამჯერად გამორჩევით აღსანიშნი მას შემდეგ გახდა, რაც პირველი დღის მატჩში, ჯიშად მეთიხნარე ალბერტ კოსტასთან რომ მართავდა, პირველი სეტის მოგებაც შეძლო 6:3.

მერე კი წვიმა წამოვიდა და გასკემ, წვიმამ მე უფრო მავნო ვიდრე მასო, აი, ეგრე იმართლა თავი მეორე სეტის 0:6 წაგების გამო. სულ კი შეხვედრამ ორ საათსა და 21 წუთს გასტანა და მომდევნო ორ წაგებულ სეტში (4:6, 3:6), თავადაც გამოთვლიდით, ბიჭმა 7 გეიმი მოიგო.

ნამატჩევს იგი მხიარულად ჟღურტულებდა, თუმცა იმას კი სერიოზულად დასძენდა, დიდი სლემის ტურნირს დაძაბულობით ვერაფერი შეედრებაო. „პირველ რიგში, მატჩი დიდხანს გრძელდება — და მას 5-სეტად არასოდეს უთამაშა — მეორეც, კოსტა ხომ ერთი საუკეთესო მეთიხნარეა" — უთქვამს.


REUTERS პარიზიდან

რიშარ გასკე

ხოლო კითხვაზე, რამე წნეხს ხომ არ გრძნობს იმის გამო, რომ ბიორნ ბორგს ან ბორის ბეკერს გადარებენო, გაუღცია. ეგეთ რამეებზე არასოდეს ვფიქრობ, ჩემი საქმე ახლა მხოლოდ ვარჯიში და თამაშიაო, თურმე, აი, ეგრე მიუგო.

გასკე ჯერაც არ იყო დაბადებული, დიდი ბიორნი პირველად რომ წავიდა ჩოგბურთიდან (1981), ხოლო ბეკერმა თავისი პირველი უიმბლდონი რომ მოიგო (1985).

**ლევან ძილაურაძე**

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
რედაქტორი გიორგი დარჯანია
გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო ხვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, დავით ბიბილაშვილი, ელენე ველუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, ხვედა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, მალხაზ ჭუმბურიძე
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge